

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ევროპეისტიკის დეპარტამენტი
ლალი თავაძე

დროისა და ადგილის დეიქსისი, როგორც
ენობრივ-კულტურული ფენომენი და მისი ვერბალიზაცია
ინგლისურ ენაში

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სპეციალობა: ენათმეცნიერება

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი –
მადონა მეგრელიშვილი,
ფილოლოგიის დოქტორი,
პროფესორი

ბათუმი

2008

შინაარსი

შესავალი -----	4
თავი I. ენა, კულტურა და დროის დეიქსისი	
§1. ენა, კულტურა და პიროვნება -----	7
§2. დრო, კულტურა და დეიქსისი -----	12
§3. დეიქსისის პრობლემა ენათმეცნიერებაში და მისი ლინგვოკულტუროლოგიური კვლევის პრობლემა-----	21
§4. დროის დეიქსისი თანამედროვე ინგლისურ ენაში, როგორც ენობრივ- სოციოკულტურული ფენომენი და მისი გამოსატვის საშუალებები -----	39
4.1 ტემპორალური მსაზღვრელები -----	60
4.2 წყობა და ღერძი -----	62
თავი II. ადგილის დეიქსისი, როგორც ენობრივ-კულტურული ფენომენი და მისი ვერბალიზაცია ინგლისურ ენაში	
§1. სივრცე, კულტურა და დეიქსისი -----	68
1.1. სიახლოვე, სიშორე და დეიქსური ცენტრი -----	81
1.2. დეიქსისის, როგორც ენობრივ-კულტურული ფენომენის ლოკალური და სპაციალური განზომილებები და მათი ვერბალიზაცია ენობრივ სისტემაში -----	83
§2. სივრცე და დეიქსისი. ლოკალური სემანტიკის მქონე ლექსიკური ერთეულები -----	86
თავი III. დეიქსისი, როგორც ენობრივ-კულტურული ფენომენი და მისი ადგილი მხატვრულ ნარატივში	
§1. ადგილის დეიქსისი, როგორც ენობრივ-კულტურული ფენომენი მხატვრულ ნარატივში -----	95
§2. დროის დეიქსისი მხატვრულ ნარატივში, როგორც ენობრივ-კულტურული ფენომენი -----	105
§3. თხრობა და დეიქსისის აღწერილობით-განმარტებითი ვერბალური გამოსატვა -----	113

დასკვნები -----	117
გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურის სია -----	122
გამოყენებული მხატვრული ლიტერატურის სია -----	129
გამოყენებული ლექსიკონების სია -----	130
Summary -----	131

შესავალი

წარმოდგენილი ნაშრომი „დროისა და ადგილის დეიქსისი, როგორც ენობრივ-კულტურული ფენომენი და მისი ვერბალიზაცია ინგლისურ ენაში“, როგორც ლინგვისტური, ისე წმინდა პრაქტიკული თვალსაზრისითაც, ძალზე საინტერესო და ამავე დროს წინააღმდეგობრივია. თემის აქტუალობა შემდეგი ფაქტორებითაა განპირობებული: ერთადერთი ყველაზე ცხადი ფორმა, რომელშიც ენასა და ტექსტს შორის ურთიერთმიმართება ვლინდება, არის დეიქსისის ფენომენი. დეიქსისი (ბერძნ - „მითითება“) – ენობრივი გამოთქმებისა და სხვა ნიშნების გამოყენებაა, რომელთა ინტერპრეტაცია შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ კომუნიკაციური აქტის საშუალებით – კომუნიკაციის მონაწილეებთან, მის ადგილსა და დროსთან მიმართებაში.

ჩვენ ვცდილობთ, დეიქსისის, როგორც ენობრივ-კულტურული ფენომენის განხილვას. დეიქსისი გულისხმობს ტექსტში დასახელებული ან თემატიზირებული რეალიების ჩვენებას, ჩვენება კი, თავის მხრივ, გულისხმობს განსაზღვრულ დროით და სივრცით კოორდინატებს. როგორც ცნობილია, არ არსებობს გამონათქვამი, რომელსაც არ გააჩნია დეიქტიკური სტრუქტურა. მაგრამ ეს სტრუქტურა ვერ იქნება იდენტური განსხვავებულ კულტურულ სივრცეებში. ვინაიდან, თანამედროვე მეცნიერება კულტურულ ეპოქათა მონაცვლეობას უკავშირებს სწორედ ადამიანის მენტალიტეტის ცვლილებას.

XXI საუკუნის ლინგვისტიკა აქტიურად შეისწავლის იმ მიმართულებას, რომელშიც ენა დანახულია, როგორც ერის კულტურული კოდი და არა მხოლოდ კომუნიკაციის საშუალება. სწორედ ამიტომ, შეუძლებელია ლინგვისტიკის გარეშე კულტურის შესწავლა.

დეიქსური სიტყვები მთლიანადაა დამოკიდებული სამეტყველო სიტუაციაზე. დეიქსური ელემენტები შიფტერების ტიპური მაგალითებია, რომელთა ინტერპრეტაცია კონტექსტის გარეშე შეუძლებელია. მათ სემანტიკურ მნიშვნელობაში ასახული პიროვნებათშორისი ურთიერთობები გარდამავალია და მეტყველების აქტების მონაცვლეობასთან ერთად, ციკლურ ხასიათს ატარებს.

ძირითადად, დეიქსისი გადმოგვცემს იმ საშუალებებს, რომლებითაც ენები გამონათქვამის კონტექსტის ან მეტყველების კოდირებასა თუ გრამატიკულ წესებზე დაქვემდებარებას ახდენს. ამასთანავე, იგი მიუთითებს იმ გზებზე,

რომელთა მეშვეობითაც გამონათქვამის ინტერპრეტაცია თვით ამ უკანასკნელის კონტექსტის ანალიზზეა დამოკიდებული.

დეიქსური ინფორმაციის მნიშვნელობა გამონათქვამთა ინტერპრეტაციისათვის შესაძლოა ყველაზე კარგად მაშინ წარმოჩინდეს, როცა ასეთი ინფორმაცია არ მოიძებნება (fillmore, 1975:38-9)

დეიქსისის ბევრი ასპექტი იმდენად ფართოდ არის გავრცელებული ენებში და ისე ღრმად ექვემდებარება გრამატიკულ წესებს, რომ ძნელია ისინი სემანტიკის არსებით ნაწილად არ მივიჩნიოთ. თუ სემანტიკა მოიცავს მნიშვნელობის ყველა პირობით ასპექტს, მაშინ დეიქსისის ფენომენი სემანტიკას უნდა მივაკუთვნოთ. თუმცა, დეიქსისი პრაგმატიკის არეალსაც ეკუთვნის იმდენად, რამდენადაც ის უშუალოდ ეხება ენების სტრუქტურასა და კონტექსტს შორის იმ ურთიერთობას, რომელშიც ისინი გამოიყენება. მაგრამ კლასიფიკაციების ყველა ეს სახე გარკვეულ თეორიას ეფუძნება, და შესაძლოა დეიქსისის გრამატიკული კატეგორია სემანტიკა-პრაგმატიკის საზღვრებს შორის მივიჩნიოთ.

უნდა აღინიშნოს, რომ თუ ადრე მეცნიერები შეისწავლიდნენ ენას, როგორც ცალკე აღებულ მოცემულობას, ამჟამად აქტუალური გახდა, თუ როგორ უკავშირდება ენა ადამიანს, რამდენადაა ადამიანი დამოკიდებული ენაზე, როგორ განსაზღვრავს კომუნიკაციური სიტუაცია ენობრივი საშუალებების არჩევანს.

ნაშრომის მიზანია დროისა და ადგილის დეიქსისის, როგორც ენობრივ-კულტურული ფენომენის განხილვა, დეიქტიკური სიტყვების სპეციფიკის დადგენა, რომლებიც სხვადასხვა დეიქსიკოგრამატიკულ განშტოებებს - არსებით სახელს, ზედსართავ სახელს, ზმნას, ზმნიზედას-ეკუთვნის. არსებული პრობლემის გადაჭრა, ერთი მხრივ, დეიქსისის საერთო პრობლემას უკავშირდება, ხოლო მეორე მხრივ, სხვადასხვა მეტყველების ნაწილების სემანტიკური თავისებურებების დადგენას.

ნაშრომის აქტუალობა განპირობებულია შემდეგი გარემოებით : ნაშრომის ენის დეიქსიკო-სემანტიკური სისტემის ანალიზისა და შესწავლის კიდევ ერთი მცდელობაა, იმ სიტყვების ნაწილს შეისწავლის, რომლებიც დროსა და ადგილს მიუთითებენ. ამასთანავე, მასში ხაზგასმულია კულტურულ ეპოქათა მონაცვლეობის მნიშვნელობა, სოციალური ტრანსფორმაცია, რომელიც ნიშნავდა რევოლუციას ცნობიერებაში და ახალი კულტურული ეპოქის დასაწყისს; ინდუსტრიული საზოგადოების აღმოცენება ნიშნავს ტრადიციული კულტურის

ახალი კულტურით, ანუ „მოდერნის“ კულტურით შეცვლას. ხსენებული ტრანსფორმაცია კი უკავშირდება ადამიანთა ურთიერთობის იმ სფეროს, რომელსაც ენობრივი კომუნიკაციის სფერო ეწოდება.

კვლევის ობიექტს წარმოადგენს დეიქსისის ბუნება და ინტერპრეტაცია, იმ აუცილებელი პირობების გამოვლენა, რაც კონტექსტს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს.

ნაშრომის სამეცნიერო სიახლე მდგომარეობს შემდეგში : დაგადგინოთ, თუ როგორ ხდება დროისა და ადგილის დეიქსისის ვერბალური გამოხატვა და მათი აღქმა სხვადასხვა კულტურათა ენებში.

ნაშრომის თეორიული ღირებულება განისაზღვრება იმით, რომ მასში დეიქსისი განხილულია ლინგვო-კულტუროლოგიურ და სემანტიკურ-პრაგმატულ ჭრილში, რამაც შეიძლება მოკრძალებული წვლილი შეიტანოს დეიქსისის თეორიის სრულყოფაში.

ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება იმაში მდგომარეობს, რომ გამოკვლევის შედეგები შეიძლება მნიშვნელოვანი და გამოყენებადი იყოს ლინგვისტიკის თეორიულ კურსებსა და სემინარებში.

ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა: დისერტაცია შედგება შესავლის, სამი თავისა (თავი I – ენა, კულტურა და დროის დეიქსისი; თავი II – ადგილის დეიქსისი, როგორც ენობრივ-კულტურული ფენომენი და მისი ვერბალიზაცია ინგლისურ ენაში; თავი III – დეიქსისი, როგორც ენობრივ-კულტურული ფენომენი და მისი ადგილი მხატვრულ ნარატივში) და დასკვნისაგან. მას თან ერთვის გამოყენებული სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურის სია. დისერტაცია დაბეჭდილია 146 გვერდზე და შეიცავს ცხრილებს.

თავი I. ენა, კულტურა და დროის დეიქსისი.

§1. ენა, კულტურა და პიროვნება.

XXI საუკუნის ლინგვისტიკა აქტიურად შეისწავლის იმ მიმართულებას, რომელშიც ენა დანახულია, როგორც ერის კულტურული კოდი და არა მხოლოდ კომუნიკაციის საშუალება. სწორედ ამიტომ, შეუძლებელია ლინგვისტიკის გარეშე კულტურის შესწავლა.

კულტურა ადამიანის და საზოგადოების არსებით ნიშანს წარმოადგენს. ეს ნიშანი (მოვლენა) სხვადასხვაგვარ გამოვლინებას პოულობს ერის მატერიალურ-ეკონომიურ, საზოგადოებრივ და სულიერ ცხოვრებაში. ენა ადამიანისა და საზოგადოების ცხოვრებაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს, წარმოადგენს რა ერის კულტურისა და მისი არსებობის ფორმას.

შეხედულება ენის ანთროპოცენტრიზმობის შესახებ საყოველთაოდ არის მიღებული. თრადიციულად, გამოიყოფა სამი პარადიგმა – შედარებით-ისტორიული, სისტემურ-სტრუქტურული და ბოლოს, ანთროპოცენტრისტული. (12, 30, 2004)

შედარებით-ისტორიული პარადიგმა პირველ სამეცნიერო პარადიგმას წარმოადგენდა ლინგვისტიკაში, რადგან ენის კვლევის პირველ სპეციალურ მეთოდად ითვლებოდა.

სისტემურ-სტრუქტურულ პარადიგმას ყურადღება გადაჰქონდა საგანზე, ნივთზე, სახელზე, ამიტომ ყურადღების ცენტრში იმყოფებოდა თვით სიტყვა.

ანთროპოცენტრისტული პარადიგმა კი წარმოადგენს ყურადღების გადატანას შემეცნების ობიექტიდან სუბიექტზე, ე.ი. ხდება პიროვნების ენაში კვლევა, ხოლო ენა გაანალიზებული და შესწავლილია პიროვნებიდან გამომდინარე, რადგან „ენა არსებობს მხოლოდ ინდივიდუალურ ტვინებში, მხოლოდ სულებში, მხოლოდ იმ ინდივიდებისა და არსებების ფსიქიკაში, რომლებიც შეადგენენ მოცემულ ენობრივ საზოგადოებას.“ (12, 41, 2004). (თარგმ.-ლ.თ.)

ანთროპოცენტრისტული პარადიგმა უმთავრესია თანამედროვე ლინგვისტიკაში. ენა – ურთულესი მოვლენაა. ანთროპოცენტრისტული პარადიგმიდან გამომდინარე, პიროვნება შეიცნობს სამყაროს საკუთარი „მე“-ს

შეცნობის შემდეგ. ანთროპოცენტრისტული პარადიგმის ფორმირებამ ლინგვისტური პრობლემატიკა დაუკავშირა პიროვნებას და მის ადგილს კულტურაში, რადგან კულტურისა და კულტურული ტრადიციის ცენტრში დგას ენობრივი პიროვნება მთელი თავისი მრავალმნიშვნელობით: მე – ფიზიკური; მე – სოციალური; მე – ინტელექტუალური; მე – ემოციური; მე – მეტყველი. პიროვნება შეიმეცნებს გარე სამყაროს ამ სამყაროდან საკუთარი თავის გამოყოფით; ის თითქოს უპირისპირებს „მე“-ს ყველაფერს, რაც არ წარმოადგენს „მე“-ს.

მაშასადამე, ანთროპოცენტრისტულ პარადიგმას პირველ პლანზე გამოჰყავს პიროვნება, ხოლო ენა მიჩნეულია პიროვნების უმთავრეს მაკონსტიტუირებელ საშუალებად, მის უმთავრეს ნაწილად. პიროვნების ინტელექტი, ისევე როგორც თვით პიროვნება, წარმოუდგენელია ენის გარეშე, რადგან ენა წარმოადგენს მეტყველების წარმოებისა და გაცნობიერების საშუალებას.

თანამედროვე ლინგვისტიკის ძირითად მიმართულებებს, რომლებიც აღნიშნული პარადიგმის ჩარჩოებში ფორმირდება, წარმოადგენენ კოგნიტური ლინგვისტიკა და ლინგვოკულტუროლოგია, რომელიც „ორიენტირებული უნდა იყოს კულტურულ ფაქტორზე და პიროვნებაში ენობრივ ფაქტორზე“ (12, 35, 2004).

კოგნიტური ლინგვისტიკის გაგება მდგომარეობს ადამიანის მიერ ინფორმაციის გაგებასა და მის გაანალიზებაში, ცოდნის სტრუქტურის პიროვნების ცნობიერებასა და ენობრივი ფორმებით გადმოცემაში. თუ კოგნიტოლოგია (კოგნიტური ლინგვისტიკა, კოგნიტური ფსიქოლოგია, კოგნიტური სოციოლოგია) ცდილობს უპასუხოს კითხვას იმის შესახებ, თუ როგორაა ორგანიზებული პიროვნების ცნობიერება, როგორ შეიცნობს ის სამყაროს, როგორ წარმოიქმნება მენტალური სივრცეები, ლინგვოკულტუროლოგია მთელ ყურადღებას უთმობს პიროვნებას კულტურაში და მის ენას. ლინგვოკულტუროლოგია შეისწავლის ენას, როგორც კულტურის ფენომენს. ეს არის სამყაროს ხედვა ერის ენიდან გამომდინარე, როდესაც ენა გამოდის ეროვნული მენტალიტეტის გამომხატველის როლში. (12, 35, 2004).

რა არის კულტურა? კულტურა, სეპირის მიხედვით, წარმოადგენს იდეების სოციალურ მემკვიდრეობას, რომლებიც განასახიერებენ ჩვენი ცხოვრების სტილს; ეს ის ძვირფასი ნაკრებია, რომელსაც საზოგადოება ქმნის. (14, 88, 2004)

რომელი უფრო ადრე წარმოიშვა: ენა თუ კულტურა? სეპირი თვლიდა, რომ ენა წინ უსწრებდა კულტურას, რადგან ის წარმოადგენს მნიშვნელობის გამოსატყვის საშუალებას. (14, 90, 2004)

სეპირის თქმით, ენა სოციალური და კულტურული განვითარების პროდუქტია. მოგვიანებით, ეს პრობლემა გადაჭრა ცნობილმა ეთნოლოგმა, რომლის მოსაზრებით, „ენა ნაწილია კულტურისა, მისი პროდუქტი და ძირითადი ნაწილი“; „ენა არ არსებობს კულტურის გარეშე“ (14, 95, 2004). ენა წარმოადგენს კონკრეტულ დროსა და კონკრეტულ ადგილას მცხოვრები ერის კულტურის მნიშვნელოვან ნაწილს. (14, 85, 2004)

რა საერთო აქვს ენასა და კულტურას? პირველ რიგში, როგორც ენა, ასევე კულტურა, კონცეპტუალურ არჩევას მოითხოვს. ამ ორ ფენომენს შორის სხვაობა სეპირმა შემდეგნაირად ჩამოაყალიბა: კულტურა შესაძლოა განვსაზღვროთ როგორც ის, რასაც მოცემული საზოგადოება აკეთებს ან ფიქრობს, ხოლო ენა არის ის, თუ როგორ ფიქრობენ (14, 90, 2004)

რაც შეეხება ენისა და კულტურის განვითარებას, ეს არ არის პარალელური პროცესი. კულტურული ცვლილებები უფრო სწრაფი ტემპით მიმდინარეობს, ვიდრე ენობრივი. მკვეთრი კულტურული ცვლილებები აჩქარებს ენობრივ განვითარებას. ლექსიკა, სეპირის მიხედვით, გარკვეულწილად გამოსატყავს კულტურის დონეს. ლექსიკური ცვლილებები სხვადასხვა მიზეზებითაა გამოწვეული, რომელთა უმრავლესობაც კულტურული ხასიათისაა.

ენა თავისი წარმოშობით დაკავშირებულია კულტურასთან და ყალიბდება საზოგადოებასთან ერთად. ენის კავშირი კულტურასა და საზოგადოებასთან, მას ეროვნული სულის უმთავრეს კომპონენტად აქცევს. (14, 98, 2004).

თანამედროვე მეცნიერება კულტურულ ეპოქათა მონაცვლეობას უკავშირებს ადამიანის მენტალიტეტის ცვლილებას ტემპორალური თვალსაზრისით. ეპოქისა და მისი კულტურული ხასიათის ცვლილებასთან ერთად იცვლება დროის (ტემპორალურობის) ის ტიპიც, რომელიც საფუძვლად უდევს ადამიანის არსებობას და, შეიძლება ითქვას, განსაზღვრავს კიდევ ამ არსებობის ძირითად მომენტებს. ტრადიციული პრეინდუსტრიული საზოგადოება, რომელსაც წარმოადგენა არა აქვს ინოვაციებზე, სადაც ფასდება არა ინდივიდუალობა, არამედ სოციალურ როლთან შესაბამისობა, იცვლება ინდუსტრიული საზოგადოებით. საზოგადოების ცვლილება ახალი პიროვნების ჩამოყალიბებას იწვევს. თუ ტრადიციულ საზოგადოებაში ადამიანი წრიულ,

ციკლურ დროში ცხოვრობს, სადაც ყველაფერი მეორდება, თანამედროვე ინდუსტრიულ საზოგადოებაში წრიულ დროს ლინეარული, საზოგადოებრივი ცვლის; წარმოიქმნება „მე“, რომელსაც ადამიანი საკუთარი ბიოგრაფიის ფარგლებში მოიაზრებს. პიროვნება, რომელიც ახლანდელ დროში მოქმედებს, თითქოს წარსულს უბრუნდება და მომავლისკენაც იხედება. ადგილი აქვს დროსთან მუდმივ დიალოგს. (10, 100, 1997)

„ადამიანი მუდამ არსებობს – როგორც არ უნდა გავიგოთ მისი არსებობა ეპოქის, კულტურის თუ ინდივიდუალური თვისებების გათვალისწინებით“. „კაცობრიობის ისტორიაში არსებობდა და არსებობს დროის ორი ძირითადი გაგება – წრიული დრო და ლინეარული დრო. წრიული დრო გულისხმობს იმას, რომ ყველაფერი მეორდება, იგი გულისხმობს ყველაფრის მარადიულ დაბრუნებას. ეს არის მითოლოგიურად გაგებული დრო. ე.ი., ოდესღაც, ზებუნებრივმა არსებებმა, ან მათთან კავშირში მყოფმა, ზებუნებრივ ძალას ზიარებულმა ადამიანებმა ქაოსი აქციეს კოსმოსად; შეიძლება ითქვას, ასე იქნა ონტოლოგიურად, ყოფიერებითად დაფუძნებული ის სამყარო, რომელიც ადამიანის ადგილსამყოფელად შეიძლება ყოფილიყო აღქმული. ადამიანს არსებობისათვის – და ამას გვეუბნება მთელი წარსული – პირველი, რაც სჭირდება, ესაა სამყაროში ორიენტირება, ასე ვთქვათ, სამყაროში გზის გაკვლევა. ორიენტაცია გვჭირდება დღესაც. იმდენად, რამდენადაც ადამიანი არა მხოლოდ, როგორც მეოცე საუკუნის ცნობილი ფილოსოფოსები მიიჩნევდნენ, „გადმოტყორცნილია ამ სამყაროში“, არამედ იგი ამ სამყაროში არსებობს კიდევ. ეს არსებობა კი შეუძლებელია ორიენტაციის გარეშე და იქნებ ჩვენს ეპოქაში კულტუროლოგიის აღმოცენება და დამკვიდრება სწორედ ორიენტაციის ამ ამოცანას ემყარება. მაგრამ ადამიანი მუდამ საჭიროებდა ორიენტაციას როგორც დროში, ისე სივრცეში, რაც შეუძლებელია ათვლის წერტილის გარეშე“.

„ადამიანისათვის წერტილი დროში თუ სივრცეში მუდამ იყო ცენტრი – ცენტრი სივრცეში, ცენტრი დროში. ადამიანი მუდამ ცდილობდა თავისი არსებობის ორიენტირად ექცია ეს ცენტრი. ქრიატიანისათვის ეს ცენტრი (თუკი ცენტრს გავიგებთ სივრცობრივად) არის გოლგოთა, ადგილი, სადაც მოხდა ჯვარცმა და ცენტრი დროში კი – ისტორიის ის მომენტი, რაც მოხდა ეს ჯვარცმა. სხვა კულტურის წარმომადგენელს ცენტრი როგორც სივრცობრივი, ისე დროითი გაგებით, სხვანაირად წარმოუდგენია, მაგრამ მთავარია ის, რომ

ადამიანისათვის როგორც სივრცე, ისე დრო მუდამ იყო ცენტრირებული. ეს ცენტრი შეიძლება გაგებულ იყოს სხვადასხვანაირად და, რა თქმა უნდა, იყო კიდევ გაგებულ სხვადასხვანაირად. როცა დომინირებდა დროის წრიული გაგება და დროითი ცენტრი მუდამ დაინახებოდა წარსულში. წარსულში როდისღაც შეიქმნა ეს სამყარო იმ გზით, რომ ქალის იქცა კოსმოსად და ითვლებოდა, რომ სამყარო მუდამ უბრუნდება თავის პირვანდელ სახეს, უბრუნდება იმისათვის, რომ შემდეგ კვლავ წარმოიშვას და ასე უსასრულოდ. შემდეგ დროის ეს წრიული ხედვა შეიცვალა დროის ლინეარული (ხაზობრივი) ხედვით”. (1, 57, 2006).

ჩვენს მიზანს წარმოადგენს დავაკავშიროთ საზოგადოების და, შესაბამისად, კულტურის ტრანსფორმაცია და დეიქსისი, რადგან ეპოქისა და მისი კულტურული ხასიათის ცვლილება იწვევს დროის ტრანსფორმაციას. “ჩვენი გამოცდილება არის პროცესი, რომელიც მიმდინარეობს დროში, ე.ი. მას აქვს დროითი (ტემპორალური) ხასიათი; დრო კი ჩვენთვის, ადამიანებისათვის, ძირითადად არსებობს (“მედიინება”) სამ “დონეზე”: ყოველდღიურობის დონეზე (ყოველდღიურობის დრო), ეპოქის დონეზე (ეპოქის დრო თუ ეპოქალური დრო) და ისტორიის დონეზე (ისტორიის დრო თუ ისტორიული დრო. ისტორია, რა თქმა უნდა, პრინციპში მოიცავს როგორც წარსულს, ასევე აწმყოსაც და მომავალსაც, მაგრამ რეალურად და კონკრეტულად იგი ჩვენთვის არსებობს როგორც “წარსული”, როგორც ჩვენი “ისტორიული მესხიერება”). სხვაგვარად რომ ვთქვათ: ჩვენი გამოცდილების სტრუქტურულობა ვლინდება იმაში, რომ მას აქვს სამი განზომილება – ყოველდღიურობა, ეპოქა და ისტორია. (2, 98, 2004)

§2. დრო, კულტურა და დეიქსისი

ნებისმიერ საზოგადოებას, ნებისმიერ კულტურას პირველ ყოვლისა დრო განსაზღვრავს. ანუ, თუ ჩვენ დეიქსისის ფენომენს წარმოვიდგენთ, როგორც ველს, მაშინ ამ ველის ცენტრი მუდამ დროითი, ტემპორალური ხასიათის იქნება. მაგრამ როგორია ის დრო, რომელშიც არსებობს ადამიანი? როგორია ამ დროის შინაგანი სტრუქტურა? ეს სტრუქტურა დამოკიდებული უნდა იყოს იმ კულტურაზე, რომელშიც ცხოვრობს ადამიანი. დეიქსისი ის ფენომენია, რომელიც წარმოადგენს კომუნიკაციის აქტის განმსაზღვრელ ერთ-ერთ განზომილებას. „მაგრამ კომუნიკანტები არიან ენობრივი ერთეულები, ხოლო ენობრივი ერთეულები კი ამავე დროს არიან პიროვნებები. ეს კი გულისხმობს სწორედ იმას, რასაც თანამედროვე ფსიქოლოგია მოიაზრება ამ ცნებაში. ე.ი, როცა ვსაუბრობთ ენობრივ პიროვნებაზე, არ უნდა დაგვაფიქვდეს, რომ ენობრივი პიროვნება სინთეზური ცნებაა და მოიცავს ისეთი ორი ფენომენის ურთიერთდაკავშირებას, როგორცაა, კომუნიკანტი (კომუნიკაციის სუბიექტი) და პიროვნება (თავისი ზოგადი არალინგვისტიკური გაგებით) აქედან გამომდინარე, ენობრივი პიროვნება როგორც თანამედროვე კომუნიკაციური ლინგვისტიკის ერთ-ერთი ცენტრალური კატეგორია, ვერ იქნება ქმედითი, თუკი რეალურად არ განხორციელდება ზემოაღნიშნული სინთეზი. რა უნდა ედოს საფუძვლად ამ სინთეზს? იმის გათვალისწინება და გაგება, რომ კომუნიკაციის დროს კომუნიკანტები რჩებიან პიროვნებებად (ამ სიტყვის სრული გაგებით) და შესაბამისად, მათ კომუნიკაციის პროცესში „შემოაქვთ“ ის შინაარსი, რომელსაც პიროვნების ცნება გულისხმობს.

მაგრამ ამავე დროს ენობრივი პიროვნება (წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენ ვახდენთ ზემოთ დასახელებულ სინთეზს) არის კონკრეტული კულტურის სუბიექტი და მისი პიროვნული სტრუქტურა, ცხადია, განისაზღვრება იმ კულტურითაც, რომელსაც იგი ეკუთვნის. ე.ი. როცა ვამბობთ, რომ ადამიანს კომუნიკაციის პროცესში შემოაქვს მთელი თავისი პიროვნული შინაარსი და შესაბამისად აუცილებელია ენობრიობისა და პერსონალურობის სინთეზი, მოვიაზრებთ, ე.წ. მესამე განზომილებას, ანუ იმ კულტურული პარადიგმის შინაარსობრივ სტრუქტურას, რომელსაც პიროვნება ეკუთვნის. აქედან გამომდინარე: თუ ჩვენ გვსურს, ენობრივი პიროვნების ცნებამ, მართლაც,

შეასრულოს ლინგვისტიკის ფარგლებში მეტაკატეგორიალური ფუნქცია, იგი უნდა განვიხილოთ როგორც ზემოთ დასახელებული სამი შინაარსობრივი სფეროს მონაცემთა სინთეზი. ეს სფეროებია: 1. ენა მთლიანობაში, ე.ი. როგორც მეტაკატეგორია (სიმბოლური ველისა და დეიქტიკური ველის ელემენტთა ერთობლიობა); 2. პიროვნება ამ ტერმინის იმ მეტაკატეგორიალური გაგებით, როგორც არსებობს თანამედროვე ფსიქოლოგიაში; და 3. პიროვნება კულტუროლოგიური გაგებით, როგორც მოცემული კულტურული ეპოქის სუბიექტი. (3, 99, 2004)

თანამედროვე ჰუმანიტარული აზროვნებისთვის დამახასიათებელია საკვლევი ობიექტისადმი ინტერდისციპლინარული მიდგომა, რაც იმას ნიშნავს, რომ ადამიანური სინამდვილის ნებისმიერი სფერო უნდა შეისწავლებოდეს არა მონოდისციპლინარულად. (როგორც ეს ტრადიციულად ხდებოდა) არამედ სხვადასხვა ჰუმანიტარულ დისციპლინათა შეხვედრის, ურთიერთშედწევის და, საბოლოო ანგარიშში, სინთეზის გზით. ზემოთ ჩვენ ვსაუბრობდით თანამედროვე ლინგვისტიკის იმ ტენდენციაზე, რომელიც უკავშირდება ენობრივი პიროვნების ცნებას და აღვნიშნეთ, რომ ამ ცნებამ უნდა მოიპოვოს მეტაკატეგორიალური სტატუსი. მაგრამ ჩვენ ისიც ვთქვით, რომ ენობრივი პიროვნების ცნება საჭიროებს მრავალასპექტიან განხილვას: თავისთავად, ლინგვისტიკისაგან დამოუკიდებლად, პიროვნებას, როგორც ცნობილია, შეისწავლის ძირითადად ფსიქოლოგია, ხოლო ადამიანს კი (შესაბამისად პიროვნებას) როგორც კულტურის სუბიექტს შეისწავლის კულტუროლოგია. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ენობრივი პიროვნების ცნება – თუკი გვსურს, რომ მან შეიძინოს ჭეშმარიტად მეტაკატეგორიალური სტატუსი – უნდა დაფუძნდეს ინტერდისციპლინარულად, სახელდობრ კი ისეთ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მონაცემების სინთეზის საფუძველზე, როგორცაა ლინგვისტიკა, ფსიქოლოგია და კულტუროლოგია.

ჩვენი კვლევის ძირითად მიზანს წარმოადგენს ენის მთელი დეიქტიკური ველის ისეთი ფუნქციური გადააზრება, რომელიც განხორციელდებოდა ტემპორალობის ნიშნით. ე.ი. ჩვენი მიზანი უნდა იყოს დეიქსისის როგორც ფენომენის გამჭოლი და თანმიმდევრული ტემპორალიზაცია. მაგრამ გასათვალისწინებელია ისიც, რომ თვით დრო როგორც კატეგორია, თავისი სტრუქტურითურთ, დამოკიდებულია ისეთ მეტაკატეგორიებზე, როგორცაა პიროვნება და კულტურა, რაც პერსპექტივაში გულისხმობს სამი მეცნიერული

დისციპლინის: ლინგვისტიკა, ფსიქოლოგია და კულტუროლოგია მონაცემთა აუცილებელ სინთეზს. ამასთან ჩვენ ისიც აღვნიშნეთ, რომ თანამედროვე ჰუმანიტარულ აზროვნებაში ამგვარი სინთეზირების პროცესი ფაქტობრივად უკვე დაწყებულია, მაგრამ იგი ჯერ არ მიმდინარეობს მეტაკატეგორიალურ დონეზე, ე.ი. სინთეზირების ამ პროცესში არ მონაწილეობენ სწორედ ისეთი ფუნქციონირებელი და “ყოვლისმომცველი”, ანუ საკუთრივ მეტაკატეგორიალური სტატუსის მქონე ცნებები, როგორცაა პიროვნების, (ფსიქოლოგიურ-სოციოლოგიური მნიშვნელობით), ენობრივი პიროვნების და კულტურული ეპოქის (კულტურული პარადიგმის) ცნებები. მაგრამ თუ ჩვენ გვსურს დეიქსისის ფენომენის, და, შესაბამისად, ენის დეიქტიკური ველის ტემპორალიზაცია, მაშინ უნდა ვიგულისხმოთ, რომ დეიქსისის არსებული გაგების ამგვარ სიღრმისეულ ტრანსფორმაციას წინ უნდა უსწრებდეს თვით ტემპორალურობის თანმიმდევრული გააზრება პერსონოლოგიური და კულტუროლოგიური თვალსაზრისით – რა თქმა უნდა, ამ თვალსაზრისთან შემდგომი სინთეზის პერსპექტივით.

ჰუმანიტარული აზროვნების ინტერდისციპლინარიზაციის პარადიგმიდან, და დეიქსისის პრობლემის საკუთრივ ლინგვისტური განვითარების ლოგიკიდან გამომდინარე პირველ რიგში აუცილებელი ხდება ენობრივი პიროვნების როგორც მეტაკატეგორიის ისეთი ტემპორალური გააზრება, რომელიც ერთდროულად დაეფუძნებოდა ფსიქოლოგიურ, ისე კულტუროლოგიურ კრიტერიუმებსა და მონაცემებს. სხვაგვარად, რომ ვთქვათ, პრობლემა საჭიროებს ფსიქოლოგიურ-კულტუროლოგიურ გააზრებას. ჩვენი ეს მოსაზრება გამომდინარეობს იმ ფაქტდან, რომ თანამედროვე მეცნიერება კულტურულ ეპოქათა მონაცვლეობას უკავშირებს სწორედ ადამიანის მენტალიტეტის (ანუ ფსიქიკის ფართო გაგებით) ცვლილებას ტემპორალური თვალსაზრისით. როგორც ზემოთ ითქვა, ტემპორალურობა და დეიქსისი შინაგანად არიან დაკავშირებულნი: დეიქსისი მუდამ გულისხმობს ტექსტში დასახელებული ან თემატიზირებული რეალიების ჩვენებას (ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით), ხოლო ჩვენება, თავის მხრივ, გულისხმობს განსაზღვრულ დროით და სივრცით კოორდინატებს. რა თქმა უნდა, ეს კოორდინატები პირველყოვლისა განისაზღვრება იმ კომუნიკაციურ-ინტერსუბიექტური „სივრცით“, რომელიც იქმნება კომუნიკანტებს შორის, მაგრამ, რადგან თვით კომუნიკანტები მუდამ წარმოადგენენ, როგორც ზემოთ იქნა ხაზგასმული, ენობრივ პიროვნებებს,

ხსენებული კოორდინატების განმსაზღვრელ ფაქტორად უნდა მოგვევლინოს ენობრივ პიროვნებათა შინაგანი ტემპორალური სტრუქტურა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დეიქსისის პრობლემის გააზრებამ აუცილებლად უნდა მიიღოს სინთეზური ანუ ლინგვოფსიქოკულტუროლოგიური ხასიათი. (3, 105, 2004)

ყურადღება გაგამახვილოთ ტემპორალურობის როგორც ადამიანის სოციოკულტურული არსებობის უმთავრესი წინაპირობის ისტორიულ დინამიკაზე, ყოველი ეპოქისა და კულტურის ადამიანი, ბუნებრივია, არსებობს დროში, მაგრამ თანამედროვე ინტერდისციპლინარული აზროვნება, რომელიც აუცილებლად გულისხმობს ფსიქოლოგიის, კულტუროლოგიის, სოციოლოგიისა და ისტორიის მონაცემთა ინტერდისციპლინარულ სინთეზს, ერთმნიშვნელოვნად ამტკიცებს შემდეგს: ეპოქისა და მისი კულტურული ხასიათის ცვლილებასთან ერთად იცვლება დროის (ტემპორალურობის) ის ტიპიც, რომელიც საფუძვლად უდევს ადამიანის არსებობას და, შეიძლება ითქვას, განსაზღვრავს კიდევ ამ არსებობის ძირითად მომენტებს. მაგრამ, თუ კი ეს ასეა, დროის ეს ტიპოლოგიური ტრანსფორმაცია უნდა ახდენდეს გავლენას დეიქსისის ფენომენზე, რადგან, როგორც უკვე ვიცით, ტემპორალურობასა და დეიქსისს შორის არის ღრმა შინაგანი კავშირი და ურთიერთშესაბამისობა. ამიტომ ბუნებრივი იქნებოდა, ალბათ, გამოგვეთქვა შემდეგი ჰიპოთეზა: დროის ტიპოლოგიურ ტრანსფორმაციას უნდა შეესაბამებოდეს დეიქსისის ტიპოლოგიური ტრანსფორმაციაც, რაც კონკრეტულად ნიშნავს შემდეგს: როგორც ცნობილია, არ არსებობს გამონათქვამი შინაგანი დეიქტიკური სტრუქტურის გარეშე, მაგრამ ეს სტრუქტურა ვერ იქნება იდენტური განსხვავებულ კულტურულ ეპოქათა ფარგლებში.

მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ დროის ტიპოლოგიური ტრანსფორმაცია შინაგანად უკავშირდება ადამიანის ტიპოლოგიურ ტრანსფორმაციას პიროვნულ დონეზე: ტემპორალურობის განსხვავებულ ტიპს შეესაბამება ადამიანის როგორც ინდივიდის განსხვავებული ტიპი. მაგრამ ჩვენ უკვე ვიცით, რომ თანამედროვე ლინგვისტიკის წინაშე დგას ამოცანა, დაუქვემდებაროს ენობრივი სისტემის ხედვა და კვლევა ენობრივ პიროვნებას როგორც ლინგვისტურ მეტაკატეგორიას.

ბუნებრივია მივიჩნიოთ, რომ დეიქსისის ფენომენის ადეკვატური ინტერპრეტაცია უნდა ეყრდნობოდეს თანამედროვე სოციალურ ფსიქოლოგიას, უფრო კონკრეტულად კი – ისტორიულ ჭრილში დანახულ სოციალურ

ფსიქოლოგიას. რა თქმა უნდა, ენის მთელი ისტორიის განმავლობაში დეიქსისი ინარჩუნებს თავის ფუნქციურ არსს, რომელიც მდგომარეობს ჩვენებაში ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით: მეტყველი სუბიექტი (ადრესატი) არა მხოლოდ ასახელებს და ასახავს გარკვეულ რეფერენტულ სიტუაციას, არამედ ერთდროულად მიუჩენს კიდევ ადგილს არა მარტო თვით სიტუაციას, არამედ ტექსტში დასახელებულ საგანთა ერთობლიობასაც ადრესატისათვის კომუნიკაციურად რელევანტურ დრო-სივრცეში – და სწორედ ამაში მდგომარეობს დეიქსისით ნაგულისხმევი ჩვენების არსი. მაგრამ საქმე ისაა, რომ საზოგადოების ტიპის შეცვლა იწვევს სოციალური ფსიქოლოგიის ტრანსფორმაციას და ეს ტრანსფორმაცია თავის ბუნებრივ ანალოგს პოეზებს იმის ტრანსფორმაციაში, რასაც ჩვენ “ადრესატისთვის კომუნიკაციურად რელევანტური დრო-სივრცე” ვუწოდეთ.

როგორ გამოიყურება ჩვენთვის საინტერესო კონტექსტში საზოგადოების ის ტიპოლოგიური ტრანსფორმაცია, რომელსაც, როგორც ზემოთ ითქვა, გარდაუვალად უნდა მოჰყვეს დრო-სივრცის სტრუქტურული ტრანსფორმაცია ინდივიდუალურ დონეზე? ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას ჩვენ აუცილებელ თეორიულ წინაპირობად მივიჩნევთ ვარაუდს, რომლის თანახმად “დრო-სივრცედ” წოდებულ სტრუქტურულ კომპლექსში დომინირებს დრო, რაც საბოლოო ანგარიშში ნიშნავს სივრცის ტემპორალიზაციას.

როგორც ცნობილია, დასავლური საზოგადოების ტიპოლოგიური ტრანსფორმაცია გამოიხატება ძირითადად იმაში, რომ ტრადიციული პრეინდუსტრიული საზოგადოება იცვლება თანამედროვე ინდუსტრიული საზოგადოებით. ეს ცვლილება, რა თქმა უნდა, წარმოადგენდა მრავალასპექტროვან მოვლენას, მაგრამ თუ ჩვენ შევეცდებით დავინახოთ ის კონკრეტულ ინდივიდთან მიმართებაში, მაშინ უნდა ვთქვათ, რომ საზოგადოების ზემოთ ხსენებული ტრანსფორმაცია ნიშნავდა პირველ რიგში კულტურის ტრანსფორმაციას. როგორც პ.გურევიჩი აღნიშნავს, „კულტურული ეპოქები უსასრულოდ ცვლიან ერთმანეთს. ახალი დროის, ახალი კულტურული სიტუაციის დასაწყისი ნიშნავდა იმას, რომ შეიცვალა ღირებულებითი სასიცოცხლო და პრაქტიკული ორიენტირები. (6, 77, 1997). “რევოლუცია ცნობიერებაში” ნიშნავდა იმას, რომ დაიბადა ახალი კულტურული ეპოქა, ამიტომ ჩვენ შეგვიძლია ვიგულისხმოთ, რომ ის სოციალური ტრანსფორმაცია, რომლის შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი, ნიშნავდა ერთდროულად

რევოლუციას ცნობიერებაში და ახალი კულტურული ეპოქის დასაწყისს, სხვანაირად რომ ვთქვათ, ინდუსტრიალური საზოგადოების აღმოცენება ნიშნავდა ტრადიციული კულტურის ახალი კულტურით, ანუ “მოდერნის” კულტურით შეცვლას.

ზემოთ ნათქვამი, ალბათ, საშუალებას გვაძლევს რეალურად დავუკავშიროთ ერთმანეთს ორი ისეთი ფენომენი, რომლებიც ჩვეულებრივ განიხილებიან ხოლმე სრულიად განსხვავებულ, ერთმანეთისაგან დაშორებულ კონტექსტებში. ჩვენ ვგულისხმობთ ისეთ ფენომენებს, როგორცაა საზოგადოების და, შესაბამისად, კულტურის ტრანსფორმაცია და დეიქსისი. თუ კულტურულ ეპოქათა ცვლა ნიშნავს “რევოლუციას” ცნობიერებაში და ცნობიერება კი, რა თქმა უნდა, არსებობს უპირველესად კონკრეტულ ინდივიდებში, მაშინ სხენებულ რევოლუციას გარდაუვალად უნდა მოეცვა ადამიანთა ურთიერთობის ის სფეროც, რომელსაც კომუნიკაციის, პირველ რიგში კი – ენობრივი კომუნიკაციის – სფერო ეწოდება. მაგრამ ჩვენ უკვე ვიცით, რომ ინდივიდს, დანახულს ენობრივ კომუნიკაციაში მონაწილეობის პრიზმით, შეესაბამება სწორედ ენობრივი პიროვნების ის ცნება, რომელიც მოწოდებულია შეასრულოს მეტაკატეგორიის როლი თანამედროვე ლინგვისტურ აზროვნებაში.

ჩვენ თეორიული თვალსაზრისით უკვე დავუკავშირეთ ერთმანეთს ენობრივი პიროვნებისა და დეიქსისის ცნებები. რამდენადმე მაინც შევაჯამებთ განვითარებულ მოსაზრებებს, თუ დავსვამთ კითხვას: რაში მდგომარეობს ცნობიერების ტრანსფორმაციის ის ასპექტი, რომელიც თან ახლდა ინდუსტრიული საზოგადოების და ერთდროულად ახალი კულტურის აღმოცენებას და რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა დეიქსისის ტრანსფორმაციისათვის, ანუ დეიქსისი სრულიად ახალი (განახლებული) შიდა “მექანიზმის” წარმოშობისათვის? ჩვენი აზრით, ამ კითხვის დასმა შეიძლება სხვა ფორმითაც და ამ შემთხვევაში იგი უშუალო მიმართებაში აღმოჩნდება დეიქსისის თეორიასთან: როგორ უნდა იქნას გაგებული და აღწერილი თანამედროვე ევროპულ ენათა დეიქტიკური ასპექტის (დეიქტიკური ქვესისტემის) ის სიდრმისეული სემანტიკურ-პრაგმატული განზომილება, რომელიც განპირობებულია თანამედროვე ანუ “მოდერნული” კულტურისათვის დამახასიათებელი ცნობიერებით? ამ კითხვის დასმის გარეშე ვერ მოხდება ენობრივი პიროვნების, ტემპორალურობის და დეიქსისის ის სიდრმისეულ-

ორგანული ურთიერთ დაკავშირება, რომლის აუცილებლობაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი.

როგორც ვხედავთ, დეიქსისის ფენომენის გაღრმავებულ კვლევას მიყვევართ ინტერდისციპლინარული კვლევის აუცილებლობამდე, სახელდობრ კი იმ პრობლემატიკის სფერომდე, რომელიც ჩვენს დროში ფორმდება “კულტუროლოგიური ლინგვისტიკის” (ან ლინგვოკულტუროლოგიის) სახით. თანამედროვე ლინგვოკულტუროლოგიურ კვლევას ჯერ კიდევ აკლია ენისა და კულტურის ურთიერთმიმართების განხილვა ისტორიულ-დიაქრონიულ ასპექტში, ამგვარი კვლევის აუცილებლობა კი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს თვით ლინგვისტიკის განვითარების იმ ეტაპზე, რომელიც განპირობებულია ანთროპოცენტრისტულ-კომუნიკაციური პარადიგმის დომინირებით. ეს პარადიგმა, როგორც ცნობილია, ყურადღებას ამახვილებს კომუნიკაციური ქმედების იმ ასპექტებზე, რომლებიც სემანტიკურად და ფუნქციურად უკავშირდებიან კომუნიკაციის სუბიექტებს ანუ ენობრივ პიროვნებებს. ჩვენს მიერ ზემოთ დასმული პრობლემა გულისხმობს სწორედ იმის გამოკვლევის აუცილებლობას, თუ როგორ ტრანსფორმირდება ენობრივი კომუნიკაციის ფუნქციურ-სემანტიკური განზომილება თვით ენობრივ პიროვნებათა კულტურული ტრანსფორმაციის შედეგად. (3, 115, 2004)

უფრო კონკრეტულად კი ჩვენ გვსურს (და სწორედ ამ საბოლოო მიზნისკენ იყო მიმართული მთელი ჩვენი ზემოთ განვითარებული მსჯელობა), შინაგანად და არსებითად დაუკავშიროთ დეიქსისის ადამიანური დროის (ტემპორალურობის) იმ შინაარსობრივ ტრანსფორმაციას, რომელიც განპირობებულია თანამედროვე ანუ “მოდერნული” კულტურის გენეზისით. თანამედროვე ისტორიული სოციოლოგია, ახასიათებს რა ტრადიციულ ანუ პრეინდუსტრიულ საზოგადოებას, აღნიშნავს შემდეგს: „ტრადიციულ საზოგადოებაში პრაქტიკულად არ არსებობს წარმოდგენა ინოვაციაზე. სე იმიტომ ხდება, რომ ადამიანი ცხოვრობს დროის წრეში. „დრო-წრე“-ბუნებრივი დროის ანალოგია, წელიწადის დროთა უსასრულო ცვლილების შესახებ შეხსენება...” (10, 58, 1997). (თარგმ.-ლ.თ.) მაგრამ, თუ ასეთი იყო ტრადიციული ადამიანისათვის დროის სტრუქტურა, შესაბამისი სემანტიკა უნდა ჰქონოდა ენობრივ დეიქსისსაც ამ საზოგადოებისთვის დამახასიათებელი ენობრივი კომუნიკაციის ფარგლებში – რადგან, როგორც ვიცით, საკომუნიკაციო აქტის ავტორი და სუბიექტი არის ენობრივი პიროვნება, ხოლო ეს უკანასკნელი კი

შეუძლებელია არ წარმოადგენდეს სოციალურ-ფსიქოლოგიურად გაგებულ პიროვნების ერთ-ერთ განზომილებას. მაგრამ, როგორც ცნობილია, ევროპულ სინამდვილეში ტრადიციული საზოგადოება შეიცვალა ინდუსტრიული საზოგადოებით, ხოლო ამ ცვლილებამ კი გამოიწვია ადამიანის ცნობიერების ტრანსფორმაცია და დაიბადა ახალი კულტურა. ამ ცვლილების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მომენტს წარმოადგენდა სწორედ ის ფაქტი, რომ რადიკალურად შეიცვალა ადამიანთა წარმოდგენა დროზე: თუ წრიული დროის ფარგლებში დროის სამი მოდუსიდან (წარსული, აწმყო, მომავალი) დომინირებდა წარსული და ეს წარსული ამა თუ იმ სახით მუდმივად ბრუნდებოდა, წინა პლანზე ახლა უკვე მომავალი გამოდის, ეს კი იწვევს რადიკალურ ცვლილებას თვით დროის სტრუქტურაში. ჩვენს მიერ უკვე ციტირებული ავტორი წერს ამის შესახებ: „მომავლის თემის აღმოცენება უკავშირდება დროის შესახებ წარმოდგენის შეცვლას... ტრადიციული საზოგადოების ციკლური „დრო-წრე“ „დრო-ისრად“ იქცევა...”. (10, 98, 1997) (თარგმ.-ლ.თ.)

დროის სტრუქტურის ეს ტრანსფორმაცია ხდება მთელი საზოგადოების ფარგლებში, მაგრამ ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ცნობიერების იმ ახალი სტრუქტურის ფორმირებას, რომელიც გამოიწვია სოციალური დროის ხსენებულმა ტრანსფორმაციამ. უნდა ჩავთვალოთ, რომ მთავარი და გადამწყვეტი ამ თვალსაზრისით იყო პირადი ბიოგრაფიის როგორც პიროვნული ფსიქოლოგიის ცენტრალური კატეგორიის გენეზისი: „ადამიანს უჩნდება წარმოდგენა საკუთარ ცხოვრებაზე, როგორც ბიოგრაფიაზე, ინდივიდუალური ცხოვრება იგეგმება კარიერის ტერმინებში. პიროვნების ცხოვრებისეული ციკლი ხორციელდება იმ ეტაპების თანმიმდევრული ცვალებადობით, რომლებსაც უკვე არ გააჩნიათ რიტუალური ნიშნულები (მაგალითად-დღესასწაულები). გზამკვლევ ვარსკვლავად თავად სიცოცხლე იქცევა.” (10, 88, 1997). (თარგმ.-ლ.თ.)

ჩვენი აზრით, დეიქსისის ლინგვოკულტუროლოგიური კვლევისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს იმ ფაქტს, რომ ბიოგრაფიის ეს ახლებურად სტრუქტურირებული ფენომენი განიცდის იმ შინაგან ტრანსფორმაციას, რომელიც პიროვნების მიერ საკუთარი „მე“-ს ახლებურ აღქმას უკავშირდება: „ჩნდება „მე“, რომელიც ავტომატიურად არ ენდობა არვის და არაფერს. ადამიანისათვის პრობლემად იქცევა თვითგამორკვევა. „მე“ იაზრებს საკუთარ თავსავტობიოგრაფიის ტერმინებში” (10, 88, 1997). (თარგმ.-ლ.თ. აქედან

გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე საზოგადოების ფარგლებში ბიოგრაფია აღიქმება, პირველ რიგში, როგორც ავტობიოგრაფია: „ავტობიოგრაფია შეადგენს თვითიდენტურობის ბირთვის თანამედროვე სოციალური ცხოვრების პირობებში.” (10, 102, 1997). (თარგმ.–ლ.თ.)

ეს კი, ჩვენი აზრით, იმას ნიშნავს, რომ რადიკალურად იცვლება ენობრივი პიროვნებაც, და, შესაბამისად, ენობრივი კომუნიკაციის ყოველი აქტი თავისი დეიქტიკური ველით აუცილებლად უნდა დაექვემდებაროს ბიოგრაფიულ-პერსონალურ დროს ისე, რომ ფაქტობრივად უნდა იქცეს მის შემადგენელ სტრუქტურულ ელემენტად.

§3. დეიქსისის პრობლემა ენათმეცნიერებაში და მისი ლინგოკულტუროლოგიური კვლევის პრობლემა.

„დეიქსისი“ ანტიკური ხანიდანაა ცნობილი, მაგრამ მასზე, როგორც ლინგვისტურ მოვლენაზე, განსაკუთრებული ყურადღება მხოლოდ მე-20 საუკუნის დასაწყისში გერმანელმა, ინდო-ევროპული ენების მკვლევარმა კ. ბრუგმანმა გაამახვილა (Бругманн 1904). კ. ბრუგმანის ნაშრომს ეყრდნობოდა ცნობილი გერმანელი ფსიქოლოგი და ლინგვისტი კ. ბიულერი, რომელმაც თავის წიგნში „Теория языка“ (Бюлер 1934) დიდი ადგილი დაუთმო დეიქსისის შესწავლას. კ. ბიულერმა ხაზი გაუსვა ორ გარემოებას, რომელიც თვითონ დეიქსისიდან გამომდინარეობდა – ანაფორასა და Deixis am Phantasma - დეიქსური ცენტრის აზრობრივ გადატანას ნებისმიერ ადგილას სივრცესა და დროში. მ საკითხის სემიოტიკური ტრადიცია უკავშირდება ჩ. პირსს. მან პირველმა 1940 წელს ჩვენებითი ნაცვალსახელებისათვის შემოიღო ტერმინი „ინდექსური ნიშნები,“ რომელიც სიტყვებსა და ობიექტებს შორის უშუალო კავშირს დაამყარებდა. დეიქსისის განვითარების საწყის წყაროდ კი შეიძლება მივიჩნიოთ ო. ესპერსენის ნაშრომი, რომელმაც 1922 წელს ენობრივი ერთეულებისათვის შემოიღო ტერმინი – „შიფტერი“ (Есперсен 1922), რომელთა გამოყენება და გაგება რადიკალურადაა დამოკიდებული მოლაპარაკესა თუ სხვა კომუნიკაციურ კოორდინატებზე. დეიქსური ელემენტები შიფტერების ტიპური მაგალითებია, რომელთა ინტერპრეტაცია კონტექსტის გარეშე შეუძლებელია. წინადადების I am here now გაგება შეუძლებელია, თუ ადრესატმა არ იცის, სად და როდის, ან ვის მიერაა იგი წარმოთქმული.

ანალოგიური იდეები მოგვიანებით უფრო ღრმად იქნა შესწავლილი ა. პეშკოვსკისა და ე. ბენვენისტის მიერ (Пешковский 1956, Бенвенист 1974). გასული საუკუნის 50-იან წლებში კი რ. იაკობსონმა თავის ცნობილ სტატიაში – „Шифтеры, глагольные категории и русский глагол“, ერთმანეთს დაუპირისპირა შიფტერული (დეიქსური) და არაშიფტერული გრამატიკული კატეგორიები (Якобсон 1957). როგორც ცნობილია, ენაში ორი გრამატიკული კატეგორია ხშირად უკავშირდება დროის სემანტიკას – დროსა და ასპექტს. პირველი შიფტერული კატეგორიაა, მეორე კი არა. შიფტერების მნიშვნელობა საკმაოდ აბსტრაქტულია, მათი რეფერენცია კი ცვალებადი, თუმცა ზოგ შემთხვევაში იგი

კონკრეტულიცაა. თუ საუბარში რამდენიმე პირი ღებულობს მონაწილეობას, დისკურსში წარმოდგენილი იქნება შესაბამისი რაოდენობით სხვადასხვა „მე“, ხოლო სხვადასხვა „ჩვენ“ – ნაცვალსახელთა რაოდენობა შესაძლოა ბევრად უფრო მეტი იყოს. ბავშვი პირის ნაცვალსახელების (I, You) სწორად გამოყენებას უცებ ვერ ახერხებს. მიუხედავად ამისა მსოფლიო ენების უმრავლესობა (გარდა ზოგიერთი გამონაკლისისა) ამ უნივერსალურ და ძალიან ეკონომიურ ენობრივ ელემენტებს იყენებს.

ბოლო დროს ენებში დეიქსისის თეორიული კვლევა სულ უფრო მეტად ეყრდნობა დეიქსური საშუალებების ემპირიულ შესწავლას. უ. ვიზემანის მიერ შედგენილ კრებულში „Местоименные системы“ (Виземанн 1987) თავმოყრილია უმდიდრესი მასალა სხვადასხვა არეალის ენებზე, მათ შორის ისეთ ნაკლებად შესწავლილებზეც, როგორცაა ამაზონიის, ახალი გვინეის, აფრიკისა და ა.შ. ნაცვალსახელი, როგორც ერთ-ერთი ძირითადი დეიქსური საშუალება, დეიქსური მექანიზმების შესწავლის საუკეთესო პოლიგონად იქცა.

რ. პერკინსმა გრამატიზებული დეიქსური კატეგორიების ორიგინალური ლინგვო-ანთროპოლოგიური გამოკვლევა ჩაატარა (ნაცვალსახელთა პირი, ინკლუზიურობა/ექსკლუზიურობა, მოსაუბრესთან სიახლოვე, გრამატიკული დრო). რ. პერკინსის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, რაც უფრო რთულია კულტურა, იმ ენაში მით უფრო ნაკლები გრამატიკული დეიქსური კატეგორიები გვხვდება (Perkins 1992).

ხ. დისელი დეტალურად განიხილავს როგორც სივრცის, ისე საგნობრივ და დროის დეიქსისს, კერძოდ კი ჩვენებით ნაცვალსახელებს, ანუ დემონსტრაციებს და განასხვავებს მათ რამდენიმე სინტაქსურ ტიპს – სუბსტანციურს (What's it?), ადიექტურს (This armchair is comfortable), ადვერბიალურს (here, there) და ინდიფიციურს (this, that). სიახლოვე/სიშორის დაპირისპირების გარდა, დეიქსურ ცენტრთან დაკავშირებით (ჩვეულებრივ იგულისხმება მოსაუბრის ადგილმდებარეობა) ენებში უფრო რთული დეიქსური სისტემები გვხვდება, რაც ეფუძნება მოსაუბრისათვის რეფერენტის უნახაობას/არაუნახაობას, მის ადგილმდებარეობას – სიახლოვესა და სიშორეს. დემონსტრაციები სხვა კლასის ლექსემებისაგან არასოდეს არ წარმოიქმნება, ე. ი. დემონსტრაციები ენების ბაზურ მორფოლოგიურ შემადგენლობაში შედის. ეს კი მათი დეიქსური ფუნქციით აიხსნება: დეიქსისი ენათა ერთ-ერთი უძველესი და შედარებით ფუნდამენტალური მექანიზმია (Диссель 1999).

თანამედროვე ლინგვისტიკაში, ს. ლევისონი ენათა ორ ტიპს უპირისპირებს ერთმანეთს და გამომდინარეობს იქედან, თუ დროის რომელი მომენტი მიიჩნევა მთავარ წერტილად წერილობითი კომუნიკაციის დროს – ინფორმაციის შედგენის თუ ადრესატის მიერ მისი მიღების, (85, 115, 1983).

დეიქსისის თანამედროვე გაგებისათვის საინტერესო მასალას იძლევა ლ. გრენობლის ნაშრომი, რომელშიც მოცემულია რუსული ენის დეიქსური საშუალებების სრული აღწერა (Грениль 1998).

ზემოთ ჩვენ განვიხილეთ დეიქსისის მხოლოდ ერთი ფუნდამენტალური ტიპი, ე. წ. პირველადი დეიქსისი, რომლისგანაც სულ ცოტა მაინც სამი სხვადასხვა სახე მიიღება, ესენია: მეორადი დეიქსისი, ანაფორა და დისკურსის დეიქსისი.

პირველადი დეიქსისის დროს მნიშვნების განხორციელება დეიქსურ ცენტრზე დაყრდნობით ხდება – „მოსაუბრე, აქ, ახლა“. შეუძლებელია არ აღვნიშნოთ, რომ გასულ საუკუნეებში მეცნიერები შეისწავლიდნენ ენას ცალკე, ბოლო დროს კი მნიშვნელოვანი გახდა შემდეგი საკითხები: როგორ უკავშირდება ენა ადამიანს, რამდენადაა ადამიანი დამოკიდებული ენაზე, როგორ განსაზღვრავს კომუნიკაციური სიტუაცია ენობრივი საშუალებების არჩევანს. „მოსაუბრე, აქ, ახლა“ მივყავართ ანტროპოცენტრისტულ პარადიგმასთან, რომელშიც უმთავრესია პიროვნება და მისი ადგილი კულტურაში. ხაზგასმულია ისიც, რომ პიროვნება ენის გარეშე არ არსებობს. ჩვენ ვცდილობთ, დეიქსისის პრობლემა დავაკავშიროთ ლინგვოკულტუროლოგიასთან, ანუ მოვახდინოთ არა ცალკეული ნიშნების კვლევა, არამედ შევისწავლოთ პიროვნება კულტურაში და ხაზი გავუსვათ იმ ფაქტს, თუ როგორ იყენებს პიროვნება ენას. დისკურსში შეიძლება წარმოიქმნას ალტერნატიული დეიქსური ცენტრები, სადაც ვირტუალურად თავსდება აზრობრივი სუბიექტი და მეორადი დეიქსისის მოვლენაც მხოლოდ მაშინ წარმოიხინდება. განვიხილოთ გამონათქვამი – Seeing the astonished faces of the hosts, he understood, that he wasn't expected there. დამოკიდებულ წინადადებაში, – that he wasn't expected there, რომელიც ირიბ მეტყველებას გადმოცემს, სამი დეიქსური ელემენტი შედის: he, there და წარსული დრო. ეს მოვლენა აზრობრივ დეიქსურ ცენტრზეა დაფუძნებული. პირველი პირის ნაცვალსახელი – მე, ასეთ დროს იცვლება მესამე პირის ნაცვალსახელით, ხოლო სივრცისა და დროის დეიქსური ელემენტები შესაძლებელია უცვლელი

დარჩეს. ასეთ მოვლენებს ე. პადუჩევა „ინტერპრეტაციის თხრობით რეჟიმს“ უწოდებს (13, 77, 1996).

როგორც ცნობილია, ფორმალური საშუალებების უმეტესობა, რომლებიც დეიქსური თვალსაზრისით გამოიყენება, შეიძლება ანაფორულადაც ვიხმაროთ. მესამე პირის ნაცვალსახელთა ანაფორული გამოყენებისას მოსაუბრე ხშირად ეყრდნობა იმას, რომ შესაბამისი რეფერენტი წინამავალ დისკურსში ახლახან იყო ნახსენები. დეიქსურ ელემენტთა მეორადი ანაფორული გამოყენება ეფუძნება მეტაფორას, თუმცა ანაფორის გაგება პირველყოვლისა სახელადი ჯგუფების გამოყენებას უკავშირდება. სინამდვილეში ენობრივი ერთეულების ანალოგიური გადატანა იმ სხვა ტიპებთანაც გვხვდება, რომლებიც შიფტერულ კომპონენტებს შეიცავენ, მაგალითად, ზმნიზედებთან. შევადაროთ წინადადებები: I feel the treasure is somewhere here (ახლოს მოსაუბრესთან) და Young men felt, that the treasure was somewhere near (ახლოს აქტივიზებულ რეფერენტთან Young men).

დეიქსურ და ანაფორულ მექანიზმთა ოპოზიციები უაღრესად საინტერესოდ აქვს შესწავლილი ჯ. ლაიონზს (87, 115, 1977).

კიდევ ერთი კონვენციონალური მეტაფორა ამსგავსებს წერილობით (ზოგჯერ ზეპირ) ტექსტს კომუნიკაციური აქტის ფიზიკურ სივრცესა ან დროს. ამ მეტაფორას ეფუძნება ისეთი გამოთქმები, როგორცაა: it was shown (stated) above, in the last case, in the following passage, etc. ასეთ შემთხვევაში საქმე გვაქვს დისკურსულ დეიქსისტანს. ხოლო დეიქსურ ცენტრს წარმოადგენს ტექსტის ის ნაწილი, სადაც მოცემულ მომენტში ტექსტის ავტორი და მისი ადრესატი მდებარეობს.

არსებობს აგრეთვე ტერმინი – სოციალური დეიქსისი, რომელიც სხვადასხვა ენებში ზრდილობიანი კატეგორიების გამოსაკვლევად გამოიყენება. მაგალითად, რუსულ ენაში მხოლოდითი რიცხვის მეორე პირის ნაცვალსახელთა (ТЫ, ВЫ) არჩევა იმის მიხედვითაა, თუ რა სოციალური სტატუსი აქვთ მოსაუბრესა და ადრესატს. ეს შემთხვევა უშუალოდ დეიქსისს არ უკავშირდება და ტერმინი „სოციალური დეიქსისი“ მხოლოდ იმიტომ გამოიყენება, რომ ზრდილობიანი კატეგორიების დადგენა დეიქსური ელემენტების, კერძოდ, პირის ნაცვალსახელებით ხდება.

დეიქსისი (ბერძნ.-მითითება) – ენობრივი გამოთქმებისა და სხვა ნიშნების გამოყენებაა, რომელთა ინტერპრეტაცია შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ კომუნიკაციური აქტის ფიზიკურ კოორდინატთა საშუალებით – მათ

მონაწილეებთან, ადგილსა და დროსთან მიმართებაში. შესაბამისი ზმნური საშუალებები დეიქსური გამოთქმები ან ელემენტებია. ჩვეულებრივ დეიქსისის სამ ძირითად სახეს განასხვავებენ – პერსონალურს, სივრცისას და დროისას. ძირითადი ენობრივი ერთეულები, რომლებიც ამ სამ ტიპს შეესაბამება I და II პირის (I, You), ადგილისა (here) და დროის (now) ნაცვალსახელებია.

დეიქსისი – გრამატიკული კატეგორიაა, რომელიც გამონათქვამის დონეზე შეიცავს სიტუაციის დამახასიათებელ პირდაპირ მითითებას. დეიქსური გამონათქვამის მნიშვნელობა იმ სიტუაციას შეესაბამება, რომელშიც იგი გამოიყენება. მაგალითად, ნაცვალსახელთა (I, You) ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარია, იმის მიხედვით, ვის მიყავს საუბარი და ვინ არის ადრესატი. მოსაუბრეთა განლაგება დროსა და სივრცეში მართავს იმ დროსა და სივრცის ზმნიხედების today, tomorrow, here and there ინტერპრეტაციას. (43, 65, 1992).

დეიქსური სიტყვები მთლიანადაა დამოკიდებული სამეტყველო სიტუაციაზე. მათ სემანტიკურ მნიშვნელობაში ასახული პიროვნებათშორისო ურთიერთობები გარდამავალია და მეტყველების აქტების მონაცვლეობასთან ერთად, ციკლურ ხასიათს ატარებს.

პერსონალური დეიქსისი უფრო ფართო მოვლენის – საგნობრივი დეიქსისის სახეს წარმოადგენს. საგნობრივი დეიქსისის არამარკირებული გამოთქმები – მესამე პირის ნაცვალსახელები, შესტიკულაციით (ხელით, თავით, თვალებით) ხასიათდება. მაგალითად, როცა მასწავლებელი აპირებს ერთ-ერთი მოჩხუბარი ბავშვის დასჯას, ის აცხადებს: ყველაფერი ეს მან დაიწყო და ხელით ერთ-ერთ თავის მოწინააღმდეგეზე მიათითებს. ასევე შესაძლებელია გამოყენებული იყოს ჩვენებითი ნაცვალსახელები, მაგალითად: A - აჩვენებს B-ს სურათებს, B - კი ერთ-ერთ პირზე მიანიშნებს და კითხულობს: „ეს ვინ არის?“ სხვადასხვა ენაში მესამე პირის ნაცვალსახელები ხშირად ჩვენებითი ნაცვალსახელებისაგან დიაქრონულად წარმოიქმნება, რაც ამ ერთეულთა ორ კლასს შორის მჭიდრო კავშირზე მეტყველებს.

სპეციალური დეიქსური საშუალებების გამოყენების შემთხვევაში, საგნობრივი/პერსონალური დეიქსისი შესტიკულაციის გარეშეც გვხვდება. მათ რიცხვს ეკუთვნის ნაცვალსახელები (I და II პირის), რომლებიც კომუნიკაციური აქტის მონაწილეებზე მიუთითებს. ორთავე შემთხვევაში – ჯესტიკულაციის გამოყენებისა და კომუნიკაციური აქტის კოორდინატებზე დაყრდნობისას –

მყარდება კავშირი ენობრივ გამონათქვამსა და არაენობრივ ობიექტს შორის. ამაში მდგომარეობს პროტოტიპური დეიქსური გამოთქმების ძირითადი არსი.

როგორც ე. ბენვენისტმა აღნიშნა, პირის კატეგორია (ნაცვალსახელებთან, ზმნასთან) არაერთგვაროვანია. კომუნიკაციური აქტის მონაწილეთა აღმნიშვნელი I და II პირი უპირისპირდება III პირს, რომელიც ე. ბენვენისტმა დაახასიათა, როგორც „არა-პირი“ (Бенвенист 1974, 177). ამ დაპირისპირებას ენებში ბევრი კონკრეტული გამოხატულება გააჩნია. სხვადასხვა კულტურის ენებში (მაგალითად, ჩრდილოეთ ამერიკის), მე-3 პირისაგან განსხვავებით I და II პირის კოდირება სხვადასხვაგვარად ხდება. ზოგ ენაში (მაგალითად, თურქმენულში) III პირის ნაცვალსახელები ჩვენებითისგან არაფრით განსხვავდება. ზოგიერთ ენაში I და II პირის ნაცვალსახელთა გარჩევა საერთოდ არ ხდება. და ბოლოს, ბევრ ენაში ე.წ. პირის, ანუ დეიქსური იერარქიული სახე „1,2>3“ ვლინდება, ე.ი. I და II პირი ამა თუ იმ გრამატიკულ გამოვლენასთან კავშირში III პირთან შედარებით უპირატესობით სარგებლობს. იაპონურ ენაში დღემდე შენარჩუნდა მხოლოდითი რიცხვის მეორე პირის ნაცვალსახელების უამრავი ფორმა, რომელთა ნაწილი გამოიყენება ბავშვებთან, ნაწილი მოსწავლეებთან, ნაწილი კი მოსამსახურებთან ურთიერთობისას. ცხადია ეს მათ კულტურას უკავშირდება, რომლის გაანალიზებასაც ჩვენ კონკრეტულ კონტექსტზე დაყრდნობით ლინგვოკულტუროლოგიური თვალსაზრისით ვცდილობთ.

ნებისმიერ კულტურაში ადამიანის არსებობის განმსაზღვრელია დრო. ენებში სივრცის და დროის დეიქსისის რეალიზება ორი ძირითადი ფორმალური ტიპის ელემენტების საშუალებით ხდება: სახელადი ჯგუფებით, რომლებიც შეიცავენ ჩვენებით ნაცვალსახელებს ან მათ ანალოგიებს (ამ ტყეში, ამ წელს, ა.შ.) და ზმნიზებებით (აქ, დღეს, ახლა, ა.შ.). ბევრ ენაში დროის გამოსახატავად არსებობს გრამატიკული კატეგორია. ვთქვათ, გამოთქმაში – I'm writing the article , ზმნა ახლანდელი დროით არის გამოხატული და ნათლად მიუთითებს დროის იმ შუალედზე, რომელიც საუბრის მომენტს მოიცავს.

ხშირად საგნობრივი და სივრცის დეიქსისის გარჩევა რთულია. შევადაროთ ერთმანეთს სიტყვები, რომლებიც სიდიდით ერთმანეთისაგან განსხვავდება: pen – table – room – building – town – country – planet ... თითოეულ კონცეპტს დისკურსში შეიძლება ჰქონდეს როგორც ობიექტის, ისე ლოკუსის ფუნქცია. ნაკლები ზომის კონცეპტები შკალის მარცხენა ნაწილში (this pen) უფრო ხშირად ობიექტებად ითვლებიან, ხოლო შუა და განსაკუთრებით

მარჯვენა ნაწილში მეოფი კონცეპტები – ლოკუსებად. ძნელი სათქმელია, რომელს მივაკუთვნოთ შემდეგი სახის დეიქსური გამოთქმა – This town isn't convenient for living – საგნობრივ თუ სივრცის დეიქსისს.

ზოგჯერ, სემანტიკურ თეორიებში დეიქსური გამოთქმები განიხილება, როგორც ეგზოტიკური, „ნორმალური“ ენობრივი ერთეულებისაგან განსხვავებულნი, რომელთა მნიშვნელობა კონტექსტსა და სიტუაციაზე არაა დამოკიდებული. სინამდვილეში დეიქსური კომპონენტები ენობრივი ერთეულების ბევრ ჯგუფს ახასიათებს. ასე მაგალითად, ინგლისური ზმნები come – მოსვლა, გი –წასვლა, ბუნებით დეიქსურია. გამოთქმა come to x, მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიყენება, თუ მოსაუბრე ან ადრესატი იმყოფება x ადგილზე საუბრის მომენტში.

ენისა და სტრუქტურის ურთიერთდამოკიდებულება ყველაზე ნათელ გამოხატულებას დეიქსისის ფენომენთან პოულობს. ჩვენებითი ნაცვალსახელები, პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელები, დროის კატეგორია, დროისა და ადგილის ზმნიზედები, როგორცაა (now და here) და უამრავი სხვა გრამატიკული საშუალებები, რომელიც გამონათქვამთანაა უშუალოდ დაკავშირებული სწორედ ამ მიზნით გამოიყენება.

ძირითადად, დეიქსისი გადმოგვცემს იმ საშუალებებს, რომლითაც ენები გამონათქვამის კონტექსტის ან მეტყველების კოდირებასა თუ გრამატიკულ წესებზე დაქვემდებარებას ახდენს. ამასთანავე იგი მიუთითებს კონტექსტის ანალიზზე დამოკიდებული გამონათქვამის ინტერპრეტაციაზეც.

უნდა დავეთანხმოთ ა. ლეონტიევის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ სხვადასხვა ენები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არა მხოლოდ გრამატიკული სტრუქტურით, არამედ ენობრივი სტრუქტურის შესაბამისობითა და მისი კონტექსტსა თუ სიტუაციაში კონკრეტული რეალიზაციით. ასე მაგალითად, ზოგიერთ ენებში გრამატიკული მნიშვნელობები სწორედ სიტუაციისა და კონტექსტის საშუალებით გამოვლინდება. (11, 52, 2002)

დეიქსური ინფორმაციის მნიშვნელობა გამონათქვამთა ინტერპრეტაციისათვის შესაძლოა ყველაზე კარგად მაშინ წარმოჩინდეს, როცა ასეთი ინფორმაცია არ მოიძებნება (Fillmore, 1975:38-9). საილუსტრაციოდ ავიღოთ კარებზე დატოვებული შემდეგი შენიშვნა:

I'll be back in an hour.

ვინაიდან არ ვიცით, თუ როდის იქნა ეს დაწერილი, ვერც იმას მივხვდებით, როდის დაბრუნდება ამ შენიშვნის ავტორი.

ან, წარმოვიდგინოთ, რომ ზღვაში ვიპოვეთ ბოთლი და მასში შემდეგი სახის ცნობაა:

Meet me here a week from now with a stick about this big.

აქედან გამომდინარე, ჩვენ ვერ მივხვდებით, ვის, სად ან როდის უნდა შევხვდეთ, ან რა ზომის ჯოხი უნდა მივიტანოთ.

დეიქსისის ბევრი ასპექტი იმდენად არის გავრცელებული ენებში და ისე ექვემდებარება გრამატიკულ წესებს, რომ ძნელია ისინი სემანტიკის არსებით ნაწილად არ მივიჩნიოთ. თუ სემანტიკა მოიცავს მნიშვნელობის ყველა პირობით ასპექტს, მაშინ, ალბათ, დეიქსისის ფენომენი სემანტიკას უნდა მივაკუთვნოთ. თუმცა, დეიქსისი პრაგმატიკის არეალსაც მოიცავს, რადგან ის უშუალოდ ეხება ენების სტრუქტურასა და კონტექსტს შორის ურთიერთობას. კლასიფიცირების ყველა ეს სახე გარკვეულ თეორიას ეფუძნება, ამიტომაც შესაძლოა დეიქსისის გრამატიკული კატეგორია სემანტიკა/პრაგმატიკის საზღვრებს შორის მივიჩნიოთ.

დეიქსისის განხილვისას არ შეიძლება ყურადღება არ გავამახვილოთ ფილოსოფიურ მიდგომაზე (Pierce, Reichenbach, Russell).

დეიქსისის თემა შეიძლება წარმატებით იქნეს განხილული, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, თუ როგორ ეყრდნობა ცალკეულ ენობრივ გამონათქვამებს ჭეშმარიტად პირობითი სემანტიკა. წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენ წინადადების სემანტიკურ არსს მის ჭეშმარიტებასთან ვაიგივებთ, მაშინ შემდეგი წინადადების სემანტიკური შინაარსი – *Letizia de Ramolino was the mother of Napoleon* – იმ გარემოებათა სპეციფიკაციის ტოლფასი იქნება, სადაც იგი ჭეშმარიტებაა. კერძოდ ის, რომ პიროვნება, რომელიც ცნობილი იყო, როგორც *Letizia de Ramolino*, სინამდვილეში იყო ნაპოლეონის დედა. ეს ჭეშმარიტება დამოკიდებული არ არის იმაზე, ვინ ამბობს მას, არამედ უბრალოდ იგი ისტორიულ ფაქტებზე, მაგრამ წინადადების *I am the mother of Napoleon* – ჭეშმარიტებას ვერ შევაფასებთ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მოსაუბრის ვინაობას; იგი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება სიმართლე, თუ ამ წინადადების წარმომთქმელი პიროვნება, მართლაც, ნაპოლეონის დედაა, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მცდარია. ასეთ შემთხვევაში სიმართლის დასადგენად გვესაჭიროება არა მხოლოდ ისტორიული ფაქტების ცოდნა, არამედ კერძო დეტალები კონტექსტის შესახებ, რომელშიც ის წარმოითქვა (აქ, მოსაუბრის

ვინაობა). რა თქმა უნდა, I ერთადერთ პრობლემას არ წარმოადგენს ინგლისურ ენაში; იგივე პრობლემას ვხვდებით შემდეგ მაგალითებში:

You are the mother of Napoleon.

This is an eighteenth-century man-trap.

Mary is in love with that fellow over there.

It is now 12.15.

წინადადებები სწორი იქნება იმ შემთხვევაში, თუ ადრესატი სინამდვილეში არის ნაპოლეონის დედა, თუ მოსაუბრის მიერ ახლა მითითებული ობიექტი, მართლაც, მეთვრამეტე საუკუნის მახეს წარმოადგენს, თუ მერი მართლაც შეყვარებულია ყმაწვილზე, რომელიც მოსაუბრის მიერ მითითებულ ადგილზე იმყოფება და საუბრის მომენტში ზუსტად 12.15-ია. თითოეულ შემთხვევაში, კონტექსტზე წარმოთქმული აზრი უკავშირდება კერძო დეიქსურ გამოთქმებსა თუ მაჩვენებლებს. წინადადებები, რომლებიც ასეთ გამოთქმებს შეიცავს და, რომელთა ჭეშმარიტებაც დამოკიდებულია გამონათქვამის კონტექსტის კერძო ფაქტებზე, (მოსაუბრე, ადრესატის ვინაობა, მითითებული ობიექტები, ადგილები, დრო და ა.შ.) რა თქმა უნდა, არ ჩაითვლება განსაკუთრებული სახის წინადადებად.

ფილოსოფოსთა განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია იმ გამონათქვამებმა, რომელშიც გვხვდება ჩვენებითი ნაცვალსახელები, პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელები და დროის აღმნიშვნელი მორფემები. პირველად სწორედ პირსმა უწოდა ასეთ გამოთქმებს ინდექსური ნიშნები (indexical signs). იგი ასაბუთებდა, რომ ისინი განსაზღვრავდნენ რეფერენტს, ნიშანსა და რეფერენტს შორის არსებულ ეგზისტენციალურ ურთიერთობას (Burks, 1949). პირსის კატეგორია ფაქტობრივად, მეტის მომცველი იყო, ვიდრე კერძო კონტექსტზე დამოკიდებული გამოთქმები, რომლებსაც ახლა დეიქსურ ან ინდექსურ გამონათქვამებს უწოდებენ.

ამ სფეროში ფილოსოფიური ინტერესის ერთი მხარე წარმოშვა შემდეგმა საკითხებმა: ა) შეიძლებოდა თუ არა ყველა ინდექსური გამოთქმის ერთ ძირითადზე დაყვანა, და აქედან გამომდინარე ბ) თუ შეიძლებოდა ეს საბოლოო პრაგმატიკული ნაწილი გადათარგმნილიყო უკონტექსტო (კონტექსტზე დამოუკიდებელ) ხელოვნურ ენაზე. მაგალითად, რასელი ფიქრობდა, რომ შემცირება (ა) შესაძლებელი იყო ყველა დეიქსური ნიშნის (ან, როგორც ის ამბობდა, ეგოცენტრული ნიშნების) იმ გამოთქმებად თარგმნით, რომლებიც

შეიცავდნენ this, სადაც ეს უკანასკნელი სუბიექტს აღნიშნავდა. ასე რომ I შესაძლოა გამოხატავდეს: “პიროვნებას, რომელიც განიცდის ამას”. (Gale, 1968). რაიხენბახი ამტკიცებდა, რომ ყველა ინდექსური ნიშანი შეიცავს ნიშნის უკუქცევის ელემენტს, ე.ი. საკუთარ თავზე მიუთითებს. (Gale, 1968).

დიდი ხანი არ არის, რაც ფილოსოფოსები დაინტერესდნენ ლოგიკურ სემანტიკასთან მინიშნების ინდექსური ნიშნების კავშირით. დონელანმა აღმოაჩინა ის სხვაობა, რაც აღწერის ორნაირად გამოყენებაში ჩანს (Donnellan, 1966) (ამასთანავე, არსებითის შემცველი ფრაზები ინგლისურში, რომლებშიც შედის მსაზღვრელი სიტყვა the). მაგალითად:

The man drinking champagne is Lord Godolphin.

The man who can lift this stone is stronger than an ox.

ბუნებრივია, რომ პირველ წინადადებაში the დეიქსისის ფუნქციით გამოიყენება, მაშინ როდესაც თვით აღწერა შესაძლოა მცდარი იყოს (მაგალითად, კაცი ფაქტობრივად ლიმონათს სვამს), მაგრამ მიუხედავად ამისა დეიქსისი მაინც განხორციელდა. მეორე წინადადებაში the უფრო ატრიბუტული ფუნქციით ხასიათდება და ამ შემთხვევაში მოსაუბრეს არც ერთი კერძო პიროვნება არ ჰყავს მხედველობაში (ამ წინადადების პარაფრაზირება შემდეგნაირად შეიძლება „ვინც კი ამ ქვას აწევს, ხარზე ძლიერია“). მაგრამ უმეტეს შემთხვევაში მხოლოდ კონტექსტი მიგვანიშნებს, როგორ გავიგოთ ის. ეს კი ხაზს უსვამს კონტექსტის უდიდეს მნიშვნელობას ყველა კულტურისათვის. მაგალითად,

“The boys were condescending, but Paul scarcely observed it. They went round for eggs, scrambling into all sorts of places. As they were feeding the fowls Miriam came out. The boys took no notice of her.” (Lawrence, D. 126).

“Under these circumstances, the people who are to be happy fix their attention on the conveniences of things, the pleasant parts of conversation, the well-prepared dishes, the goodness of the wines, the fine weather. They enjoy all the cheerful things. Those who are to be unhappy think and speak only of the contrary things. Therefore, they are continually discontented themselves. By their remarks, they sour the pleasures of society, offend many people, and make themselves disagreeable everywhere.” (Franklin, B.)

დეიქსურ ერთეულებისადმი ფილოსოფიურ მიდგომაზე საუბრისას, ყურადღება უნდა გავამახვილოთ დრმა თეორიული მნიშვნელობის მქონე საკითხზე, კერძოდ, კი დეიქსური მიმართების კავშირზე მიმართების

საფუძვლებთან ზოგადად. პირველესყოფლისა, მიმართებით დაინტერესებული ფილოსოფოსები (რამდენიმე გამონაკლისის გარდა), არ აქცევდნენ ყურადღებას დეიქსურ ერთეულებს (Bar – Hillel, Y., 1970:76). შემდეგში ისინი მათ განიხილავდნენ, როგორც გამონათქვამის ძალიან განსაკუთრებულ სახეს, რომელიც მოითხოვდა კონტექსტუალურ კოორდინატებს ანუ მიმანიშნებლებს. ახლა კი მათ აინტერესებთ: მიმართების აღმნიშვნელი გამონათქვამის სხვადასხვა სახე არის თუ არა, ზოგიერთ შემთხვევაში მაინც, ფარულად ინდექსური. აღნიშნული გამონათქვამების თაობაზე ქუეინის (Quine, 1960) შეხედულებებმა და სტრაუსონის (Strawson, P.F. 1950:320-44) მიდგომამ მიგვიყვანა ამ საკითხის განხილვამდე (Bar-Hillel, Y., 1970:84). სეარლის (Searle, J.R, 1969:254-67) მიდგომამ მიმართებასთან, როგორც მოქმედების განსაკუთრებულ სახესთან, ასევე წინ წამოსწია მოსაზრება იმის შესახებ, რომ დეიქსური ერთეულები ახლო კავშირშია მიმართების სხვა სახეებთან. ბავშვები ენის შეთვისების ადრეულ ეტაპზე ასრულებენ მიმართების იზოლირებულ მოქმედებას, რაც არაპროტოტიპურად დემონსტრირებულია და ეთანხმება სამეტყველო აქტის მიმართების თვალსაზრისს. რადგანაც ჩვენებითი ნაცვალსახელები ჩვეულებრივ გადმოსცემენ უესტს, იოლი ხდება მიმართების ასეთ აქტთან მოქმედების ზოგადი თეორიების ასიმილაცია.

ნათელი გახდა დეიქსისის მნიშვნელობა ფილოსოფიური, ფსიქოლოგიური და ლინგვისტური მიდგომებისათვის ენის კვლევისას, მაგრამ აღწერილობითი ხასიათის ნაშრომები ამ სფეროში მაინც მცირე რაოდენობისაა. ყველაზე მნიშვნელოვანი ადრეული ლინგვისტური ნაშრომებიდან ამ სფეროში აღსანიშნავია ბიუჭლერი (1934), ფრაი (1944), ფილმორი (1966), ლაიონზი (1968). მაგრამ ამ ნაშრომთა უმეტესობა სისტემაში მოყვანილია ლაიონზთან (1977) და ფილმორთან (1971, 1975).

დეიქსისის ტრადიციულ კატეგორიებს მიეკუთვნება პირის ადგილისა და დროის დეიქსისი. ამ კატეგორიების მოკლე განმარტება ასეთია: პირის დეიქსისი ეხება მეტყველებაში მონაწილეთა როლის დაშიფრვას (კოდირებას): პირველი პირის კატეგორია წარმოადგენს მოსაუბრის საკუთარ თავზე მითითებას, მეორე პირი კოდირებას უწევს მოსაუბრის მითითებას ერთი ან მეტი ადრესატისადმი, ხოლო მესამე პირი წარმოადგენს მითითების გაშიფრვას იმ პიროვნებებისადმი, რომლებიც გამონათქვამში არც მოსაუბრეთა და არც ადრესატთა რიცხვს არ განეკუთვნებიან. მონაწილეთა ასეთი როლები ენაში ნაცვალსახელებისა და

მათთან დაკავშირებული პრედიკატული შეთანხმებების სახით გვხვდება. ადგილის დეიქსისი ეხება სივრცითი ადგილმდებარეობის კოდირებას მეტყველებაში მონაწილეთა ადგილმდებარეობასთან მიმართებით. უმეტეს ენებში არის განსხვავება პროქსიმალურსა (ახლოს მოსაუბრესთან) და დისტანტურს (ან არაპროქსიმალური, ზოგჯერ ადრესატთან ახლო) შორის; მსგავსი სახის კოდირება ხდება ჩვენებითი ნაცვალსახელების (როგორიცაა ინგლისურში this/that) და აგრეთვე დეიქსური სახის ადგილის გარემოების საშუალებით (როგორიცაა here/there). დროის დეიქსისი ეხება დროის კოდირებას იმ დროსთან მიმართებაში, როდესაც გამონათქვამი წარმოთქვა (ან ტექსტი ჩაიწერა). ამას, ფილმორის მიხედვით, კოდირების დრო ეწოდება (Coding time or CT), რომელიც განსხვავდება მიღების დროისაგან (Receiving time, RT) (Fillmore 1971 b). ისე, როგორც ადგილის დეიქსისი სივრცითი ადგილმდებარეობის კოდირებას ახდენს იმ კოორდინატებით, რომლებიც წარმოთქმის ადგილზეა დაფუძნებული, ასევე დროის დეიქსისი დროის კოდირებას ახდენს წარმოთქმის დროსთან დაკავშირებული კოორდინატების საშუალებით. დროის დეიქსისი ჩვეულებრივ დეიქსური სახის დროის ზმნიზებებითაა გამოხატული (როგორიცაა, now and then, yesterday, this year), მაგრამ, ძირითადად, ის დროის მიხედვით ვლინდება.

ამ ტრადიციულ კატეგორიებს შეიძლება დაუმატოთ დისკურსის (ტექსტური) დეიქსისი და სოციალური დეიქსისი. დისკურსის დეიქსისი ეხება მიმდინარე დისკურსში იმ მითითებების კოდირებას, რომელშიც მოთავსებულია გამონათქვამი. უკუქცევის ნიშანი, ამგვარად, არის დისკურსის დეიქსისის კერძო შემთხვევა. მაგალითად:

Puff puff puff: that is what it sounded like.

This is what phoneticians call creaky voice.

ორივე სიტყვა – that და this არის დისკურს დეიქსური, მაგრამ მხოლოდ მეორეა ნიშნით უკუქცევითი. That-ისა და this-ის გამოყენება ზემოთ აღნიშნულ წინადადებებში დისკურსის დეიქსისის გამოყენების მაგალითებს წარმოადგენს.

და ბოლოს, სოციალური დეიქსისი მონაწილეთა როლებთან მიმართებაში ადგენს სოციალურ სხვაობას, კერძოდ, იმ სოციალურ ურთიერთობას, რომელიც მოსაუბრესა და ადრესატს (ან ადრესატებს) შორისაა დამყარებული. სხვადასხვა კულტურაში, მოსაუბრესა და ადრესატს შორის წოდებრივი სხვაობა პატივისცემის გამომხატველი სიტყვებითაა გადმოცემული, მაგრამ ამასთანავე

შესაძლებელია გამოვიყენოთ ნაცვალსახელები, მოწოდების ფორმები ან ვოკატივები და ა.შ.

ჩვეულებრივ მიღებულია, რომ დეიქსისი ეგოცენტრული სახითაა ორგანიზებული. ის შეიცავს დეიქსურ ცენტრს და შემდგენაირად გამოიხატება: (I) ცენტრალური პირი არის მოსაუბრე; (II) ცენტრალური დრო არის ის დრო, როდესაც მოსაუბრე წარმოთქვამს წინადადებას; (III) ცენტრალურ ადგილს წარმოადგენს მოსაუბრის ადგილმდებარეობა წინადადების წარმოთქმის დროს ან კოდირებისას; (IV) დისკურსულ ცენტრად ითვლება წერტილი, რომელშიც მოსაუბრე იმყოფება გამონათქვამის წარმოთქმის დროს და (V) სოციალურ ცენტრს წარმოადგენს მოსაუბრის სოციალური სტატუსი და წოდება, ადრესატის/ადრესატების სტატუსისა და წოდების გათვალისწინებით. მაგრამ არსებობს გამონაკლისიც. მაგალითად, ზოგიერთ ენაში ჩვენებითი ნაცვალსახელები ნაწილობრივ ორგანიზებულია არა იმდენად მოსაუბრის, არამედ სხვა მონაწილეთა ადგილმდებარეობის მიმართ. არსებობს აგრეთვე დერივატული გამოყენების შემთხვევები, რომლებშიც დეიქსური გამონათქვამები გამოყენებულია იმ ფორმით, რომლებიც უცვლიან ამ დეიქსურ ცენტრს მონაწილეებს ანუ უფრო ზუსტად თხრობის პროტაგონისტებს. ლაიონზი (87, 1977:579) ამას უწოდებს დეიქსურ პროექტირებას, ფილმორი (Fillmore, 1975) – ცვლილებებს თვალთახედვაში. პროცესები, რომლებიც მიმდინარეობს ამ ცვლილებებში, არსებითია სხვადასხვა დეიქსური სიტყვების დიაქრონული განვითარების გაგებისათვის და არა სასაუბრო დისკურსის დროს გამოყენებისთვის.

ვიზუალურად დეიქსური ცენტრის გააზრება შესაძლოა გაგვიადვილდეს, თუ წარმოვიდგენთ ოთხგანზომილებიან სივრცეს, რომელიც მოიცავს ადგილის სამ განზომილებას და რომელშიც მოსაუბრე დგას ცენტრთან. მოსაუბრიდან გამოდის უამრავი კონცენტრირებული წრე, რომლებიც განასხვავებენ სივრცული სიახლოვის ზონებს და დროის ერთ განზომილებას. მოსაუბრე გაივლის „დროის ხაზს“, რაზეც განთავსებულია მოვლენები, რომელთაც ადგილი ჰქონდათ მის მიერ ამ მომენტში წარმოთქმულ გამონათქვამამდე, და მათ მსგავსად განთავსდება ის მოვლენებიც, რომელთაც ადგილი ექნებათ მამავალ დროში. დისკურსი, რომელშიც მოსაუბრეს წვლილი შეაქვს, იშლება სწორედ ამ დროის ხაზზე. რაც შეეხება დეიქსისის სოციალურ ასპექტს, მის დასადგენად დაგვიჭირდება ერთი განზომილების დამატება, ვთქვათ, რელატიური რანგის,

რომელშიც მოსაუბრე ადრესატთან და სხვა პირებთან შედარებით სოციალურად უფრო მაღლა ან უფრო დაბლა დგას, ან კიდევ, მათი თანასწორია.

აუცილებელია ერთმანეთისაგან განგასხვავოთ დეიქსური გამოთქმების გამოყენების სხვადასხვა სახე. დეიქსური გამოთქმები გულისხმობს იმ ლინგვისტურ ერთეულებსა და მორფემებს, რომლებიც დეიქსურად გამოიყენება, ხოლო უმეტესობა ასეთი გამოთქმებისა არადეიქსურადაც გამოიყენება. დეიქსური გამოთქმების დეიქსურ/არადეიქსურ ხმარებასთან ერთად, საჭიროა დეიქსური გამოყენების კერძო სახეების ცალკე დაყოფა. ფილმორის მიხედვით, დეიქსური გამოყენების ორი სახე არსებობს: კერძოდ, ქესტიკულაციისა (gestural usage) და სიმბოლური (symbolic usage) (Fillmore 1971b). ქესტურ-დეიქსური თვალსაზრისით გამოყენებული გამოთქმების ინტერპრეტაცია შესაძლებელია აუდიო-ვიზუალური გზით. მაგალითად, ჩვენებითი ნაცვალსახელები, რომლებსაც მითითების ფუნქცია აკისრიათ:

This one's genuine, but this one is a fake.

ან კიდევ შეიძლება შეგვხვდეს რეფერენტზე რაიმე ფიზიკური მითითებით გამოყენებული (მაგალითად, მზერის მიმართულება) მეორე ან მესამე პირის ნაცვალსახელები:

“It is the last one”, said Johnsy. “I thought it would surely fall during the night. I heard the wind. It will fall today, and I shall die at the same time” (O. Henry).

He's not the Duke, he is. He's the butler.

როგორც ბ. მალინოვსკი აღნიშნავდა, ზოგიერთი ერების ენებისათვის დამახასიათებელია მეტყველების მჭიდრო კავშირი არასამეტყველო მოქმედებებთან. ეს იმას გულისხმობს, რომ სიტყვის მნიშვნელობა მჭიდროდ არის დაკავშირებული არავერბალურ მოქმედებასთან, ხოლო მთელი გამონათქვამის სტრუქტურა დამოკიდებულია იმ კონკრეტულ სიტუაციაზე, რომელშიც ის წარმოთქვა. (Малиновский, Б.)

ჩვეულებრივ, ენაში მოიპოვება რამდენიმე ისეთი სიტყვა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ქესტური თვალსაზრისით გამოიყენება. მაგალითად, ასეთია ფრანგულ ენაში – *voici* და ბრიტანულ-ინგლისური სადღეგრძელოს მსგავსი *cheers*. ამის საპირისპიროდ, დეიქსური ტერმინების სიმბოლური გამოყენება მათი ინტერპრეტაციისათვის (კერძო შემთხვევისათვის), მეტყველების ძირითადი სივრცით-ტემპორალური პარამეტრების ელემენტარულ ცოდნას მოითხოვს (მაგრამ, შემდეგისათვის, მონაწილეთა როლს, დისკურსსა და

სოციალურ პარამეტრებსაც საჭიროებს). მაშასადამე, იმისათვის რომ შევძლოთ შემდეგი წინადადების ინტერპრეტაცია, საკმარისია მონაწილეთა ჩვეულებრივი ადგილმდებარეობა ვიცოდეთ.

This city is really beautiful.

ასევე საკმარისია ვიცოდეთ ადრესატთა შესაძლებელი წრე, რომ ავხსნათ შემდეგი სიტუაცია.

You can all come with me if you like.

და საკმარისია ვიცოდეთ, თუ როდის ხდება ინტერპრეტაცია, იმისათვის რომ გავიგოთ, რომელი კალენდარული წელი არის მხედველობაში, მაგალითად:

We can't afford a holiday this year.

ამგვარად, შესტური გამოყენება ითხოვს საუბრის მოვლენის მომენტალურ ფიზიკურ წესრიგს მათი ინტერპრეტაციისათვის მაშინ, როცა სიმბოლური გამოყენება მიუთითებს მხოლოდ კონტექსტუალურ კოორდინატებზე, რომლებიც მისაწვდომია საუბრის მონაწილეთათვის. შემდეგი მაგალითები შესტურ გამოყენებას ეკუთვნის, თუმცა შესტი აქ ხმით არის გამოხატული:

Harrey can only speak about this loud.

Don't do it now, but NOW!

ეს ორი სახის დეიქსური გამოყენება უპირისპირდება იმავე სიტყვებისა და მორფემების არადეიქსურ გამოყენებას. მათ გარჩევაში შემდეგი მაგალითები გვეხმარება: a კლასში შედის შესტური გამოყენების მაგალითები, b კლასში სიმბოლური, ხოლო c კლასი კი არადეიქსურ მაგალითებს მოიცავს:

- a. You, you, but not you, are dismissed.
- b. What did you say?
- c. You can never tell what sex they are nowadays.
- a. This finger hurts.
- b. This city stinks.
- c. I met this weird guy the other day.
- a. Push not now, but now.
- b. Let's go now, rather than tomorrow.
- c. Now, that is not what I said.
- a. Not that one, idiot, that one.
- b. That's a beautiful view.
- c. Oh, I did this and that.

- a. Move it from there to there.
- b. Hello, is Harry there?
- c. There we go.

ახლა განვიხილოთ დაპირისპირების რამდენიმე მაგალითი მხოლოდ ორ გამოყენებას შორის, სადაც ისინი a, b, c ნიშნებითაა წარმოდგენილი.

1. a. ((in response to: “Who wants another?”)) I do.
b. ((in response to: “Wilt thou have this woman to thy wedded wife?”)) I will.
2. b. I did it ten years ago.
c. Harry had done it ten years ago
3. b. John lives opposite.
c. John lives opposite Bill.
4. b. We can't see the chimp because it's behind the tree.
c. When Harry's front axle buckled, he was behind a truck.

შევეცდებით რამდენიმე მოკლე კომენტარი გავაკეთოთ თითოეულ მაგალითზე: (1a) – ნაცვალსახელი I გამოიყენება საკუთარი თავის დასასახელებლად ჯგუფიდან ექსტერი თვალსაზრისით, ხოლო (1b)-ში იგი უბრალოდ სიმბოლურია, (2 b)-ში სიტყვას ago გადაყვავართ იმ დროში, როდესაც ადგილი ჰქონდა მოქმედებას საუბრის (მომენტთან) დროსთან მიმართებით, ხოლო (2c) – დრო მიმართებაშია იმ დროსთან, როდესაც მონათხრობში მოქმედებებს ჰქონდა ადგილი. (3b) – opposite (და ასევე nearby, around the corner, etc), შეესაბამება გამონათქვამის წარმოთქმის ადგილს, ხოლო (3c)-ში ის ბილის ადგილმდებარეობის შესაბამისია. (4b)-ში behind შიშპანხეს მონაწილე პირებისაგან ხის საპირისპირო მხარეს ათავსებს; (4c)-ში კი ჰერის სატვირთო მანქანის უკან ათავსებს.

დეიქსური ტერმინების გამოყენებაში, ვფიქრობთ ეს ყველაზე მნიშვნელოვანი ნიშნებია, მაგრამ არსებობს რამდენიმე სხვაც. დისკურსულ დეიქსისში არადეიქსური თვალსაზრისით უნდა გავარჩიოთ ანაფორული და არაანაფორული გამოყენება. ერთი მხრივ, არადეიქსური თვალსაზრისით გამოყენება გულისხმობს დეიქსური ტერმინების ფარდობითობას არა გამონათქვამის სიტუაციასთან, არამედ ტექსტთან. ზემოთ, c ჯგუფში მოცემული თითოეული წინადადება თავისი ინტერპრეტაციის მიხედვით არადეიქსურია და

ამასთანავე არაანაფორული ფუნქციით არის გამოყენებული. ანაფორული გამოყენება გულისხმობს, რომ რომელიმე ტერმინი (გამონათქვამი) რეფერენტად ირჩევს იმავე სუბიექტს (ან ობიექტსა ჯგუფს), რომელიც დისკურსში რომელიღაც წინა ტერმინმა ამოიჩნია. მაშასადამე, შემდეგ წინადადებაში he შეიძლება აიხსნას, როგორც მინიშნება იმავე პირისადმი, რომელსაც John-ი მიუთითებს:

John came in and he lit a fire.

ლაიონზი აღნიშნავს, რომ სავსებით შესაძლებელია დეიქსური ტერმინი გამოყენებულ იქნა როგორც ანაფორულად, ისე დეიქსურად. (Lyons, 1977 a:676) მაგალითად:

I was born in London and have lived there ever since.

სადაც there იმავე ადგილს გულისხმობს, რასაც ლონდონი, მაგრამ ამავე დროს უპირისპირდება here-ს სივრცის დეიქსური განზომილების საფუძველზე და გამონათქვამს ლონდონის გარეთ ათავსებს. აგრეთვე აღვნიშნავთ, რომ შესაძლებელია შესტური გამოყენების არადეიქსურ ანაფორულ გამოყენებასთან კომბინირება. მაგალითად:


I cut a finger: this one.

აქ, this one, მიუთითებს იგივეს, რასაც finger, მაგრამ ამასთანავე უნდა ახლდეს შესაბამისი შესტი – თითის ჩვენება.

დეიქსური ტერმინების სხვადასხვა ფუნქციებით გამოყენება ანალიტიკოსებისათვის დიდ პრობლემას ქმნის. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი დაგვეხმარება ამ საკითხის გარკვევაში.

სქემა №1.

დეიქსური ტერმინების სხვადასხვა ფუნქციებით გამოყენება.



დიდ სირთულეებს ვაწყდებით, როდესაც დეიქსური პროექტირების ფენომენი ანუ ეგოცენტრული ცენტრის ცვლილებები გათვალისწინებულია და ისინი მრავლდებიან სემანტიკაში დეიქსურ მსახდვრელთან ადგილისა და დროის არადეიქსური კატეგორიზაციის ურთიერთკავშირით. ამ სირთულეების შეფასებისას ვლინდება, როგორი გამოუკვლეველია დეიქსისის ფენომენი სინამდვილეში და, რომ დეიქსური ერთეულებისადმი ფილოსოფიური მიდგომა ამ პრობლემების მხოლოდ ნაწილის გადაჭრის.

§4. დროის დეიქსისი თანამედროვე ინგლისურ ენაში, როგორც ენობრივ-სოციოკულტურული ფენომენი და მისი გამოხატვის საშუალებები

ჩვენი გამოკვლევის ძირითადი მიზანია დროის დეიქსისის სიტყვებით გამოხატვის იმ სპეციფიკის დადგენა, რომელიც სხვადასხვა ლექსიკო-გრამატიკულ განშტოებებს: არსებით სახელს, ზედსართავ სახელს, ზმნას, ზმნიზედას განეკუთვნება. არსებული პრობლემის გადაჭრა, ერთი მხრივ, დეიქსისის საერთო პრობლემას უკავშირდება, ხოლო მეორე მხრივ, მეტყველების სხვადასხვა ნაწილის სემანტიკური თავისებურებების დადგენას.

ჩვენ ვცდილობთ დეიქსისის, როგორც ფენომენის თანმიმდევრულ ტემპორალიზაციას, მაგრამ ამავე დროს გამოიკვეთა ის გარემოებაც, რომ თვით დრო, როგორც კატეგორია, დამოკიდებულია ისეთ მეტაკატეგორიებზე, როგორცაა პიროვნება და კულტურა, რაც გულისხმობს ისეთი სამი მეცნიერული დისციპლინის სინთეზს, როგორცაა ლინგვისტიკა, ფსიქოლოგია და კულტუროლოგია.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე თვით საკითხიდან გამომდინარეობს: ანალიზს ექვემდებარება დროზე მითითების კატეგორია, რომელიც ინგლისურ ენაში მეტყველების სხვადასხვა ნაწილს მიკუთვნებული ლექსიკური საშუალებებითაა გამოხატული. მეტყველების ნაწილებით გამოხატული დროის დეიქსისის შეპირისპირებითი გამოკვლევა საშუალებას იძლევა ახლებურად მივუდგეთ მათ ნომინაციურ საკითხს, უფრო ზუსტად კი, შესაძლებელს ხდის გამოვიკვლიოთ ამა თუ იმ მეტყველების ნაწილის ნიშან-თვისება, აღნიშნოს ობიექტური რეალობის მოვლენა არა მათი დასახელებით, არამედ მათზე მითითებით.

კვლევის ობიექტად დროის დეიქსისის გამოხატვის ლექსიკური საშუალებების არჩევა იმით იყო განპირობებული, რომ სიტყვები, რომელთა სემანტიკაც დროზე მინიშნებას მოიცავს, თანამედროვე ინგლისური ენის ლექსიკურ სისტემაში სრულიად გამოუკვლეველია.

აღსანიშნავია კულტურის ლექსიკონის კონცეპცია, რომელიც გულისხმობს კულტურას და კულტურის დახასიათებას ლექსიკის საშუალებით, რადგან აქ წარმოდგენილი სიტყვათა სისტემა მოცემული კულტურის არსს გადმოსცემს.

მეტყველების სხვადასხვა ნაწილში შემავალ სიტყვებს ახასიათებთ დეიქსური ფუნქცია, ე. ი. მათ აქვთ უნარი (სხვადასხვა საშუალებებით) გამოხატონ ობიექტური რეალობის მოვლენა მათზე მითითების გზით. ჩვენი კვლევის ძირითადი არსიც სწორედ ეს არის.

ლექსიკოგრაფიულსა და ტექსტურ მასალაზე ჩატარებული კვლევის შედეგები საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ მეტყველების ნაწილები დეიქსურობის სხვადასხვა დონით ხასიათდება და რომ მეტყველების ნებისმიერ ნაწილს შეიძლება ჰქონდეს გამოხატვის სპეციფიკური ფორმა, რომელიც დროს მიანიშნებს.

ნაშრომში აღნიშნული საკითხები და პრობლემები, მიღებული შედეგები ადგენენ მის თეორიულ და პრაქტიკულ მნიშვნელობას. თეორიულ ასპექტში ეს კვლევა ენის ლექსიკო-სემანტიკური სისტემის შესწავლას მთლიანად უწყობს ხელს, ნაწილობრივ კი იმ სიტყვებს შეისწავლის, რომლებიც დროს მიუთითებენ.

ლინგვისტურ მეცნიერებაში ცნობილია სიტყვების ორ დიდ ჯგუფად დაყოფის მეთოდი: სიტყვები-სახელწოდებები და სიტყვები-მითითებები. ისინი ერთმანეთისაგან თავიანთი სემანტიკით, დანიშნულებითა და ფუნქციის სფეროთი განსხვავდებიან. სიტყვათა ორი კლასის დაპირისპირება ეფუძნება გარშემო რეალობიდან ობიექტის გამოყოფასა და მისი ენაში დასახელების სხვადასხვა მეთოდებს.

ნაშრომში დეიქსისი მოიაზრება, როგორც მითითება რომელღაც ათვლის წერტილზე, რომელთან მიმართებაშიც ხასიათდება ობიექტური რეალობის მოვლენები, საგნები და ა.შ. შესაბამისად, დროის დეიქსისი განიხილება, როგორც დროში სიახლოვისა თუ სიშორეზე მითითების საშუალება. ათვლის წერტილის, დროის საკოორდინაციო ცენტრის ამპლუაში მხოლოდ პირი, დრო და ადგილი კი არ უნდა ჩავთვალოთ, როგორც სამეტყველო სიტუაციის ძირითადი კოორდინატები, არამედ ობიექტური რეალობის მოქმედებებისა და მოვლენების მსვლელობის დრო. დასახელებული ათვლის წერტილების პრინციპული სხვაობა სუბიექტური და ობიექტური მითითებების დაპირისპირების არსში მდგომარეობს.

დეიქსური ერთეულების სემანტიკის განმასხვავებელ ნიშნად გვევლინება მათი მიმართებითი ხასიათი: თუკი სახელდებითი სიტყვები გამოყოფენ ობიექტს რაღაც ნიშნებით, რომლებიც სამეტყველო სიტუაციიდან არ გამომდინარეობენ, დეიქსური სიტყვები ობიექტს სწორედ სამეტყველო სიტუაციიდან გამომდინარე გამოყოფენ. აქედან გამომდინარე დეიქსური სიტყვები მოკლებულია კონკრეტულ შინაარსს, ისინი უბრალოდ მიუთითებენ პირის, ადგილისა და დროის კატეგორიას. კონკრეტულ ფორმას დეიქსური სიტყვები ღებულობენ სამეტყველო სიტუაციებში, თანადროულ საკომუნიკაციო აქტებში, სადაც ისინი რეალური შინაარსით ივსებიან და კონკრეტულ დენოტატს „მიემაგრებიან“.

კვლევის მიზანს წარმოადგენს მეტყველების ნაწილების დეიქსური ფუნქციების განსაზღვრა, აქედან გამომდინარე ნაშრომში შემდეგი საკითხები განიხილება:

1. ლექსიკური საშუალებების სისტემები თანამედროვე ინგლისურ ენაში, რომლებიც დროზე მიუთითებენ.
2. მეტყველების სხვადასხვა ნაწილში შემავალი დროის დეიქსისის აღმნიშვნელი სიტყვების სემანტიკა.
3. მეტყველების სხვადასხვა ნაწილის დეიქსურობის დონე.

დეიქსური სიტყვებისა და იმ სიტყვების თავისებურებამ, რომლებიც თავის თავში ერთ-ერთ მნიშვნელობად მიუთითებს მოიცავენ და მათი საკომუნიკაციო აქტით დაკონკრეტებამ, განაპირობა ლექსიკური ერთეულების ორი ასპექტით გამოკვლევა – ონომასიოლოგიურითა და სემასიოლოგიურით. საკვლევ მასალასთან ონომასიოლოგიური მიდგომის აუცილებლობა პირველყოფლისა იმითაა ნაკარნახევი, რომ სიტყვის მნიშვნელობა, რომელიც დროს მიუთითებს, გულისხმობს სიტყვის შესაბამისობას რომელიღაც რეალურ ათვლის წერტილთან, რომელთანაც მიმართებაშია აღნიშნული მოვლენა. ონომასიოლოგიური ასპექტის შესწავლა თავისთავად გულისხმობს სემასიოლოგიურ ანალიზსაც, რამეთუ ენა – რეალურია. ამგვარად, დეიქსური მოქმედებების თავისებურებების, ობიექტური რეალობის მოვლენების კვლევა, შესაძლებელია მხოლოდ დეიქსური ერთეულების სემანტიკის ანალიზის საფუძველზე იმდენად, რამდენადაც მათი ძირითადი სხვაობა სხვა ტიპის სიტყვებისაგან სწორედ სემანტიკაში მდგომარეობს.

როგორც კვლევის მასალა გვიჩვენებს, სიტყვები, რომლებიც დროის დეიქსურ განსაზღვრას მოიცავენ, ერთ ფორმალურსა და ფუნქციონალურ კლასს

არ ქმნიან: დროის მითითების ველში შედიან სხვადასხვა მეტყველების ნაწილები – არსებითი და ზედსართავი სახელები, ზმნები, ზმნიზედები. გამოირკვა, რომ დროის მითითება ენაში არა მხოლოდ „სიტყვა-მითითებების“ კატეგორიით სრულდება, არამედ სრულმნიშვნელოვანი სიტყვების საშუალებითაც, რომელთა ლექსიკურ მნიშვნელობაში დეიქსური კომპონენტიც შედის სემანტიკურთან ერთად.

საკვლევე ერთეულთა სემანტიკის განხილვამდე, ყურადღება გავამახვილოთ ტემპორალობის, როგორც ადამიანის სოციოკულტურული არსებობის უმთავრესი წინაპირობის ისტორიულ დინამიკაზე. ყოველი ეპოქისა და კულტურის ადამიანი, ბუნებრივია, არსებობს დროში, მაგრამ ეპოქისა და მისი კულტურული ხასიათის ცვლილებასთან ერთად, იცვლება დროის ის ტიპიც, რომელიც საფუძვლად უდევს ადამიანის არსებობას და განსაზღვრავს კიდევ მას. დროის ეს ტიპოლოგიური ტრანსფორმაცია უნდა ახდენდეს გავლენას დეიქსისის ფენომენზე. როგორც ცნობილია, არ არსებობს გამონათქვამი შინაგანი დეიქტიკური სტრუქტურის გარეშე, მაგრამ ეს სტრუქტურა ვერ იქნება იდენტური განსახვავებულ კულტურულ ეპოქათა ფარგლებში. არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ დროის ტიპოლოგიური ტრანსფორმაცია უკავშირდება ადამიანის ტიპოლოგიურ ტრანსფორმაციას პიროვნულ დონეზე: ტემპორალობის განსხვავებულ ტიპს შეესაბამება ადამიანის, როგორც ინდივიდის განსხვავებული ტიპი.

საკვლევე ერთეულთა სემანტიკა საერთო სემანტიკურ კომპონენტს მოიცავს. „დროული შესაბამისობა“ თითოეული მათგანის მნიშვნელობაში შედის. იმ სიტყვათა სემანტიკაში, რომლებიც დროის მითითების ველს ქმნიან საერთო ის არის, რომ ისინი ახასიათებენ მოქმედებას, მოვლენას, ძირითადი დეიქსური ნიშნის მიხედვით: „დროის საკოორდინაციო ცენტრთან სიახლოვე“/ „დროის საკოორდინაციო ცენტრთან სიშორე“. აქედან გამომდინარე, მოქმედებები ხასიათდება, როგორც „ახლო“ და „შორეული“. ძირითადი დეიქსური ოპოზიცია „სიახლოვე/სიშორე“ სიტყვებში დროული თანმიმდევრობის აღნიშვნისას მუდავნდება. დროული თანმიმდევრობიდან გამომდინარე სიტყვები შესაბამის მიკროველს შეიძლება მივაკუთვნოთ: შემდეგი სიტყვები before, beforehand, in advance, საშუალებას იძლევიან ისინი წინამავალ მოვლენათა მიკროველში მოვათავსოთ (recently, preceding, foresee); at the same time, simultaneously კი თანადართულ მოქმედებათა ველს მივაკუთვნოთ (currently, coincide, contemporary);

ხოლო after, afterwards – შემდგომ მოქმედებათა მიკროველში გავაერთიანოთ (follow, oncoming, postpone).

ამა თუ იმ სახეობის სიტყვათა უნარი აღნიშნოს ობიექტური რეალობის მოვლენა მათზე მითითების გზით, განსაზღვრავს მათი დეიქსურობის სხვადასხვა დონეს და შესაბამისად, მათი გამოხატვის ფორმებს მეტყველების სხვადასხვა ნაწილებში. დროზე მითითების საშუალებებისა და ხერხების გამოვლინებამ შესაძლებელი გახადა ნომინაციის თვისებებისა და დასახელების სახეობების კლასიფიკაცია. ამასთან დაკავშირებით გამოიყო ოთხი ძირითადი პარამეტრი, რომელთა მიხედვითაც მეტყველების ნაწილთა დეიქსურობის დონე დგინდებოდა.

1. ნომინაციის ხერხი – დეიქსური და შერეული. „სუფთა“ დეიქსური ნომინაციის ხერხის დროს დეიქსისი წარმოადგენს სიტყვის მთელ სემანტიკას (lately, directly). შერეული ნომინაციის ტიპის სიტყვებში დეიქსისი გამოიყოფა, როგორც მნიშვნელობის კომპონენტი სახელადი სემანტიკური კომპონენტის გვერდით, და, შესაბამისად, სიტყვის სემანტიკისათვის ნაკლები მნიშვნელობა აქვს (prearrange, antedate).

2. ორიენტაციის ტიპი – სუბიექტური და ობიექტური. სუბიექტური მითითების სიტყვათა სემანტიკა ორიენტირებულია მეტყველების აქტუალურ მომენტზე (today). ობიექტური მითითების სიტყვათა სემანტიკა სხვა ათვლის წერტილითაა განპირობებული და ასახავს მოვლენათა დროის ასპექტს, რომელიც სამეტყველო აქტს არ ეხება, რაც გვიჩვენებს მათ მცირე დამოკიდებულებას სამეტყველო სიტუაციაზე (beforehand, proximate).

3. გამოხატვის საშუალება – იმპლიციტური და ექსპლიციტური. დეიქსისის, სხვა ენობრივი კატეგორიების მსგავსად, შეუძლია ჰქონდეს ორი სახის გამოხატულება: აშკარა და დაფარული. ექსპლიციტური, როგორც ცნობილია, გამოიხატება ფორმალური მაჩვენებლების საშუალებით (ex-president, preview), იმ დროს, როდესაც მითითების იმპლიციტურობა ფორმალურად არ არის მარკირებული (late).

4. მითითების ფორმა – აბსტრაქტული და კონკრეტული. მითითების ეს ორი ფორმა განსხვავდება საკვლევ ერთეულთა დეფინიციის ტიპის მიხედვით: აბსტრაქტული მითითება გამოიხატება ზმნიზედით, კონკრეტული მითითება კი – თანდებულის-სახელობითი ჯგუფით.

დეიქსურობის დონის მიხედვით ცალკეული სიტყვების განხილვამ და კლასიფიკაციამ შესაძლებელი გახადა მეტყველების ნაწილთა დაჯგუფება დეიქსურობის დონის შესაბამისად.

1. დეიქსურობის მაღალი დონით გამოირჩევა ზმნიზედები, რომლებიც დროის დეიქსურ მინიშნებას ანხორციელებენ თანამედროვე ინგლისურ ენაში. ზმნიზედების სემანტიკა, რომლებიც თავის თავში დროზე მითითებას მოიცავენ, არაერთგვაროვანია. აქ გამოიყოფა სრული დეიქსური და ნახევრადდეიქსური ჯგუფები. თითოეული მათგანი თავის მხრივ ქვეჯგუფებად იყოფა.

1. სრულ დეიქსურ ჯგუფებში შედიან:

ა) დროის გარემოება, რომელიც სამეტყველო სიტუაციის ძირითად კომპონენტებზეა ორიენტირებული – მოსაუბრეზე, საუბრის მომენტზე (სუბიექტური მითითება – now, then). მათ მხოლოდ დეიქსური ფუნქცია გააჩნიათ.

ბ) „ნაწილობრივი“ დროის გარემოება ორმაგი, სუბიექტურ-ობიექტური ორიენტაციის სემანტიკით (soon – not long after the present time or the time in question).

გ). დროის გარემოებები, რომელთა სემანტიკა ორიენტირებულია რომელიმე სხვა ათვლის წერტილზე, რომელიც მეტყველების აქტუალური მომენტისაგან განსხვავდება (ობიექტური მითითება) (anterior, previous).

ნახევრადდეიქსური ჯგუფი წარმოადგენს შერეული ნომინაციის შედეგს. თუმცა მათი სემანტიკა არაერთგვაროვანია, რადგან ის დამოკიდებულია სახელადი და დეიქსური კომპონენტების ურთიერთდამოკიდებულებაზე და ამასთანავე, ათვლის წერტილზე. ნახევრადდეიქსური ჯგუფი შეიცავს:

ა) ზმნიზედებს, როგორცაა today – (on) this day, რომლებიც საუბრის მომენტზეა ორიენტირებული (სუბიექტური მითითება);

ბ) ზმნიზედებს, როგორცაა overnight – the night before, რომლებიც აბსტრაქტული ათვლის წერტილზეა ორიენტირებული და საუბრის მომენტს არ ემთხვევა (ობიექტური მითითება).

2. დეიქსურობის დონის თვალსაზრისით ზმნიზედასთან ყველაზე ახლოსაა ზედსართავ სახელთა კლასი. ზედსართავ სახელთა დეიქსურობის მაღალი დონის მიუხედავად, ისინი ზმნიზედებთან შედარებით ნაკლებად დეიქსურად ითვლებიან. ზედსართავი სახელები „სახელად“ (სტატიკურ) ნიშნებს აღნიშნავენ, ხოლო ზმნიზედები – „ზმნურ“ (დროში გაგრძელებულ) ნიშნებს.

3. ყველაზე ნაკლები ენობრივი ერთეულით დროზე მითითების ლექსიკური საშუალებების სისტემაში წარმოდგენილია არსებითი სახელები და ზმნები.

ზმნის სემანტიკა თავისი შინაარსით, აღწერისას გარკვეულ სიძნელეებს წარმოშობს. ზმნით გამოხატული მოქმედება, გარდა დასახელებისა მოითხოვს აგრეთვე დროისა და სივრცის შესაბამისობის აღნიშვნას. ამიტომ, ზოგიერთი ზმნის (ზმნური ლექსემების) სემანტიკაში არის მითითება სამეტყველო აქტის კოორდინატებზე. ზმნების შედარებით მცირე რაოდენობა, რომელთა სემანტიკა დეიქსურ კომპონენტს შეიცავს, ალბათ, იმით აიხსნება, რომ ჩვეულებრივ, დროზე მითითება ზმნის გრამატიკული ფორმების საშუალებით ხორციელდება.

ინგლისური ენის სისტემაში დროის დეიქსისის გამოვლენის სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ დეიქსისი ზმნის მნიშვნელობაში გამოიყოფა მხოლოდ როგორც სემანტიკური კომპონენტი სახელად/სახელდებით ნაწილთან ერთად. ამგვარად, ზმნურ დასახელებაში ურთიერთშეთავსებულია და ურთიერთქმედებს აღნიშვნის ორი სახეობა: დასახელება, სიტყვისათვის აბსოლუტური სემანტიკური ნიშნების მაფიქსირებელი საშუალება, და მითითება, რომელიც მათ შესაბამის სემანტიკურ ნიშნებს აღნიშნავს. ამგვარად, შემდეგი ზმნის – anticipate – do, make use of, before the right or natural time – დეფინიციაში აღინიშნება (სახელდება) არა მხოლოდ კერძო მოქმედება, არამედ გარკვეული ათვის წერტილიც, რომელთან მიმართებითაც აღნიშნული მოქმედება ხასიათდება, როგორც წინამავალი მოქმედება.

აღსანიშნავია, რომ ინგლისური ზმნის სემანტიკის ერთ-ერთი განმასხვავებელი ნიშანი იმაში მდგომარეობს, რომ უმეტეს შემთხვევებში, დეიქსისი ფორმალურად არის გამოხატული პრეფიქსის საშუალებით (forewarn, coexist, postdate).

დეიქსური კომპონენტის შემცველი არსებითი სახელები ძირითადად ნაწარმოებია ზმნების, ზედსართავი სახელებისა და ზმნიზედებისაგან.

არსებით სახელთა ნომინაციური ფუნქციის სპეციფიკა, ზმნების მსგავსად, იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ნომინაციის შერეულ ტიპს წარმოადგენენ: მათი სემანტიკა შეიცავს დეიქსურ კომპონენტს სახელდებით კომპონენტთან ერთად. მაგალითად, forerunner – sign of what is to follow (come, go, have a place after).

საინტერესოა მარტივი და წარმოქმნილი სიტყვების დეიქსურობის დადგენა.

მარტივი სიტყვები – ფუძისეული სახელები, თვით ფუძისეულ მორფემაში იძლევიან დროში წინამავლობის, თანადროულობისა და თანმიმდევრობის მნიშვნელობას (ago, yet, after, still).

წარმოქმნილი პრეფიქსური ერთეულების სემანტიკის ანალიზმა გვიჩვენა, რომ დეიქსური კომპონენტი პრეპოზიტიური მორფემითაა გამოხატული, რომელიც სიტყვის სტრუქტურის ანალიზისას ადვილად მუდგანდება. ზოგიერთ დეიქსურ ერთეულებში დეიქსისი ახასიათებს პრეფიქსის სემანტიკას (prepay); სხვებში – სიტყვის მაწარმოებელი მოდელის მნიშვნელობა აქვს (prewar). ბოლო შემთხვევაში ათვლის წერტილი, რომლის მიმართებაშიც ხდება საგნის, მოქმედებისა თუ მოვლენის დახასიათება, გამოხატულია ექსპლიციტურად ფუძისეული მორფემით. მათ მნიშვნელობაში დროზე მითითება წარმოადგენს მაწარმოებელი ძირისა და პრეფიქსის სემანტიკის ურთიერთმოქმედების შედეგს.

ამგვარად, დეიქსურობა, რომელიც მარტივ სიტყვებში თითქოს „დაფარული“ სახით არსებობს, პრეფიქსალურ წარმოქმნილ ერთეულებში ექსპლიციტურადაა გამოხატული. პრეფიქსები ante-, pre-, fore-, ex-, co-, post-, sub-, სიტყვის ძირთან შეთავსებისას, მათ დეიქსურ ხასიათს აძლევენ, ხოლო სუფიქსალურ სიტყვებში ამ მნიშვნელობას ფუძისეული მორფემა იძლევა (lately, formerly).

საკვლევ ერთეულთა რიცხვში წარმოდგენილია აგრეთვე რთული სიტყვები (nowadays, eversince).

გამოყოფილ დერივატივთა სტრუქტურული ტიპების ანალიზმა გვიჩვენა, რომ დროის დეიქსისის კატეგორია გამოიხატება სიტყვათწარმოების ორი ხერხის საშუალებით: პრეფიქსაცია და სიტყვათწყობა. რაც შეეხება წარმოქმნილ სიტყვებს, ცხადია, რომ საკვლევი მნიშვნელობა მათში ფორმალურ გამოხატულებას ვერ პოულობს და ფუძისეული მორფემით გადმოიცემა.

სიტყვათწარმოების სხვადასხვა ხერხების განხილვამ გამოავლინა მათი განლაგების არაერთგვაროვნება მეტყველების სხვადასხვა ნაწილთა ჩარჩოებში. ზმნიხედების ლექსიკო-გრამატიკულ კატეგორიაზე, უმთავრესად სიტყვათწყობა მოქმედებს, ხოლო ზედსართავი სახელების, ზმნებისა და არსებითი სახელების ჯგუფებში პრეფიქსალურ წარმოებას აქვს ადვილი. მთლიანობაში, ზმნიხედებისა და ზედსართავი სახელებისათვის, რომლებიც დროის დეიქსისის სიტყვათა მთელ რიგს ქმნიან, ძირითადად ნომინაციის იმპლიციტური (არამოტივირებული) სახე ითვლება. ზმნები და არსებითი სახელები კი ხასიათდებიან დეიქსური კომპონენტის გამოხატვის ექსპლიციტური გზით პრეფიქსის საშუალებით, რომელიც აზუსტებს სიტყვით გამოხატული მოქმედების

მნიშვნელობას. იგი გვთავაზობს რომელიმე არსებული ათვლის წერტილის კოორდინაციის დროულ ცენტრს.

როგორც უკვე ვთქვით, დეიქსისის, როგორც ენობრივი აღნიშვნის განსაკუთრებული სახეობის სპეციფიკა განპირობებულია სამეტყველო სიტუაციასთან, კომუნიკაციურ აქტთან მჭიდრო კავშირით. სიტყვის სემანტიკაში დეიქსური კომპონენტის არსებობა იმაზე მიუთითებს, რომ მოცემული სიტყვის მნიშვნელობა „განისაზღვრება“ სამეტყველო სიტუაციით. დეიქსური ერთეულების სემანტიკური თავისებურებანი გამოხატულებას პოულობს განსაზღვრულ, კერძო კონტექსტში ფუნქციონირებისას.

ენის სოციალური მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ის უპირველესად ენობრივ შემეცნებაში არსებობს – კოლექტიურსა და ინდივიდუალურში. შესაბამისად, ენობრივი კოლექტივი, ერთი მხრივ, და ინდივიდი მეორე მხრივ, ენაში კულტურის წარმომადგენლებად ითვლებიან.

დეიქსური და ნახევრადდეიქსური ერთეულების შესაბამისი ხასიათი კონკრეტულ ფორმას ღებულობს როგორც წინადადების ფარგლებში, ასევე უფრო დიდ ერთეულებში, მაგალითად, ტექსტში.

მეტყველებაში დროის დეიქსისის სემანტიკურმა გამოკვლევამ შესაძლებელი გახადა გამომჟღავნებელიყო ათვლის რეალური წერტილები, რომელთან მიმართებაშიც ხასიათდება აღნიშნული მოვლენები. თავის მხრივ, ათვლის წერტილებმა „შეავსეს“ ისინი რეალური, კონკრეტული შინაარსით, დააზუსტეს კერძო ურთიერთშეთანხმება დენოტატთან. საკვლევ ერთეულთა ანალიზმა ტექსტში გვიჩვენა, რომ უმეტეს შემთხვევებში ათვლის წერტილად საუბრის (მეტყველების) აქტუალური მომენტი, სამეტყველო აქტის დრო ითვლება: მაგალითად: Remember what you said not long ago (A.C.), სადაც ago გამოხატავს მოქმედებას, რომელიც წინ უსწრებს საუბრის მომენტს. ამასთანავე გამოვლინდა სხვა ათვლის წერტილები.

მაგალითად, რაღაც „საზომი“ (წინასწარი შეთანხმებულობა)

The funeral had been pastponed as a result of adjourment (F.S.);

პირი:

Their contemporaries regarded them as men that live as though there were no God at all (H.A.)

მოვლენა, მოქმედება:

Dick was in his own room in the hotel reading the New-York Herald when the swallow-like nun rushed in - simultaneously the phone rang (F.S.).

თითოეულ მოყვანილ სიტუაციაში მხედველობაში გვაქვს დროის პარამეტრები: მოქმედების მსვლელობის, ობიექტის „არსებობის“ დრო და ა.შ. ამგვარად, დროის მინიშნებითი სიტყვები თავისებური ორიენტირებია, რომლებიც დროის სივრცის საკმაოდ გარკვეულ მონაკვეთებზე მიუთითებენ.

ცნობილია, რომ უმეტეს ენებში დროის განსაზღვრისა და გაზომვის ძირითადსა და ბუნებრივ სისტემას წარმოადგენს დღისა და ღამის, თვეების, სეზონებისა და წლების პერიოდი (ციკლი).

როგორც დეიქსისის ყველა ასპექტი, ისე დროის დეიქსისიც ძირითად მითითებას ახდენს მონაწილეთა როლებზე (participant-roles). ამგვარად, მიახლოებით “now” შესაძლოა განიმარტოს, როგორც „დრო, როდესაც მოსაუბრე წარმოთქვამს სიტყვა “now“-ს შემცველ წინადადებას“. მეტად მნიშვნელოვანია განვასხვავოთ წარმოთქმის ან (დაწერის) მომენტი ანუ კოდირების დრო (Coding time) მიღების მომენტისაგან (ანუ Receiving time). თუმცა, ზოგჯერ, უნიშნო დეიქსური ცენტრის არსებობის შემთხვევებში, მიღების დრო (RT) შესაძლოა კოდირების დროის (CT) იდენტურად ჩაითვალოს. მათ ლაიონზი „დეიქსურ ერთდროულობას“ უწოდებს (87, a; 685, 1977). სირთულე იქნის თავს დროის კატეგორიის, დროის ზმნიზედების და სხვა დროის დეიქსური მორფემების გამოყენებასთან დაკავშირებით, მაგალითად, წერილის წერისას, ან პროგრამების წინასწარ ჩაწერისას. ასეთ შემთხვევაში, უნდა დადგინდეს დეიქსური ცენტრის ადგილი, განისაზღვროს მოსაუბრე. კოდირების დრო (CT) იქნება მიჩნეული დეიქსურ ცენტრად (როგორც I მაგალითშია ნაჩვენები), თუ დეიქსური ცენტრი გადატანილი იქნება ადრესატსა და მიღების დროზე (RT). (იხ. II).

1. This programme is being recorded today, Wednesday April 1st, to be relayed next Thursday.

2. This programme was recorded last Wednesday, April 1st, to be relayed today.

არსებობს დროის დეიქსისთა რიცხვი, სადაც არავითარი პირდაპირი ურთიერთდამოკიდებულება არ არსებობს დროის გამოთვლის (დადგენის) არადეიქსურ მეთოდებთან. ამ ასპექტს ეკუთვნის დროის კატეგორია და დროის დეიქსური ზმნიზედები, როგორიცაა now, then, soon, recently და ა. შ. ზემოთ აღნიშნული განმარტება now-ს თაობაზე, უფრო კონკრეტულ სახეს მიიღებს

თუკი აღვნიშნავთ „პრაგმატიკულად განსაზღვრულ დროს, რომელიც კოდირების დროს (CT) მოიცავს“, სადაც ეს დრო შესაძლოა იყოს თვით მორფემის წარმოთქმასთან დაკავშირებული მომენტი, როგორც ეს III წინადადებაში ექსტური გამოყენებიდან ჩანს, ან შესაძლოა იყოს უსასრულო პერიოდი, რომელიც IV წინადადებაშია ნაჩვენები.

3. Pull the trigger now!

4. I'm now working on a PhD.

როგორც უკვევთქვით, “now” მიუთითებს, როგორც მოსაუბრის მიერ წინადადების წარმოთქმის, ისე მოსაუბრის ხმის გაგონების დროსაც. Now–საგან განსხვავებული, დისტალური ზმნიზედაა then, და რა თქმა უნდა, then შესაძლოა განვმარტოთ, როგორც “not now”, რითაც მისი გამოყენება დასაშვებია როგორც წარსულში, ისე მომავალშიც.

5. a. November 22nd, 1963? I was in Scotland then.

b. Dinner at 8.30 on Saturday? OK, I'll see you then.

აღნიშნავენ, რომ then თავისი ბუნებით ანაფორულია და არ ხასიათდება ექსტური გამოყენებით. თუმცა მაგალითებიდან ჩანს, რომ ეს ვარაუდი სწორი არ არის. აი, თუნდაც, შემდეგი წინადადება 1962 წლის მოდელის შევროლეტზე მითითებისას არის წარმოთქმული:

6. I was just a kid then.

აღსანიშნავია, რომ დეიქსური გამოთქმების ინტერპრეტაცია დამოკიდებულია მათი წარმოთქმის შესაბამისი დროის ცოდნაზე. მაგალითად, თუ ჩვენ არ ვიცით ოფისის კარებზე მოთავსებული შემდეგი შენიშვნის დაწერის დრო, ვერ განვსაზღვრავთ დიდხანს მოგვიხდება ლოდინი თუ პირიქით.

7. Back in an hour.

იმ შემთხვევაში, თუ მეორე დღეს მივალთ ბარში, სადაც შენიშვნა გვაუწყებს შემდეგს (8), მაინც ერთი დღით ადრე აღმოვჩნდებით მისული უფასო დასალევის მისაღებად (დეიქსური თვალსაზრისით)

8. Free Beer Tomorrow.

რაც შეეხება სიტყვებს today, tomorrow, yesterday, ისინი დროის დღიურ მონაკვეთებად დაყოფას ვარაუდობენ. უხეშად რომ ვთქვათ, today, შეიძლება განვმარტოთ, როგორც „კოდირების დროის (CT) შემცველი დღის მონაკვეთი“, yesterday, როგორც „დღის მონაკვეთი, რომელიც წინ უსწრებდა კოდირების

დროის მომცველ დღის მონაკვეთს“ და ა.შ. თუმცა, როგორც ფილმორი აღნიშნავს (Fillmore 1975), მათ ორი სახის რეფერენტი გააჩნიათ: ისინი შესაძლოა მთლიან პერიოდს უთითებდნენ (9), ან კიდევ რაიმე მომენტს ამ დროის პერიოდში (10).

9. Tomorrow is Wednesday.

10. Dennis hit Murphy with a baseball bat yesterday.

აღსანიშნავია, რომ დეიქსური სიტყვები yesterday, today და tomorrow კალენდარული სახით შესაბამის დღეებს მიუთითებენ. ამგვარად, ხუთშაბათს წარმოთქმული შემდეგი წინადადება შესაძლოა მხოლოდ და მხოლოდ მომავალ ხუთშაბათს აღნიშნავდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსაუბრე გამოიყენებდა სიტყვას today.

11. I'll see you on Thursday.

იგივე შემთხვევას ექნებოდა ადგილი, თუ წინადადება ოთხშაბათს წარმოითქმებოდა. აღსანიშნავია „სუფთა“ დეიქსური სიტყვების ბუნება. უცნაური იქნებოდა გვეთქვა Do it at 10.36 ნაცვლად Do it now, როცა წინადადების წარმოთქმა ხდება 10.36. თუმცა, გამონაკლისებია ტიტულები, რომლებიც მეორე პირის ნაცვალსახელების ნაცვლად გამოიყენებიან, მაგალითად: Your honour should do as he wishes, – მესამე პირთან სრული შეთანხმებით.

ტემპორალური დეიქსისის ფსიქოლოგიური ბაზისი და სივრცის დეიქსისის ფსიქოლოგიური ბაზისი მსგავსია. ჩვენ შესაძლოა ტემპორალური მოვლენები განვიხილოთ, როგორც ჩვენსკენ მიმართული ობიექტები ან პირიქით, ობიექტები, რომლებიც ჩვენგან წარსულში გადადიან. ინგლისურ ენაში გამოყენებული ერთი მეტაფორა იმ მოქმედებებს აღნიშნავს, რომლებიც მოსაუბრისკენაა მიმართული მომავლიდან (მაგალითად, “the coming week”, “the approaching year”) და მიემართება მოსაუბრისაგან წარსულისაკენ (“in days gone by”, “the past week”). ასევე ახლო ან უახლოესი მომავლის წარმოთქმის დროსთან სიახლოვის აღსანიშნავად, ვიყენებთ დეიქსურ სიტყვას “this”, მაგალითად: “this (coming) weekend” ან “this (coming) Thursday”.

განვიხილოთ ისეთი რთული დროის ზმნიზედები, როგორიცაა last Monday, next year ან this afternoon. ისინი შეიცავენ დეიქსურ მსაზღვრელს – this, next, last და ა.შ. და ამასთანავე არადეიქსურ სახელსა და მსაზღვრელ სიტყვას. ამგვარად, ინგლისურ ენაში ამ ტიპის ზმნიზედების ინტერპრეტაცია განსაზღვრულია a)

კალენდარული/ არაკალენდარული (კერძოდ დეიქსური) დროის გამოთვლის სახით, და b) საზოგადო არსებით სახელთა ჯგუფის გარჩევით, როგორცაა weeks, months, years, და საკუთარ სახელთა ჯგუფით, როგორცაა Monday, December და შესაძლოა afternoon, რომელთა გამოყენება საზომად არ მოხერხდება (Fillmore, 1975). თუმცა, არ არის აუცილებელი, რომ this August ზუსტად მიმდინარე თვეს აღნიშნავდეს, ხოლო this week ჩვეულებრივ მიმდინარე კვირას გულისხმობს. უფრო სწორად, this August კალენდარული წლის იმ აგვისტოს აღნიშნავს, რომელიც კოდირების დროს (CT) შეიცავს, ასევე this morning გულისხმობს კოდირების დროის შემცველ დილის მონაკვეთს. ასე რომ, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ this morning ან დილით ან შუადღისას და მივეუთითოთ დროის ერთსა და იმავე მონაკვეთს.

გაუგებრობას წარმოშობს next დღეთა კალენდარულ სახელებთან მიმართებაში. Next Thursday, შესაძლოა აღნიშნავდეს იმ კვირის ხუთშაბათს, რომელიც მოყვება კოდირების დროის შემცველ კვირას, ან ხუთშაბათს, რომელიც კოდირების დროს (პირველი) მოყვება. ეს მაგალითი წარმოშობს საკითხს, რომელსაც საზოგადო ლინგვისტური თეორია ენის გაგებით ხსნის: აქ საქმე გვაქვს დეიქსური სიტყვების რთულ ურთიერთდამოკიდებულებასთან (სუფთა ლინგვისტური პრობლემა) და კულტურების დროის გამოთვლის სისტემასთან (არც თუ ისე ლინგვისტური პრობლემა) და დეიქსური სიტყვების გამოყენებასთან.

ამ საკითხის სწორად შესწავლის მიზნით საჭიროა გადავხედოთ დროის კატეგორიას. ლაიონზის თანახმად, ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ სემანტიკური ანუ, დროის თეორიული კატეგორია, რომელსაც შესაძლოა ვუწოდოთ მეტალინგვისტური დრო (M-tense) და ზმნური ფლექსიები, რომელსაც კერძო ენების ტრადიციულ გრამატიკაში ენის დრო (Language's tenses; L-tenses) ეწოდება. მეტალინგვისტურ დროს (M-tense) შესაძლოა სრულიად დეიქსური და მეტად ტემპორალური ინტერპრეტაცია ჰქონდეს, მაგრამ შეიძლება თუ არა იგივე ითქვას ენის დროის (L-tenses) შესახებ, უკვე ემპირიულ საკითხს წარმოადგენს. მაშინ, შემდეგი წინადადებები (12, 44, 13) შესაძლოა ენის დროის შემცველ წინადადებებად ჩავთვალოთ, მაგრამ არადეიქსურად, და აქ არც მეტალინგვისტური დრო მოგვეძებნება.

12. Two and two is four.

13. Iguanas eat ants.

ახლა შეგვიძლია გამოვიკვლიოთ მეტალინგვისტური დროის (M-tense) სისტემების თვისებები, ენის დროის სისტემებში მათი ნაწილობრივი და იმპერფექტული გამოყენებისაგან იზოლირებულად. თუმცა აშკარაა, რომ თუ M-tense და L-tense ძალიან დაშორდებიან ერთმანეთს, მეტალინგვისტური დრო ენის ანალიზისათვის შესაძლოა სასარგებლო აღარ იყოს. მეტალინგვისტური დროის სისტემაში იოლიგასარჩევია წარსული (მოვლენები, რომლებიც კოდირების დრომდე დასრულდა) ახლანდელისაგან (მოვლენები, რომლებიც კოდირების დროს შეიცავენ) და აგრეთვე მომავლისაგან (მოვლენები, რომლებიც მოჰყვება კოდირების დროს); ჩვენ შევძლებთ მეტ-ნაკლებად მივუახლოვდეთ ისეთ რთულ დროს, როგორცაა პერფექტი, იმ მოვლენების ჩვენებით, რომლებიც კოდირების დროზე ადრე მომხდარ მოვლენებს უსწრებენ. აქედან გამომდინარე შემდეგი წინადადება სწორი იქნება იმ შემთხვევაში, თუ არის სხვა რომელიმე დრო (ვთქვათ, სხვა მოვლენა), რომელიც კოდირების დროს უსწრებს წინ.

14. John had seen Mary.

მაგრამ აღსანიშნავია, რომ ასეთი მეტალინგვისტური დროები (M-tenses) მარტივად არ ერწყმის ენის დროებს (L-tense), რადგან ენის დროები თითქმის ყოველთვის ახდენენ დამატებითი ასპექტური თუ მოდალური თვისებების კოდირებასაც. მაგალითად, ენის დროები მუდამ შეიცავენ მოდალურ ელემენტს, ხოლო მეტალინგვისტური და ენის დროების თანაფარდობა წარსულსა და არაწარსულს შორის სხვაობაში უნდა გამოჩნდეს (Lyons, 1977 a). ნებისმიერი თეორეტიკოსი, რომელსაც სურს დაამტკიცოს, რომ ინგლისურ ენაში L-present და L-future ემთხვევა M-present და M-future ფორმებს, გაეცნობა ჰადლესტონის, ლაკოფის, ლაიონზის შენიშვნებით სავსე კატალოგებს (Hudleston 19, Lakoffs 19, Lyons 19.). მიუხედავად ამისა, დეიქსური მეტალინგვისტური დროის სისტემა ენის დროის სისტემების განუყოფელ კომპონენტად გვევლინება, ასპექტურ, მოდალურ და სხვა ცნებებთან ერთად. ლინგვისტური აღწერისათვის საჭირო მეტალინგვისტური ცნებები ყველა ენაში განსხვავებულია. მაგალითად, პერულ ენაში არსებობს ენის დროის (L-tense) აფიქსი (ვთქვათ T), რომელიც დღის სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა მოქმედებებს გულისხმობს. მაგალითად, John kicked-T Bill, თუ შუადღისას არის ნათქვამი, გულისხმობს – John kicked Bill in the morning, მაგრამ იგივე დილით რომ გვეთქვას, მაშინ მნიშვნელობა შემდეგი

იქნებოდა: John kicked Bill yesterday. სხვაგვარად რომ ვთქვათ, “T” გულისხმობს, რომ აღწერილი მოქმედება მოხდა დღის მონაკვეთში, რომელიც წინ უსწრებს კოდირების დროის შემცველ მონაკვეთს.

ენათა უმრავლესობას გააჩნია დროთა რთული სისტემა, რომლებიც მარტივ (ახლანდელი, წარსული, მომავალი) სრულ ან განგრძობით დროებს შეიცავენ. აღსანიშნავია, რომ შემდეგი წინადადება - I had been reading before they came (Past Perfect Continuous), თუმცა არც ისე ხშირად გვხვდება სხვადასხვა ენებში, მაგრამ მაინც არსებობს. არსებობს ენები, რომლებშიც დროთა სისტემა განსხვავდება იმ ენათა დროთა სისტემებისაგან, რომლებსაც ჩვენ ვაწყდებით ენების შესწავლისას. მაგალითად, პაპუასურ ენაში არსებობს დროის ოთხი სისტემა, ანუ არსებობს ახლახანი წარსული (გუშინდელი მზის ჩასვლიდან აწმყოს მომენტამდე), შედარებით წარსული (ერთი-ორი დღის წინ), შორეული წარსული (სამი და მეტი დღის წინ) და ჩვეულებრივი წარსული, სადაც არ ხდება დროის დაკონკრეტება (Леонтьев, А.)

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ ენას დროის კატეგორია (სისტემა) არა აქვს, მაგალითად ჩინური. ასეთ ენებში, შესაძლოა არ იყოს ენის დრო, რომელიც მორფოლოგიურად ზმნით იქნება გამოხატული, მაგრამ ჩვენ დაბეჭდვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ არ არსებობს არც ერთი ენა, რომელშიც მეტალინგვისტური დროის სისტემის ნაწილი არ იყოს გამოხატული სადმე, დროის ზმნიზედებით ან მსგავსი საშუალებებით.

დროის დეიქსისის ერთი ძირითადი (მაგრამ ხშირად შეუცნობილი) ტიპი ინგლისურ ენაში მდგომარეობს ზმნური დროის არჩევაში. მაშინ, როდესაც სხვა ენებში ზმნის უამრავი განსხვავებული ფორმა მოგვეპოვება სხვადასხვა დროებისათვის, ინგლისურში გვაქვს მხოლოდ ორი ძირითადი ფორმა, ახლანდელი (15a) და წარსული (15 b).

15. a. I live here now.

b. I lived there then.

ახლანდელი დრო პროქსიმალური ფორმაა, წარსული დრო კი დისტალურ ფორმას წარმოადგენს. რაღაც, რაც მოხდა წარსულში (როგორც 16 წინადადებიდან ჩანს), ტიპურად ხასიათდება, როგორც შორეული მოსაუბრის ახლანდელი სიტუაციიდან.

16. I could swim (when I was a child).

წარსული დრო ყოველთვის გამოიყენება ინგლისურ ენაში ეგრეთ წოდებულ If-დამოკიდებულ წინადადებებში, რომლებშიც მოსაუბრის მიერ წარმოდგენილი მოვლენა ახლანდელ რეალობასთან სიახლოვით არ ხასიათდება. (17 a, b).

17. a. If I had a yacht, ...

b. If I was rich, ...

ზემოთ აღნიშნული არც ერთი იდეა არ უნდა ჩაითვალოს წარსულში მომხდარ მოქმედებად. ისინი მოსაუბრის ახლანდელი სიტუაციიდან შორეულ მოქმედებებად არიან წარმოდგენილნი დეიქსური თვალსაზრისით, იმდენად შორეულად, რომ უარყოფით მნიშვნელობას იძენენ (ჩანს, რომ მოსაუბრეს არ გააჩნია იახტა და არც მდიდარია).

უნდა აღინიშნოს, რომ დროის დეიქსისი ენაში უამრავ სხვა დეიქსურ ელემენტებს შეესაბამება. ამგვარად, მისაღმებები ჩვეულებრივ დროით არის შეზღუდული, ასე რომ Good morning – მხოლოდ დილით შეიძლება იქნეს გამოყენებული და ა.შ. საგულისხმოა, რომ ზემოთ მოყვანილი წინადადება შეიძლება გამოვიყენოთ მხოლოდ, როგორც მისაღმება (ბრიტანულ ინგლისურში მაინც), შემდეგი წინადადება კი გამოიყენება მხოლოდ დამშვიდობებისას: Good night.

აქვე გავამახვილოთ ყურადღება იმაზე, რომ ის, რაც მისაღებია ბრიტანელებისათვის, შესაძლებელია მიუღებელი იყოს ამერიკელებისათვის და პირიქით. ამერიკაში ხშირად შეიძლება შემდეგი ფრაზის გაგონება: “Have a nice (good) day!” ბრიტანულ ლექსიკონში არის შემდეგი შენიშვნა, რომ მსგავსი ფრაზა მისაღებია მხოლოდ გამყიდველისა და მყიდველის ურთიერთობაში. იქვე აღნიშნულია, “When you are leaving someone, the most normal thing to say is “Goodbye”, but there are more informal alternatives like “See you”, “Bye”, and most informal of all, “Cheers”. In the USA shop assistants often add “Have a nice day”, but this is not common in Britain”. (OALD). აქედან გამომდინარე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ეს გამონათქვამი ბრიტანელებისათვის დამატებითი ინფორმაციის მატარებელია, რომელიც კომუნიკაციის მონაწილეების როლსა და სტატუსს განსაზღვრავს.

ასე რომ, აქ ჩვენ საქმე გვაქვს დროისა და ტექსტის დეიქსისის ურთიერთდამოკიდებულებასთან.

დროის გრამატიკული კატეგორიის ტრადიციული ანალიზი არ იძლევა საკმარის მასალას იმის შესახებ, რომ ის დეიქსური კატეგორიაა. საინტერესოა შევეხოთ დროის კატეგორიის დეიქსისთან კავშირს.

დროის კატეგორიაზე საუბრისას მნიშვნელოვანია მოხდეს წარსული, ახლანდელი და მომავალი დროების გარჩევა; აღსანიშნავია, რომ მომავალი წარსულის მსგავსია იმდენად, რამდენადაც ის აღნიშნავს ისეთ მოქმედებას, რომელიც კი არ უსწრებს, არამედ მოყვება ახლანდელს დროის უსასრულო კონტინუუმში. მაგრამ, ჩვენი გამოცდილებიდან და დროის კონცეფციიდან გამომდინარე მომავალსა და წარსულს ვერ გავაიგივებთ. მომავლის კატეგორია არ არის უბრალოდ ტემპორალური ცნება. ის აუცილებლად შეიცავს რაიმე მოდალურ ელემენტს. ეს არ ნიშნავს იმას, რომ დროის განსაზღვრა წარსულსა და ახლანდელს შორის სხვაობით ხდება. დროის განსაზღვრა შესაძლოა ახლანდელისა და არა-ახლანდელის გარჩევით ან გამონათქვამის წარმოთქმის დროსთან სიახლოვის მანძილით ხდებოდეს. ის, რაც ინგლისურში და ბევრ სხვა ენაში ჩვეულებრივ ახლანდელ დროდ მიიჩნევა, ფაქტობრივად უფრო არა-წარსულად უნდა ვაღიაროთ. ჩვეულებრივ, წარსული დროის გამოყენება მარტივ წინადადებებში, იმ სიტუაციას, რომლის შესახებაც რაღაც ითქვა, წარსულში ათავსებს წარმოთქმის დროის გათვალისწინებით (მაგალითად: He worked hard); მაგრამ ეგრეთ წოდებული ახლანდელი დროის გამოყენება ჩვეულებრივ წარმოთქმის დროსთან თანადროულობას არ გულისხმობს (მაგალითად: He works hard); ინგლისური ენის ისე, როგორც უმეტესი ენების დროთა სისტემათა ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი, წარსულსა და არა-წარსულს შორის სხვაობაში მდგომარეობს.

ტრადიციულ მეცნიერებას შეცდომაში შევყავართ, რადგან ის წინა პლანზე აყენებს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ დრო აუცილებლად ზმნის კატეგორიაა. ემპირიული ფაქტია, რომ დრო ისე, როგორც პირი, ზმნის მორფოლოგიურ ვარიანტებში რეალიზდება. სემანტიკური თვალსაზრისით, დრო წინადადების კატეგორიადაა მიჩნეული.

მიუხედავად იმისა, რომ ყველა ენას არ გააჩნია დროის კატეგორია, მაინც შეიძლება ითქვას, რომ ყველა ენაში მოგვეპოვება სხვადასხვა დეიქსური ზმნიხედები, როგორცაა now, then, recently, soon, today, yesterday და ა.შ., რომლებიც, აუცილებლობის შემთხვევაში გვაძლევენ იმის საშუალებას, რომ მოვახდინოთ დეიქსურ-ტემპორალური გარჩევა. ნაკლებად სარწმუნოა ის ფაქტი,

რომ ყველა ენაში მოიპოვება ისეთი სიტყვები, რომლებიც არადეიქსური სხვაობის დადგენას შესაძლებელს ხდიან. აქედან გამომდინარე, დროის მითითების დეიქსური სისტემა ძირითადი და ბევრად უფრო აუცილებელია ენისათვის, ვიდრე დროის მითითების არადეიქსური სისტემა.

ტემპორალურ დეიქსისსა და სივრცის დეიქსისს შორის ერთი მნიშვნელოვანი სხვაობა აღინიშნება და ამას არსებითი მნიშვნელობა აქვს მაშინ, როდესაც ხდება კონტექსტზე დამოკიდებული პროპოზიციის კონვერსია კონტექსტისაგან დამოუკიდებელ პროპოზიციად, იმ შემთხვევაში, თუ კონვერსიის პროცესი შედეგიანი იქნება. ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როდესაც გამონათქვამში გვხვდება *here* და *now*. მაგალითად, წარმოვიდგინოთ რომ *x* და *y* დიდი მანძილით არიან დაშორებულნი და სატელეფონო საუბრისას *x* ლონდონში იმყოფება, ხოლო *y* კი ლოს-ანჯელესში; *x* ამბობს:

It is raining here now,

“here” მიუთითებს ადგილს, ხოლო “now” გამონათქვამის წარმოთქმის დროს. ამ შემთხვევაში *here* და *now* მსგავსია. სხვაობა იმაში მდგომარეობს, რომ თუკი *x* და *y*, რომლებმაც იციან, რომ სხვადასხვა ადგილას იმყოფებიან, მოახერხებენ “here” და “there” გამოიყენონ შესაბამისად, ისინი მივლენ იმ დასკვნამდე, რომ “now” მიუთითებს დროის იმავე მონაკვეთს ლონდონში, რასაც ლოს-ანჯელესში. სწორედ აქედან გამომდინარე, მართებული იქნებოდა *x* –ს *y* –სათვის შემდეგი შეკითხვა დაესვა:

What time is it now in Los Angeles?

ჩვეულებრივ მიღებულია, რომ ადამიანის მოქმედებებში გადამწყვეტი ფაქტორი, სივრცეში ორიენტაციის აღქმაა. აქედან გამომდინარე, მეტყველება დიდ დამოკიდებულებას ამჟღავნებს კონტექსტის ცოდნის მიმართ: სად და როდის წარმოითქვა გამონათქვამი და ვის მიერ. ეს სამი განზომილება ყველა ლინგვისტური მოვლენის ეგრეთ წოდებულ დეიქსურ ცენტრადაა მიჩნეული; სწორედ ამ ლინგვისტური ცენტრის გარეშე არ მოხერხდებოდა არცერთი ლინგვისტური გამონათქვამის ინტერპრეტაცია. სვოროუს დაკვირვებების მიხედვით, სოციალური და ფსიქოლოგიური ფაქტორებიც გასათვალისწინებელია დეიქსისის ენაში ფუნქციონირებისას (120, 115, 1993).

დეიქსისში ვგულისხმობთ ყველა იმ საშუალებას, რომელსაც ენა იძლევა და რომელიც ახდენს მეტყველების აქტისა და მის მონაწილეთა (მოსაუბრე,

მსმენელი) ლოკალიზებას სივრცესა და დროში. ანდერსონი და ქენენი დეიქსისის სამ ძირითად კატეგორიას გამოარჩევენ: პირის დეიქსისი, სივრცის დეიქსისი და ტემპორალური დეიქსისი (Anderson and Keenan 1985).

პირის დეიქსისი ჩვეულებრივ ათავსებს საგნებს მოსაუბრისა და მსმენელის შესაბამისად (ე.წ. „პოზიციური“ სისტემა). პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელები ჩვეულებრივ მიუთითებენ სამეტყველო აქტზე (მოსაუბრე/მსმენელი) მაშინ, როდესაც მესამე პირის ნაცვალსახელები აღნიშნავენ არასამეტყველო მონაწილეს, ანუ პიროვნებას, რომელზეც საუბრობენ და ინფორმაციას გვაწვდიან.

სივრცის დეიქსისი მეტყველების აქტის მონაწილეებს სივრცეში განალაგებს. ბევრ ენაში მოიპოვება ისეთი ტერმინები, რომლებიც აღნიშნავენ ადგილმდებარეობას სივრცეში მოსაუბრის პოზიციის მითითებასთან ერთად (მაგალითად: *this* – მოსაუბრესთან ახლოს ნიშნავს, *that* – მსმენელთან ახლოს, ხოლო *yonder* – აღნიშნავს ისეთ სივრცეს, რომელიც არც ერთ მონაწილესთან არაა ახლოს).

ტემპორალური დეიქსისი, მეტყველების აქტის ლოკალიზებას ზმნიზედების (*now, then*) ან არსებითი სახელების (*Tuesday, April*) საშუალებით ახდენს (Anderson and Keenan 1985). გრამატიკული დროც ტემპორალურ დეიქსისად შეიძლება მივიჩნიოთ.

დროის დეიქსისი „ორიენტაციის საკოორდინატო სისტემის“ ყველაზე აბსტრაქტულ განზომილებას აღწერს. ის ეხება იმ ტემპორალური წერტილების კოდირებას, რომელიც გამონათქვამის წარმოთქმის დროს უკავშირდება.

- დროს, როდესაც გამონათქვამი წარმოითქვა, ან რაიმე დაიწერა, კოდირების დრო ეწოდება (Coding Time)
- დრო, როდესაც გამონათქვამის მოსმენა ან წაკითხვა ხდება, მიღების დროდ იწოდება (Receiving Time).

დროის დეიქსისის გამოყენებისათვის სხვა დეიქსური განზომილებებიდან ვიღებთ გამოთქმებს. *this* და *that* ჩვეულებრივ, სივრცის განზომილებას ეკუთვნის, მაგრამ მიუხედავად ამისა, დროის დეიქსისთანაც ეფექტურად გამოიყენება, მაგალითად: *this morning* ან *that summer*.

და მაინც, როდესაც დროზე არადეიქსური თვალსაზრისით ვსაუბრობთ, ეგრეთ წოდებულ „სივრცობრივ მეტაფორებს“ ვიყენებთ, მაგალითად: *the week*

ahead of us, the up coming week ან the week behind us. ეს დროის აღნიშვნის ერთ-ერთი ჩვეულებრივი გზაა: ხაზი, რომელიც ერთ ადგილას მდგომი მოსაუბრის საპირისპიროდ მიემართება. მეორე გზა დროს აღწერს, როგორც კონკრეტულ ან დადგენილ ობიექტს, მაშინ, როდესაც პიროვნება თითქოს მის გასწვრივ მოძრაობს, მაგალითად:

We are approaching the new millennium.

დროის განზომილების გამოხატვის ორი განსხვავებული გზა არსებობს:

- გრამატიკული გამონათქვამები.
- ლექსიკური გამონათქვამები.

ყველაზე მნიშვნელოვანი გრამატიკული ხერხი დროა. დრო ყოველთვის დეიქსურია.

- აწმყო დროში, გამონათქვამის წარმოთქმის დრო (the point of time of the utterance - PU) და მოქმედების დრო (the point of time of the event - PE) ერთდროულია.
- წარსულ დროში, გამონათქვამის წარმოთქმის დრო (PU) მოყვება მოქმედების დროს (PE) – რაღაც მოხდა და მასზე ახლა საუბრობენ, მაგალითად: Listen to what happened yesterday.
- მომავალ დროში, მოქმედების დრო (PE) მოყვება გამონათქვამის წარმოთქმის დროს (PU) – შემთხვევა მოყვება მომავალ გამონათქვამს, მაგალითად: I will be leaving this town tomorrow.

მნიშვნელობა არა აქვს, რომელ დროში წარმოითქვა გამონათქვამი, მთავარია, რომ ის დეიქსურ ცენტრს უკავშირდება.

ლექსიკური გამონათქვამები შესაძლოა დეიქსურიც იყოს და არადეიქსურიც (მაგალითად, აბსოლუტურად განსზღვრული დრო: Easter 1992, ან გამონათქვამები, რომლებიც ახდენენ რაიმეს ლოკალიზაციას აბსოლუტურად განსზღვრულ დროსთან მიმართებით: two minutes past noon Easter Sunday 1992). (Thomas 1995).

დროის დეიქსური გამონათქვამები ტემპორალურ ზმნიზედებს მოიცავს, როგორიცაა now, then, soon, lately, recently, ago, today, tomorrow, yesterday და ა.შ. მათი ინტერპრეტაცია გამონათქვამის წარმოთქმის შესაბამისი დროის ცოდნაზეა დამოკიდებული.

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ now ისეთივე მრავალმნიშვნელოვანია, როგორც here, ზოგჯერ საჭიროა ისეთი დამაკონკრეტებელი სიტყვების გამოყენება, როგორიცაა just ან right, მაგალითად:

I am writing a book now.

ვინ იცის, რა დრო დაუთმო მოსაუბრემ თავის წიგნს და კიდევ რა დრო დასჭირდება მას მომავალში იმისათვის, რომ now რეალურად ახლანდელის აღმნიშვნელი იყოს. უფრო კონკრეტული იქნებოდა შემდეგი წინადადება:

I am finishing my book right now.

სავარაუდოა, რომ პიროვნება, წიგნის ბოლო წინადადებას სწორედ გამონათქვამის წარმოთქმის დროს ბეჭდავს (29, 215-219, 2001).

4.1. ტემპორალური მსაზღვრელები.

არსებული პრობლემის კვლევამდე, სწორი იქნება წინასწარი შენიშვნები გაკეთდეს გარემოებითი, ნომინალური და დამოკიდებული წინადადებების ტემპორალურ გამოთქმათა თაობაზე, რადგან საჭიროა შევისწავლოთ მათი დროსთან კავშირი. ამ საკითხთან დაკავშირებით 1966 წელს კრისტალმა მნიშვნელოვანი იდეები შემოიტანა. სწორედ მის ტერმინოლოგიას სესხულობს ბრაითი და ამ გამოთქმებს ტემპორალურ მსაზღვრელებად მოიხსენიებს (Temporal Specifiers). ამ ტერმინმა, რა თქმა უნდა, არ უნდა გამოიწვიოს მოსაზრება, რომ ისინი კონკრეტულ და არა-კონკრეტულ (specific/non-specific) მსაზღვრელებად მიიხსენიან: at 10:32 am. On 14 May 1969 და once upon a time, ორივე გამონათქვამი ფუნქციონირებს, როგორც ტემპორალური მსაზღვრელი (Huddleston 1969). განირჩევა მსაზღვრელთა სამი ძირითადი ტიპი: მსაზღვრელები, რომლებიც მიუთითებენ ხანგრძლივობას, კონკრეტულ წერტილსა და რიგობრივ მსაზღვრელებს (Length, Point and Ordinal Specifiers). პირველი ტერმინი აღნიშნავს პროცესის (მოქმედების) ხანგრძლივობას. ხანგრძლივობა შესაძლოა პირდაპირ იყოს მოცემული, მაგალითად: (for) three hours, (for) a short while, throughout the meeting, all morning; ან კიდევ, შესაძლებელია მიუთითებულ გვერდეს პროცესის მიერ დაკავებული პერიოდის ზღვარი: from noon to midnight, since 3 o'clock.

კონკრეტული წერტილის მსაზღვრელებისათვის პროცესის (მოქმედების) დროში ლოკაცია უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მისი ხანგრძლივობა. თუ წინადადება გამოხატავს განმეორებით მოქმედებას, ყურადღება უნდა მივაქციოთ

იმ ფაქტს, თუ რას მიუთითებს მსაზღვრელი, მთლიან პროცესს თუ ინდივიდუალურ პროცესს, მაგალითად:

Last term we had a seminar every Tuesday.

Last term – მთლიანობას მიუთითებს, ხოლო every Tuesday კი ცალკეულობას. შესაბამისად მათ შემდეგი ტერმინებით მოიხსენიებენ: მთლიანობისა და ცალკეულობის მაკონკრეტებელი წერტილები (Unitary point specifiers and Individuating point specifiers) (Huddleston 1969).

რიგობითი მსაზღვრელებისათვის დამახასიათებელია ისეთი გამოთქმები, როგორცაა for the second time, again და ა.შ. შემდეგ წინადადებაში დაპირისპირებას ვაწყდებით, მაგალითად:

Yesterday I saw him for the second time,

Yesterday I saw him twice.

პირველი წინადადება ნახვის ერთ მოქმედებას გულისხმობს, მეორეში კი ეს მოქმედება ორჯერ ხდება.

განვიხილოთ შემდეგი მაგალითი:

Yesterday he worked in the garden for ten hours.

მიუხედავად იმისა, რომ yesterday პერიოდის უფრო დიდ მონაკვეთს მოიცავს, ვიდრე for ten hours, რა თქმა უნდა, სწორედ მეორე გამოხატავს ხანგრძლივობას. კონკრეტული წერტილის მსაზღვრელი (point specifier) არ მიუთითებს იმ პერიოდს, რომელიც პროცესის მიერ დაკავებულ დროს ემთხვევა. ის ჩვეულებრივ უფრო დიდ მონაკვეთს გულისხმობს, როგორც ეს წინა წინადადებაში გვქონდა ნახვენები. ან კიდევ:

He died in 1958.

თუ პერიოდი უფრო მცირეა, ის პროცესის დაწყების დროის აღმნიშვნელად მიიჩნევა. (16, 185, 1966).

ზემოთ აღნიშნულ წინადადებაში (yesterday he worked ...) გამოყენებული მსაზღვრელები ავსებენ ერთმანეთს. შემდეგ წინადადებაში კომბინაცია უფრო კონკრეტულია, მაგრამ საპირისპირო შემთხვევას ვაწყდებით:

Yesterday he flew to Washington for ten days.

აქ, for ten days იმ მცირე პერიოდს, რომელიც შესაძლებელია yesterday-ში იგულისხმებოდეს არ აღნიშნავს . ეს მსაზღვრელები, შეიძლება ითქვას, შეუთავსებელია, რადგან შეუძლებელია, ისინი ერთსა და იმავე პროცესს

მიუთითებდნენ. და რა თქმა უნდა, yesterday სემანტიკურად ფრენას უკავშირდება, მაშინ, როდესაც for ten days, შესაბამისად ვაშინგტონში გაჩერების პერიოდს აკონკრეტებს. განხილული წინადადებების სტრუქტურა მნიშვნელოვნად განსხვავებულია (69, 178, 1969).

4.2. წყობა და ღერძი

უნდა აღინიშნოს, რომ დრო პირდაპირ კი არ ათავსებს პროცესს (მოქმედებას) დროში, არამედ განაღებებს მას კონკრეტული მითითების წერტილის შესაბამისად, რომელსაც შესაძლოა ღერძი (ან ორიენტაცია) ვუწოდოთ. ამგვარად, წარსული, აწმყო და მომავალი ღერძის შესაბამისად წინამავალ, ერთდროულსა და მომდევნო მოქმედებას გულისხმობენ. უმარტივეს შემთხვევებში, ღერძი გამონათქვამის წარმოთქმის დროა. ამ შემთხვევაში, ის აშკარად დეიქსურ კატეგორიას წარმოადგენს. შემდეგ წინადადებაში, He ruled the country, მოქმედება (მართვა) მოხდა მანამ, სანამ გამონათქვამი იქნებოდა წარმოთქმული მაშინ, როდესაც – He rules the country, სამეტყველო აქტთან თანადროულ მოქმედებას წარმოადგენს, ან უფრო კონკრეტულად, რადგანაც მართვისა და წარმოთქმის პროცესები სხვადასხვა ხანგრძლივობისაა, მართვის დრო, სამეტყველო აქტის დროს მოიცავს.

თუმცა, ორიენტაციის ღერძი ყოველთვის სამეტყველო აქტს არ ემთხვევა. ის შეიძლება დადგინდეს პროცესზე (მოქმედებაზე) მითითებით. ასეთ შემთხვევებში დრო არ იქნება დეიქსური, მაგალითად:

I intended to do it yesterday.

აქ, yesterday განსაზღვრავს ზმნა do-ს და არა intend-ს. დრო მომავალს გულისხმობს – საუბრის მომენტთან მიმართებით კი არა, არამედ განზრახვის, დაპირების დროსთან მიმართებით. აქედან გამომდინარე მას განვიხილავთ, როგორც მყოფად წარსულში.

დროის მაკონტროლებელი სიტყვები დროის პერიოდს სხვადასხვაგვარად მიუთითებენ:

- a) სამეტყველო აქტის დროზე მითითებით: now, today, tomorrow, last week, three days ago, at the present time, at the moment, და ა.შ.
- b) ტექსტში დადგენილ დროზე მითითებით (ე.წ. ანაფორის საშუალებით): then, at that time, (the) next day, the following day, the day before, shortly afterwards, some time later და ა.შ.
- c) რომელიმე დერძზე მითითებით, რომელიც დამოკიდებული არაა სამეტყველო აქტსა და ტექსტის სხვა ნაწილებზე: in 1640, toward the end of World War II, in the middle of John's inaugural lecture და ა.შ.

შეიძლება ითქვას, რომ a და b ტიპები შეიცავენ დეიქსისს; პირველი – ტემპორალურ დეიქსისს, ხოლო მეორე კი ტექსტობრივ დეიქსისს (69, 132, 1969). აღსანიშნავია, რომ a და b ტიპები ნაწილობრივ ემთხვევა ერთმანეთს, მაგალითად: this – ისეთ გამონათქვამში, როგორიცაა at this moment/time, ადვილი შესაძლებელია ანაფორული თვალსაზრისით იყოს გამოყენებული, და ამდენად b ტიპად მივიჩნიოთ; ან კიდევ, შესაძლებელია ის სამეტყველო აქტის დროსთან სიახლოვეს აღნიშნავდეს; აქედან გამომდინარე მას a ტიპს მივაკუთვნებთ. ისეთ გამონათქვამებში, როგორიცაა in a few days, დერძი შემდეგნაირად განისაზღვრება: თუ ის გულისხმობს „from then“ – b ტიპში მოთავსდება, ხოლო თუკი მისი პრესუპოზიცია იქნება „from now“ – მას a ტიპში მოვათავსებთ (69, 125, 1969). დროის მაკონკრეტებელი ზოგიერთი სიტყვა ხშირად ციკლური სახის დროის პერიოდის აღსანიშნავად გამოიყენება – at 6 o'clock, on 14 January, at the week-end და ა.შ. მათი მიკუთვნება შეიძლება a, b და c ტიპებისათვის, იმის მიხედვით, თუ დროის რა პერიოდი იგულისხმება, მაგალითად:

- 1) I finished at 4 o'clock (this afternoon, type a)
- 2) –Are you coming to London next Tuesday?
–Yes, I'll arrive at 4 o'clock (type b)
- 3) Queen Victoria died at 4 o'clock too (აქ პერიოდზე მითითება არაა შესრულებული, ამიტომ მას c ტიპს მივაკუთვნებთ).

ასეთი სახის ციკლურ გამოთქმებს, შესაძლოა ახლდეს სტრუქტურული მარკერები, რომლებიც გვიჩვენებენ რომელ ტიპს მიეკუთვნებიან ისინი, მაგალითად, კვირის დღეებთან დაკავშირებით: on the Tuesday – მხოლოდ და

მხოლოდ b ტიპს წარმოადგენს, on a Tuesday – c ტიპს, ხოლო on Tuesday, ჩვეულებრივ a ტიპად იქნება მიხნეული.

დეიქსური გამონათქვამები, a ტიპი, ჩვეულებრივ მიუთითებენ წარსულს, აწმყოსა და მომავალს. ამგვარად:

Yesterday, last ..., ... ago – წარსულს აღნიშნავს;

Tomorrow, next ..., in ... – მომავალია;

Now, nowadays, today – ახლანდელს მიუთითებს. მაგალითად: „He refused to allow me to call the prison doctor. He had taken all the tablets I bought him yesterday. He said he took them because he was bored.” (K.A.P.) „Never seen him before, never seen him since, never seen anything of his black face but his picture, never seen his face alive, any time at all, or anywheres, and didn't want to, need to, never hope to see that face and never will. As long as there was no question in my mind” (E. W.)

“The presence of death in the room makes her bold. “Today I found Eugenio going into a stupor”. (K. A. P.)

“I'll tell Morgan now”, said the carpenter's wife out of the hammering, sawing darkness of the shop”. (D. Th.)

“Next morning the children made a celebration and spent their playtime writing on the blackboard . (K. A. P.)”.

წარსულის, აწმყოსა და მომავლის ურთიერთდამოკიდებულება უფრო კომპლექსურია, მაგალითად: this morning შესაძლოა აღნიშნავდეს წარსულს ან ახლანდელს, მაგრამ არა მომავალს (იმდენად, რამდენადაც ის მიუთითებს დღის (today) პირველ ნაწილს); this evening (ასევე tonight) აწმყო ან მომავალია, ის ნაკლებად მიიხნევა წარსულად (საპირისპირო მიზეზის გამო); this Tuesday – შესაძლებელია წარსულს ან მომავალს აღნიშნავდეს, იშვიათად ახლანდელს (ახლანდელისათვის today იქნებოდა გამოყენებული); ხოლო ასეთი გამონათქვამები this afternoon/spring, და ა.შ. შეიძლება წარსულს, ახლანდელსა და მომავალსაც კი მიუთითებდეს, მაგალითად:

“Why don't you come to poker on this Friday night? We got a nice game going. Don't deprive yourself of a good form of relaxation” (B. M.)

“It is this month of separation for the sake of higher principles that has been spoiled not only for Mrs. Braggioni, whose sense of reality is beyond criticism, but for Laura, who feels herself bogged in a nightmare. Tonight Laura envies Mrs. Braggioni, who is alone, and free to weep as much as she pleases about a concrete wrong. Laura has just come from a visit to the

prison, and she is waiting for tomorrow with a bitter anxiety as if tomorrow may not come, but time may be caught immovably in this hour, with herself transfixed, Braggioni singing on forever, and Eugenio's body not yet discovered by the guard". (K. A. P.).

ამ საკითხებიდან გამომდინარე ვუახლოვდებით დეიქსური მსაზღვრელებისა და (დრმა) გრამატიკული დროების ურთიერთდამოკიდებულებასა და თანადროულობას. დებულება მათი ურთიერთკავშირისა და ერთდროულობის შესახებ ხუთი ფაქტორით განისაზღვრება:

a) „ისტორიულად ახლანდელ“ დროში დეიქსურად ახლანდელი დრო გამოიყენება იმ პროცესის აღსანიშნად, რომელიც წარსულში მოხდა, მაგრამ ასეთი გადანაცვლება არანაირ ეფექტს არ ახდენს ტემპორალურ მსაზღვრელებზე:

Yesterday he comes to see me and ...

b) დეიქსური მსაზღვრელი today ანალოგიურობას ამჟღავნებს ისტორიულ ახლანდელთან წარსული დროის აღნიშვნისას:

Today was his birthday.

როგორც ისტორიულ ახლანდელში, მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ საუბრის მომენტი წარსულის იმ მომენტთან გაიგივდეს, რომელზეც პიროვნება საუბრობს, მაგრამ როგორც ბოლო ორი მაგალითიდან ჩანს, დრო და მსაზღვრელები შეიძლება დამოუკიდებლად განვიხილოთ.

c) ყველა შეზღუდვის ახსნა მსაზღვრელებსა და დროს შორის ტემპორალური უთანხმოებით არ მოხერხდება. კერძოდ, ჩვენ გვესაჭიროება კონკრეტული წესი, რომელიც შემდეგი წინადადებიდან გამორიცხავს წარსული დროის მსაზღვრელებს: (და არა დეიქსურ ახლანდელს – have)

I have seen him last week.

აქ შეზღუდვა აბსოლუტური არ არის, მაგრამ იმ შემთხვევებს აღნიშნავს, სადაც მსაზღვრელი და წარსული დროის ზმნა ერთსა და იმავე ტონურ ჯგუფში თავსდება.

d) როგორც ადრე აღვნიშნეთ, მსაზღვრელებმა შეიძლება მიუთითონ დროის იმ პერიოდს, რომელიც მოქმედებით გამოხატულ პერიოდზე გრძელდება. თუმცა ახლანდელი დროის მსაზღვრელი არ გულისხმობს იმას, რომ აღნიშნული პროცესი ახლანდელია:

He died this year.

Do it now.

“I’m seventy-six years old. I have come twelve kilometers now and I think now I can go no further” (E. H.).

პირველ წინადადებაში, *this year* გულისხმობს და მოიცავს როგორც გარდაცვალებას, ისე საუბრის დროს, მაგრამ ეს ორი დრო არ ემთხვევა ერთმანეთს. ასევე მეორე წინადადებაში, *now* საკმაოდ გრძელ პერიოდს გულისხმობს, რომ მოიცავს როგორც საუბრის, ასევე შესრულების (მომავალი) დრო. ეს ფაქტორი, რა თქმა უნდა, არანაირ ზეგავლენას არ ახდენს წარსული და მომავალი დროის მსაზღვრელების გამოყენებაზე. აქედან გამომდინარე, არანაირი სხვაობა არ ჩანს იმაში, მსაზღვრელით მითითებული პერიოდი ემთხვევა თუ არა იმ პერიოდს, რომელსაც მოქმედება, პროცესი იკავებს – ეს უკანასკნელი, შესაბამისად, ან წარსული იქნება ან მომავალი. აღსანიშნავია, რომ ახლანდელი დროის ყველა მსაზღვრელი ვერ დაუკავშირდება წარსულ ან მომავალ დროს. ასე რომ, ისეთი გამოთქმები, როგორიცაა *these days, nowadays* და *ა.შ.* მხოლოდ დეიქსურ ახლანდელთან გამოიყენება. მათი შემცველი წინადადება ურთიერთდაკავშირებულ პროცესს ან მნიშვნელოვან, შესაბამის ხანგრძლივობას უნდა გამოხატავდეს, მაგალითად:

I live (lived/will live) in London nowadays.

ასევე, სხვადასხვა მიზეზების გამო, ისეთი მსაზღვრელი, როგორიცაა *at that moment*, აშკარად მოითხოვს დეიქსურად ახლანდელ დროს:

I saw him at the moment.

Stand up at the moment.

აქ *at* – გადამწყვეტი მნიშვნელობისაა; ისეთ მსაზღვრელებთან, როგორებიცაა *this instant/minute*, პროცესი უფრო ხშირად (თუ ყოველთვის არა), უახლოესი წარსული ან უახლოესი მომავალია ვიდრე ახლანდელი.

e) დეიქსური მსაზღვრელები შეიძლება არადეიქსური დროის მქონე ზმნებს დაუკავშირდნენ. მაშასადამე, წარსული დროის მსაზღვრელი ვერ იქნება გამოყენებული მეოფად (აწმყოში) დროში, ის შეიძლება გამოვიყენოთ მეოფად-ნამყო დროში, მაგალითად:

He intended doing it yesterday.

მეოფადი დროის მსაზღვრელი შეიძლება გამოყენებულ იქნას ასევე არა დეიქსურად წარსულ დროში, არამედ ნამყო-მეოფად დროში, მაგალითად:

Come and see us after you get back tomorrow.

ბოლო ორი მაგალითი განსხვავდება ერთმანეთისაგან; მომავლის მსაზღვრელი ნამყო-მყოფად დროში საკმაოდ იშვიათია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ დროის დამოკიდებულ წინადადებებს. ეს იქედან აიხსნება, რომ ნამყო-მყოფადი დროის უმეტესი ნაწილი მყოფადს have ზმნას უკავშირებს და მსაზღვრელიც have-ის მყოფად დროს უფრო ეკუთვნის ვიდრე ნამყოს, მაგალითად:

You had better not tell him that you were with me now.

He will have it finished tomorrow.

აქ tomorrow აკონკრეტებს have ზმნას; ჩვენი მიზანი რომ ყოფილიყო მის მიერ ზმნა finish-ის დაკონკრეტება, მაშინ გამოვტოვებდით have-ს და ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, finish წარსულ დროში აღარ იქნებოდა.

აწმყო დროის მსაზღვრელები აგრეთვე შეიძლება გამოყენებულ იქნა ნამყო დროსთან მყოფადის შესაბამისად, და მყოფადთან ნამყო დროის შესაბამისად:

You had better not tell him that you were with me now.

He intended to be here at this moment.

მაგრამ ისინი ნაკლებად გამოიყენებიან დროის დამოკიდებულ წინადადებებში, მაგალითად:

Bill will leave after John arrives.

Bill left before John arrived.

აქ ვერ მოხერხდება ზმნა arrive-ის მსაზღვრელად now-ს გამოყენება.

მაშასადამე, ჩვენ შევეხეთ დროის კატეგორიის დეიქსისთან კავშირს და მოვახდინეთ წარსული, ახლანდელი და მომავალი დროების გამოჯენა. ყურადღება გავამახვილეთ დეიქსურ ზმნიზედებზე, რომლებიც ყველა ენაში მოგვეპოვება და, რომელთა საშუალებითაც ხდება ამა თუ იმ მოქმედების დაკონკრეტება და მათთვის დეიქსური ფუნქციის მინიჭება. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს კონტექსტის ცოდნის უდიდესი მნიშვნელობა და აუცილებლობა: სად, როდის და ვის მიერ წარმოითქვა წინადადება. ეს ის სამი განზომილებაა, რომელიც ყველა ლინგვისტური მოვლენის ე.წ. დეიქსურ ცენტრადაა მიჩნეული.

თავი II. ადგილის დეიქსისი, როგორც ენობრივ-კულტურული ფენომენი და მისი ვერბალიზაცია ინგლისურ ენაში

§1. სივრცე, კულტურა და დეიქსისი.

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენს ენის დეიქტიკური ველის სივრცითი ნიშნით გადააზრება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, დეიქსისი ის ფენომენია, რომელიც წარმოადგენს კომუნიკაციის აქტის ერთ-ერთ განმსაზღვრელ განზომილებას, რომელიც გულისხმობს ტექსტში დასახელებული რეალების ჩვენებას, რაც თავის მხრივ მოიაზრებს არა მხოლოდ დროით, არამედ სივრცით კოორდინატებს. რა თქმა უნდა, ეს კოორდინატები განისაზღვრება კომუნიკაციურ-ინტერსუბიექტური “სივრცით”, რომელიც იქმნება კომუნიკანტებს შორის. რადგან კომუნიკანტები წარმოადგენენ ენობრივ პიროვნებებს, ხსენებული კოორდინატების განმსაზღვრელ ფაქტორად უნდა მივიჩნიოთ ენობრივ პიროვნებათა არა მხოლოდ ტემპორალური, არამედ სივრცითი სტრუქტურაც. მაგრამ, როგორც უკვე ვთქვით, ენობრივი პიროვნება არის კონკრეტული კულტურის სუბიექტი. აქედან გამომდინარე, მისი პიროვნული სტრუქტურა განისაზღვრება იმ კულტურითაც, რომელსაც იგი ეკუთვნის. ე.ი, კომუნიკაციის დროს, ადამიანს თავისი პიროვნული შინაარსი შემოაქვს, რაც საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ ენობრიობისა და პერსონალურობის სინთეზი, ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ იმ კულტურული პარადიგმის შინაარსობრივი სტრუქტურა, რომელსაც პიროვნება ეკუთვნის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დეიქსისის პრობლემა უნდა განიხილებოდეს ლინგვოკულტუროლოგიურ ჭრილში.

ადგილის, ანუ სივრცის დეიქსისი ეხება იმ ადგილების დაკონკრეტებას, რომლებიც სამეტყველო სიტუაციასთან კერძო კავშირშია. ადგილმდებარეობის განსაზღვრისა და დაკონკრეტების აუცილებლობა შესაძლოა იმ ფაქტით აიხსნას, რომ ვლინდება საგნებზე მინიშნების ორი გზა – ერთი მხრივ, ეს გახლავთ მათი აღწერა ან სახელდება და მეორე მხრივ, მათი ადგილმდებარეობის განსაზღვრა. ამგვარად, ადგილმდებარეობის დაკონკრეტება შესაძლოა მოხდეს სხვა საგნებთან ან ფიქსირებული რეფერენტის ადგილმდებარეობასთან შეფარდებით, როგორც მაგალითად:

The station is two hundred yards from the cathedral.

Kabul lies at latitude 34 degrees, longitude 70 degrees.

შესაბამისად, შესაძლოა მოხდეს მათი დეიქსურად დაკონკრეტება, საუბრის მომენტში მონაწილეთა ადგილმდებარეობის მიხედვით. მაგალითად:

It's two hundred yards away.

Kabul is four hundred miles West of here.

ნებისმიერ შემთხვევაში, სავარაუდოა, რომ ზომის ერთეულები, მიმართულებისა და ადგილმდებარეობის აღწერის ხერხები უნდა იქნეს გამოყენებული და სწორედ ამ შემთხვევაში ხდება ადგილის დეიქსისის საკმაოდ რთული ფორმებით სივრცის არადეიქსურ ორგანიზაციასთან დაკავშირება. (Leech 1969; Fillmore 1975: 16-28; Lyons 1977a).

თუმცა ინგლისურ ენაში არსებობს სუფთა ადგილის – დეიქსური სიტყვები. ამ მხრივ აღსანიშნავია ზმნიზედები *here* და *there*, და ჩვენებითი ნაცვალსახელები – *this* და *that*. ზმნიზედა *here*-ის სიმბოლური გამოყენება შემდეგ წინადადებაში, შესაძლოა განვმარტოთ, როგორც პრაგმატიკულად მოცემული სივრცის ერთეული, რომელიც მოიცავს მოსაუბრის ადგილმდებარეობას კოდირების დროს (87, 73, 1977).

I'm writing to say I'm having a marvellous time here.

ქესტური გამოყენება შესაძლოა ოდნავ სხვაგვარად განვმარტოთ, კერძოდ, როგორც პრაგმატულად მოცემული სივრცე, რომელიც ახლოსაა მოსაუბრის ადგილმდებარეობასთან კოდირების მომენტში. მოიცავს იმ ადგილს თუ ადგილმდებარეობას, რომელზე მითითებაც ქესტის საშუალებით განხორციელდა (87, 94, 1977). აღსანიშნავია, რომ განმარტებებში ჩვენ ვერ ავუვლით გვერდს ტერმინს „პრაგმატულად მოცემული“ (87, 89, 1977), რადგან შემდეგი მაგალითი, *Place it here*, – შესაძლოა, საკმაოდ განსხვავებული იმპლიკაციით

ხასიათდებოდეს იმის მიხედვით, ის ამწეს ოპერატორის თუ ახალგაზრდა ქირურგის მიმართაა წარმოთქმული.

და ისევ, აქ საქმე გვაქვს „ენციკლოპედიური ცოდნისა“ და „ლინგვისტური ცოდნის“ ურთიერთკავშირთან, რომლებიც ერთად საზღვრავენ ზუსტ ადგილმდებარეობას. ეს კიდევ ერთი საკითხია, როდესაც ინდექსური ნიშნებისადმი ფილოსოფიური მიდგომა ვერანაირ დახმარებას ვერ გვიწევს.

უმეტესი კულტურის ენებში დეიქსისი, ძირითადად, პროქსიმალურობა/დისტალურობის ნიშნით ხასიათდება. ზმნიზედები *here* და *there*, ხშირად მოიაზრებიან, როგორც პროქსიმალურ/დისტალური განზომილებები, რომლებიც მოსაუბრის ადგილმდებარეობასთან მიმართებით განისაზღვრებიან, მაგალითად:

Bring that here and take this there.

მაგრამ ეს ასე იშვიათად არის, თუმცა *there* ძირითადად ნიშნავს კოდირების დროს მოსაუბრის ადგილმდებარეობისაგან შორს არსებულს, ის აგრეთვე შეიძლება გამოვიყენოთ მიღების მომენტში ადრესატთან ახლოს არსებულის მნიშვნელობითაც. მაგალითად, არაანაფორულად გამოყენებისას:

How are things there?

რა თქმა უნდა, ეს წინადადება არ გულისხმობს იმას, რა ხდება მოსაუბრისაგან შორს, არამედ ცდილობს გაიგოს, რა ხდება იმ ადგილას, სადაც ადრესატი იმყოფება. *There* ზმნიზედის ქესტური გამოიყენება პირველ ინტერპრეტაციას უკავშირდება, ხოლო სიმბოლური კი მეორეს. *There* ანაფორულადაც შეიძლება გამოვიყენოთ და აქედან გამომდინარე, არც შემდეგი წინადადებაა პრაგმატული თვალსაზრისით ანომალიური, მაგალითად:

We're there.

სადაც *there* მიუთითებს იმ ადგილს, რომელიც ჩვენ წინასწარ ვახსენეთ, როგორც ჩვენი მიზანი (Fillmore 1971 b).

ჩვენებითი ნაცვალსახელები, პროქსიმალურ-დისტალური განზომილებების მხრივ, შესაძლოა უფრო ორგანიზებულად მივიჩნიოთ. მაშასადამე, *this* დასაშვებია წარმოადგენდეს პრაგმატულად მოცემულ არეალში მდებარე ობიექტს, რომელიც ახლოსაა კოდირების მომენტში მოსაუბრის ადგილმდებარეობასთან ხოლო *that* პრაგმატულად მოცემული არეალის მიღმა მდებარე ობიექტს, რომელიც კოდირების მომენტში ახლოსაა მოსაუბრის ადგილმდებარეობასთან. ლაიონზი გვთავაზობს მათ დერივატიულ განმარტებას

– “the one here”, “the one there” (87, 1977a:647). მაგრამ სირთულეს ვაწყდებით, როცა თანაგრძნობის გამოსახატავად that-ის ნაცვლად this ნაცვალსახელია გამოყენებული, და მაშინაც, როდესაც, ემოციური სხვაობის გამოხატვისას this that ნაცვალსახელით იცვლება. ლაიონზი ამ მოვლენას ემფატიკურ დეიქსისს უწოდებს. არსებობს აგრეთვე პროქსიმალურ-დისტალური განზომილებების სისტემატური ნეიტრალიზაცია, როცა ის არ არის რელევანტური; ასე რომ, ნემსების ქილაში ცხრა ნომრის ძებნისას შეგვიძლია წარმოვთქვათ ნებისმიერი წინადადება ქვემოთ მოყვანილი მაგალითებიდან:

This is it!

That’s it!

ზოგიერთ ენებში პროქსიმალურ-დისტალური განზომილებების აღსანიშნავად სამი ან ოთხი სხვადასხვა სახის ჩვენებითი მოიპოვება; მაგალითად, ჩრდილო-დასავლურ ამერიკულ ენას შემდეგი ჩვენებითები ახასიათებს: “this one right here”, “this one nearby”, “that one over there” და “that one way over there” (Frei; 1944: 115; Anderson and Keenan, in press).

თუმცა, სიფრთხილვა საჭირო გამოუკვლეველი ენების ანალიზისას, რადგან ჩვენებითების ორგანიზება, ხშირად, მონაწილეთა როლებს შორს კონტრასტის მიხედვით ხდება, და არა უბრალოდ ფიქსირებული დეიქსური ცენტრიდან მათი განზოგადების მიხედვით, (მოსაუბრის ადგილმდებარეობა კოდირების მომენტში). მაგალითად, ლათინურში და შესაბამისად თურქულში, hic (თურქულად bu) ნიშნავს „მოსაუბრესთან ახლოს“, iste (თურქულად şu) – „ადრესატთან ახლოს“, ხოლო ille (თურქულად o) ნიშნავს „როგორც მოსაუბრისაგან, ასევე ადრესატისაგან შორს მყოფს“ (Lyons 1968). ნალოგიური მდგომარეობაა ფილიპინურ ენაში, ფილიპინელებს აქვთ ოთხი სახის მინიშნება, რომელიც დაფუძნებულია მონაწილეთა როლების ოთხ სხვადასხვა სახეზე: 1) ახლო მოსაუბრესთან, 2) ახლო ადრესატთან, 3) ახლო აუდიტორიასთან, 4) ახლო დამსწრე პიროვნებებთან, მაგრამ მოშორებით მყოფი იმ ჯგუფისაგან, რომელიც შედგება მოსაუბრის, ადრესატისა (ადრესატებისა) და აუდიტორიისაგან. ზოგიერთ კულტურის ენებში არსებობს ჩვენებითების სისტემა, ორგანიზებული მხოლოდ მოსაუბრის ადგილმდებარეობის მიმართ. არის აგრეთვე სისტემები (მაგალითად, ავსტრალიურსა და ახალი გვინეის ენებში), რომლებიც განასხვავებენ სივრცის სამ განზომილებას, რადგან მოეპოვებათ ადგილების აღმნიშვნელი შემდეგი სახის ჩვენებითები: “the one above the speaker”,

“the one below the speaker”, “the one level with the speaker”, და ამასთანავე განარჩევენ მანძილს მონაწილეებისაგან (Dixon 1972). ზოგიერთ ენებში დამატებითი დეიქსური პარამეტრებიც გვხვდება, როგორიცაა, მაგალითად: “upriver/downriver from the speaker”, ან “visible/nonvisible to the speaker”, რომელიც ხელს უწყობს უამრავი ჩვენებითი ტერმინის წარმოშობას (Anderson & Keenan, in press).

ჩვენებითი მსახლვრელების არადეიქსურ ტერმინებს, დეიქსური თვალსაზრისით უკავშირდება ადგილმდებარეობის კომპლექსური აღწერა. სივრცის არადეიქსური ორგანიზაცია შეიცავს ყველა იმ განსხვავებას, რომელიც არსებობს ზედაპირებს, სივრცეებს, საგნის წინა, უკანა, გვერდით ნაწილებს შორის, რომ არაფერი ვთქვათ სიფართის, სიგრძისა და სიმაღლის შესახებ და ა.შ. მაგალითად: This side of the box შესაძლოა ნიშნავდეს ყუთის ზედაპირს, რომელსაც შეიძლება ეწოდოს გვერდი, რომელიც ყველაზე ახლოსაა მოსაუბრის ადგილმდებარეობასთან კოდირების მომენტში, მაგრამ: This side of the tree – უბრალოდ ნიშნავს ხის იმ ნაწილს, რომელიც დასანახია იმ ადგილიდან, სადაც მოსაუბრე იმყოფება კოდირების მომენტში. ამ ორი წინადადების მნიშვნელობებს შორის სხვაობა მთლიანად დამოკიდებულია ყუთთან დაკავშირებულ მაგალითზე, მაგრამ არ ეხება მეორე მაგალითს, რადგან ხეებს ჩვეული მხარეები გააჩნიათ. ანსხვავება, ალბათ, უფრო ნათელი იქნება, თუ ვისაუბრებთ ისეთ საგანზე, როგორიცაა მანქანა, რომელსაც გააჩნია ჩვეული ორიენტაცია; ასე რომ, მისი ქვედა ნაწილი რჩება ქვედა ნაწილად, როდესაც ავტომანქანა ამოტრიალებულია, და ასევე, წინა ნაწილი წინა ნაწილად რჩება იმ შემთხვევაშიც კი, თუ მანქანა უკუსვლით მიდის. შემდეგ წინადადებაში ორაზროვნებას ვაწყდებით, მაგრამ ის იმავე სირთულის არ გახლავთ, რაც ზემოთ აღნიშნულ ორ წინადადებაში შეგვხვდა, მაგალითად:

The cat is behind the car.

სადაც სიტყვას behind შესაძლოა ჰქონდეს დეიქსური გამოყენება (ე.ი. მანქანა დგას კატასა და მოსაუბრეს შორის), ან არადეიქსური გამოყენება (ე.ი. კატა არის მანქანის ჩვეულ უკანა ნაწილთან). მაგრამ ძირითადი წყარო სირთულისა იგივეა: ზოგიერთ საგანს ჩვეული ორიენტაცია გააჩნია, წინა ნაწილით, გვერდებით და ა.შ. დეიქსური/ არადეიქსური ორაზროვნება ძალიან ზოგადია და შემდეგი წინადადებაც საგონებელში აგდებს ადრესატებს:

Bob is the man to the left of Mark.

სადაც ბობი, შეიძლება იყოს მარკის პოზიციიდან მარცხნივ მდგომი ადამიანი (არადეიქსური გამოყენება), ან მოსაუბრის მხრიდან მარცხნივ მდგომი პიროვნება (დეიქსური გამოყენება).

განვიხილოთ, თუ რა განსხვავება შეიძლება არსებობდეს სხვადასხვა ეროვნულ-ლინგვო-კულტურის წარმომადგენელთა შორის სამეტყველო სიტუაციაში. აქ უნდა აღინიშნოს პროქსემიკის როლი და ე.წ. “პირადი ზონა”. მანძილის კონტროლი მოსაუბრეებს შორის სირთულეს წარმოადგენს, რადგან ეს ფაქტობრივად კომუნიკაციური აქტის გაუცნობიერებელ ნაწილად შეიძლება მივიჩნიოთ. “პირადი ზონა” სხვადასხვა კულტურებში სხვადასხვა მანძილით, დისტანციით არის წარმოდგენილი. (მაგალითად, აუცილებელია ნახევარი მეტრის დისტანციის დაცვა სამხრეთ ევროპელებისათვის, ლათინოამერიკელებისათვის). თუ დავაკვირდებით, რა დისტანციას იცავენ სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლები საუბრის დროს, სხვაობის დანახვაც არ გაგვიჭირდება. კომუნიკაციის ასეთი არავერბალური (ექსტრალინგვისტური) კომპონენტები ღრმად არ ანალიზდება, მაგრამ მიუხედავად ამისა, კომუნიკაციისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანი ფუნქცია გააჩნიათ. ისინი ქმნიან ფსიქოლოგიურ კომფორტსა თუ დისკომფორტს. (11, 67, 2002)

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საკმაოდ მჭიდრო კავშირია დეიქსურ მსაზღვრელებს, მესამე პირის ნაცვალსახელებსა და განსაზღვრულ არტიკლს შორის (Lyons 1968, Hawkins 1978). სამივე კატეგორია განსაზღვრულობით ხასიათდება და იგი დეიქსისის უმთავრეს თვისებად შეიძლება ჩაითვალოს. ლაიონსის მოსაზრების მიხედვით, this x ნაცვალსახელურ ელემენტს შეიცავს, ისევე როგორც შეიცავს here-ის მსგავს ზმნიზედურ ელემენტს. აქედან გამომდინარე, the x განსხვავდება this x-საგან და that x-საგან იმით, რომ this x ხასიათდება + სიახლოვით, that x კი აღნიშნულია – სიახლოვით, ხოლო the x არ არის მარკირებული სიახლოვით, ე. ი. ის არის ნეიტრალური დეიქსური ტერმინი (87, a : 653-4, 1977).

განვიხილოთ მოძრაობის აღმნიშვნელი ზოგიერთი ზმნა, რომლებიც დეიქსურ კომპონენტს შეიცავენ. ზმნა come ინგლისურ ენაში, go-ს საპირისპიროდ ადგენს სხვაობას მოძრაობის მიმართულებებს შორის საუბარში მონაწილეთა შესაბამისად (Fillmore 1966, 1975). მაგალითად: He's coming. ეს წინადადება გულისხმობს, რომ პიროვნება მიემართება მოსაუბრის ადგილმდებარეობისაკენ კოდირების მომენტში, მაშინ, როდესაც He's going

გულისხმობს, რომ პიროვნება კოდირების მომენტში მოსაუბრის ადგილმდებარეობიდან შორს (საპირისპირო მხარეს) მიემართება. მოცემული განმარტება არ გამოდგება ინგლისური ენისათვის შემდეგ შემთხვევაში: I'm coming. რადგან ეს არ შეიძლება გულისხმობდეს იმას, რომ მოსაუბრე მიემართება მოსაუბრის ადგილმდებარეობისაკენ, არამედ გულისხმობს, რომ მოსაუბრე მიემართება ადრესატის ადგილმდებარეობისაკენ კოდირების მომენტში. ასეთი გამოყენება შეიძლება გამოწვეულ იქნა დიაქრონულად, ადრესატის მიმართ თავაზიანი დეიქსური მიმართვით. თუ ზემოთ აღნიშნულს გავითვალისწინებთ, შეიძლება დავასკვნათ, რომ come ინგლისურ ენაში აღნიშნავს მიმართულებას ან მოსაუბრის ადგილმდებარეობისაკენ ან კიდევ მიმართულებას ადრესატის ადგილმდებარეობისაკენ კოდირების მომენტში. თუმცა, ეს განმარტებაც ყოველთვის მართებული არ არის, – ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ:

When I'm in the office, you can come to see me.

სადაც come განიმარტება, როგორც მოძრაობა მოსაუბრის ადგილმდებარეობისაკენ რაიმე სხვა კონკრეტული შემთხვევის დროს (ამ დროს, რეფერენტული დრო ვუწოდოთ). ასეთი გამოყენებაც მთლიანად დეიქსურია, იმდენად, რამდენადაც ის მიუნიშნებს მონაწილეთა როლებზე, მაგრამ ის არ არის უშუალოდ ადგილის დეიქსური, რადგან საუბრის მომენტთან დაკავშირებულ ადგილმდებარეობას არ ემთხვევა. ზოგჯერ თხრობისას, დეიქსური კონტექსტის ეს ბოლო ნიშანიც კი ქრება, ვიყენებთ რა სიტყვას “come” უმეტესად პროტაგონისტთა, ვიდრე მონაწილეთა ადგილმდებარეობის შესაბამისად, მაგრამ უნდა უგულებელვყოთ ეს არადეიქსური გამოყენება. ამრიგად, სიტყვა “come”-ის მესამე მიახლოებითი განმარტება შემდეგში მდგომარეობს: მიმართულება მოსაუბრის ან ადრესატის ადგილმდებარეობისაკენ კოდირების მომენტში ან რეფერენტულ დროს.

და მაინც, ჩვენი ანალიზი ჯერ კიდევ არასრულყოფილია, რადგან არსებობს come-ის დეიქსური გამოყენება, რომელიც ეფუძნება არა მხოლოდ მონაწილეთა ახლანდელ ადგილმდებარეობას, არამედ მათ ჩვეულ ადგილმდებარეობას ან საცხოვრებელს. რამდენად შეიძლება შემდეგი წინადადების თქმა, მაშინ როდესაც არც მოსაუბრე და არც ადრესატი სახლში არ იმყოფება:

I came over several times to visit you, but you were never there.

ასე რომ ზემოთ აღნიშნულ განმარტებას კიდევ ერთი წინადადება უნდა დავურთოთ, კერძოდ: ის შესაძლოა აგრეთვე აღნიშნავდეს მიმართულებას საცხოვრებელი სახლისაკენ, რაც შენარჩუნებულია კოდირების მომენტში ან მოსაუბრის, ან კიდევ, ადრესატის მიერ. მსგავსი შენიშვნები შეიძლება გაკეთდეს გო-ს შესახებ, და აგრეთვე ისეთ ზმნებთან დაკავშირებით, როგორცაა bring და take (Fillmore 1975).

როცა მოსაუბრე მოძრაობაშია გაცილებით მეტ სირთულეს ვაწყდებით. ამ შემთხვევაში შესაძლებელია დროის აღმნიშვნელი ტერმინები გამოყენებული იყოს დეიქსური ადგილმდებარეობის მისანიშნებლად, მაგალითად:

I first heard that ominous rattle ten miles ago.

There's a good fast food joint just ten minutes from here.

აქ გასარკვევია რომელია უფრო მნიშვნელოვანი: დროის დეიქსისი თუ ადგილის. ლაიონზი ემსრობა იმ თვალსაზრისს, რომ ადგილის დეიქსისი, დროის დეიქსისთან შედარებით, უფრო ფუნდამენტალურია, იქედან გამომდინარე, რომ ადგილის დეიქსური ტერმინები, როგორცაა this და that, შესაძლოა ტემპორალური გაგებითაც იყოს გამოყენებული. (განსაკუთრებით დისკურსში, პროქსიმალური და დისტალური ნაწილების მისანიშნებლად). ასეთი მოსაზრება ხელსაყრელია ლოკალიზმისათვის, ეს გახლავთ თეორია, რომელიც ცდილობს არასივრცული გამოთქმების სივრცულ გამოთქმებად შეცვლას (87, 99, 1977a). მაგრამ ბოლო ორ წინადადებაში მოცემული დეიქსური გამოყენება ამ არგუმენტის საპირისპიროა. დამატებით შეიძლება ითქვას, რომ დეიქსური ადგილმდებარეობა კოდირების მომენტში მონაწილეთა ადგილმდებარეობის შესაბამისად უნდა დაკონკრეტდეს, ე.ი. ადგილის დეიქსისი ყოველთვის შეიცავს ფარული დროის დეიქსისის ელემენტს, მაშინ როდესაც პირიქით არასოდეს ხდება.

ამ პრობლემაზე საუბრისას მართებული იქნებოდა აღგვენიშნა ის, რომ კულტურული ეპოქები ცვლიდნენ ერთმანეთს. მათი ცვლილება უკავშირდება ახალი საზოგადოების წარმოშობას, ანუ, როგორც ვიცით, ტრადიციული პრეინდუსტრიული საზოგადოება შეიცვალა თანამედროვე ინდუსტრიული საზოგადოებით. შესაბამისად იბადება პიროვნების, ინდივიდის ახალი ტიპი. სწორედ აქედან გამომდინარე, (ცვლილება კონკრეტულ ინდივიდთან მიმართებაში) ზემოთ ხსენებული ტრანსფორმაცია ნიშნავს კულტურის ტრანსფორმაციას. საზოგადოების ტიპის შეცვლა იწვევს სოციალური

ფსიქოლოგიის ტრანსფორმაციას, რაც გულისხმობს ადრესატისათვის კომუნიკაციურად რელევანტური დრო-სივრცის ტრანსფორმაციას. ამ სტრუქტურულ კომპლექსში (“დრო-სივრცე”) კი დომინირებს დრო, რაც ნიშნავს სივრცის ტემპორალიზაციას.

ისეთი გამოთქმები, როგორცაა *now* და *here*, უფრო მეტ გამოკვლევას მოითხოვს, რადგან, როგორც ცნობილია, მათი რეფერენტი იმ განუსაზღვრელ ფარგლებს ეკუთვნის, რომელიც მოიცავს საუბრის დროსა და ადგილს. მაგალითად, ლინგვისტიკის ერთ-ერთ დეპარტამენტში მოულოდნელად ვხვდებით ნაცნობს, რომელიც ბოლოს ორი წლის წინათ ვნახეთ, როდესაც ის მიჩიგანში ასწავლიდა, ვეკითხებით:

Are you here now?

რაც, უხეშად რომ ვთქვათ, შემდეგს გულისხმობს: ამ აკადემიურ წელს თქვენ ამ უნივერსიტეტთან თანამშრომლობთ? ცხადია, *now* და *here* გამონათქვამის უშუალო ადგილმდებარეობას რომ აღნიშნავდეს, არც მოგვიხდებოდა კონტექსტის დამადასტურებელი ინფორმაციის მოპოვება. აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ ის ინტერვალი, რომელიც *to be* ზმნას ახლავს, უნდა გაფარდოვდეს, რომ შეავსოს შესაბამისი ინტერვალი. ლევინსონი *now*-სთან დაკავშირებით შემდეგ განმარტებას გვთავაზობს: პრაგმატულად მართებული დროის პერიოდი, რომელიც კოდირების დროს მოიცავს. (86, 76, 1983)

საგულისხმოა, რომ ადგილი, რომელიც აღინიშნება ისეთი სიტყვით, როგორცაა *here*, შესაძლოა საუბრის ადგილს არ მოიცავდეს, მაგალითად: ვთქვათ, ურეკავთ ჯონს ძველ ნომერზე და ოპერატორი გეუბნებათ: “He no longer works here”, რაც გულისხმობს იმას, რომ ის აღარ მუშაობს იმ ფორმაში, რომელიც ახლა იმ ადგილასაა განლაგებული, საიდანაც მე ვსაუბრობ – ეს პასუხი შეესაბამება იმ შესაძლებლობას, რომ ჯონი არასდროს არ მუშაობდა იმ კერძო ადგილას; ან ფორმამ შესაძლოა ადგილმდებარეობა შეიცვალა. ამ შემთხვევაში *here* უკვე მიუთითებს იმ ადგილს, რომელიც კონკრეტდება გამონათქვამის ადგილმდებარეობიდან გამომდინარე – „სოციალური სივრცე“, რომელიც ინდექსთან შესაბამისად განისაზღვრება და გამონათქვამის გარკვეული გამოყენებით აირჩევა. აღვნიშნოთ აგრეთვე, რომ *here* გარკვეულწილად საკუთრებასაც ნიშნავს, მაგალითად, როდესაც ექიმი საკუთარ

მკერდზე გარკვეულ ადგილს მიუთითებს და ამბობს: “When a person is shot here, we can usually conclude that it was not suicide”.

დიდ უთანხმოებასა და აზრთა სხვადასხვაობას იწვევს საკითხი, თუ სად უნდა გაივლოს ხაზი სემანტიკასა და პრაგმატიკას შორის. რეკანატის შეხედულებით, არსებობს გარკვეული დონე, სადაც ისეთ ინდექსურ ნიშნებს, როგორცაა I, შესაძლოა ჰქონდეთ „ზუსტი“ განმარტება, მაშინ, როდესაც ისინი, აღწერილობითი ინტერპრეტაციის საშუალებით ზუსტად მიუთითებენ რაიმეს. ასე რომ, I უბრალოდ კი არ ირჩევს ინდექსს, ის აგრეთვე მიუთითებს მასზე კონტექსტისათვის საჭირო ყველა მინიშნების გამოყენებით.

ეს საკმაოდ რთული საკითხია. პირველყოფლისა ის წინადადებები, რომლებიც ინდექსური ნიშნების აღწერილობითი გამოყენებით ხასიათდებიან, შესაძლოა არაკოჰერენტულად მოგვეჩვენოს, თუ ინდექსური ნიშნები მხოლოდითი რიცხვის რეფერენტით განისაზღვრება. მაგალითად:

Condemned prisoner: I am traditionally allowed to order whatever I like for my last meal.

Tomorrow is always the biggest party night of the year.

ამ კონტექსტში, ზმნიზედები usually და always რაოდენობის განმსაზღვრელი ფუნქციით მოიაზრება, მაგრამ ასეთი გაგება არ იქნება შესაძლებელი, თუ წინადადებაში მოცემული ქვემდებარეების ინტერპრეტაცია კერძო პირებს და კონკრეტულ დროს იგულისხმებს. ასე რომ, ძნელი დასადგენია, როგორი „ზუსტი“ ინტერპრეტაცია შეიძლება გვექონდეს ამ შემთხვევებისათვის. ეს საკითხი უფრო ნათელად ჩანს იმ მაგალითებიდან, რომლებიც აღნიშნულ საგანსა და რეფერენტს შორის შესაბამისობას მოიცავს. მაგალითად, როცა წიგნზე მითითებისას ვამბობთ he ან those, ან კიდევ, ლეოპარდზე მივანიშნებთ და ვიყენებთ მდედრობითი სქესის ნაცვალსახელს და ა.შ. მდედრობითი სქესის ნაცვალსახელთან დაკავშირებით შეიძლება აღვნიშნოთ შემდეგი ფაქტი. როგორც ცნობილია, ადამიანი ყალიბდება, შეისწავლის რა საკუთარ ენას და ენასთან ერთად თავისი ერის კულტურას. ერის კულტურის ყველა ნიუანსი ირეკლება მის ენაში, რომელიც სპეციფიური და უნიკალურია, რადგან სხვადასხვაგვარად ასახავს სამყაროს და მასში მყოფ პიროვნებას. მაგალითად, შეუძლებელია ჩეხურ ენაზე გადაითარგმნოს ბ. პასტერნაკის წიგნი “Сестра моя жизнь”, იმდენად, რამდენადაც ჩეხურ ენაში სიტყვა “жизнь” მამრობითი სქესისაა.

და მაინც, უნდა მოხდეს სემანტიკური სხვაობის დადგენა აღწერასა და ინდექსურ ნიშნებს შორის, იმ ფუნქციიდან გამომდინარე, რომელსაც მათი მნიშვნელობა ასრულებს ინტერპრეტაციაში. ინდექსური ნიშნები აღნიშვნის, მითითების ფუნქციით ხასიათდება: მათი მნიშვნელობა გამონათქვამის კონტექსტში კი არ შედის, არამედ ირჩევს იმ ელემენტებს, რომლებიც ინტერპრეტაციაზე მითითების როლს ასრულებს.

ყველა გამოთქმას, რომელსაც მითითების ფუნქციით გამოვიყენებთ, ძლიერ მაჩვენებლად ვერ მივიჩნევთ. განვიხილოთ ნაცვალსახელების გამოყენების შემთხვევები, რომლებიც პიროვნებაზე მითითების თანმხლები ილუსტრაციით არ ხასიათდებიან: აქ პიროვნება უბრალოდ კონტექსტში იგულისხმება ან საუბრის მონაწილეთა ქვეცნობიერებაში არსებობს:

We are walking through the Taj Mahal: Gee, he certainly spared no expense.

To my wife, who has just returned from a trip to the zoo with our daughter: You look exhausted; what did she do?

ნაცვალსახელთა ასეთი გამოყენება, ცხადია, ინდექსურია – ნაცვალსახელის რეფერენტისათვის აქ არანაირი ლინგვისტური წყარო არ არსებობს – მაგრამ მათ დეიქსურად ვერ ჩავთვლით, ისინი უბრალოდ „კონკრეტულად“ შეიძლება მივიჩნიოთ.

საინტერესოა he და she ნაცვალსახელების არაჩვენებითი ფუნქციით გამოიყენება, თუმცა ყოველთვის ადვილი სათქმელი არაა, როდის ახდენს კონტექსტი იმპლიციტურ ჩვენებას (მითითებას). ერთმანეთს დაგუპირისპიროთ ორი სიტუაცია: პირველ სიტუაციაში (ჩვენ) ვართ წვეულებაზე და ვხედავთ კლოვისთან მეგობრულად მოსაუბრე რაღვს, საიდანაც აშკარად ჩანს, რომ მან არაფერი იცის კლოვისისა და მისი მეუღლის საიდუმლო ურთიერთობის შესახებ. რაღვზე ვუთითებთ და ვამბობთ:

It's like they say: he is always the last one to know.

რაც გულისხმობს შემდეგს: “The husband is always the last one to know”. აქ he გულისხმობს მეუღლეს საზოგადოდ. მაგრამ ეხლა წარმოვიდგინოთ, რომ გვიან ღამით, რაღვის სახლთან მანქანით ჩავლის დროს ვხედავთ კლოვისს, რომელიც მისი სახლიდან გამოდის. შეგვიძლია ვთქვათ შემდეგი წინადადება “he must be away”– რაღვზე მითითების თვალსაზრისით, მაგრამ არა “he is always the last one to know”.

ძლიერი მითითება წარმოშობს დეიქსს; ე.ი. კონტექსტში ვახდენთ რაიმეზე ექსპლიციტურ მითითებას. ისეთ სიტყვებთან, როგორცაა I და tomorrow, დეიქსის დეიქსური კომპონენტის საშუალებით იქმნება, ხოლო ნაცვალსახელებსა და ანალოგიურ გამოთქმებში დეიქსის მითითებით უნდა განხორციელდეს. დეიქსის არყოფნის შემთხვევაში, მინიშნებითი ინტერპრეტაცია შეუძლებელია.

ეს გულისხმობს, რომ ისეთ სიტყვებს, როგორცაა local, რომლებსაც არ გააჩნიათ დეიქსური კომპონენტი და არც მითითება ახლავთ, ძლიერ ინდექსურ სიტყვებად ვერ ჩავთვლით. დაუკავშიროთ ერთმანეთს შემდეგი ორი წინადადება:

The best mushrooms are found locally (nearby, etc.)

The best mushrooms are found around here (in this area).

თუ სიტყვას locally ინდექსური თვალსაზრისით განვიხილავთ, მაშინ გამონათქვამი გულისხმობს, რომ საუკეთესო სოკო მოიძებნება იმ ადგილის გარემომცველ რეგიონში, სადაც წინადადება წარმოითქვა. მეორე წინადადებაც ასევე შეიძლება გავიგოთ, მაგრამ შეიძლება სხვა მნიშვნელობაც მივანიჭოთ. წარმოვიდგინოთ, რომ მოსაუბრე დგას მდინარის ნაპირას, მაშინ ის შეიძლება შემდეგს გულისხმობდეს: The best mushrooms are found around the banks of the stream. წარმოთქმის ადგილი გვეხმარება გავიგოთ სიტყვების locally და nearby მნიშვნელობა, მაგრამ ძლიერი მითითების განხორციელების თვალსაზრისით მაინც ვერ გამოგვადგება.

გამონათქვამის კონტექსტს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ინტერპრეტაციისათვის. საინტერესოა შემდეგი ფაქტი პირველი პირის ნაცვალსახელთან დაკავშირებით. ნაცვალსახელი I, საკმაოდ შეზღუდული ჩანს მითითების თვალსაზრისით, რადგან, როდესაც ის ინდივიდს განსაზღვრავს, ეს ინდივიდი მხოლოდ და მხოლოდ მოსაუბრე შეიძლება იყოს, გარდა კერძო შემთხვევებისა (მაგალითად, როდესაც მსახიობი გულისხმობს იმ პერსონაჟს, რომელსაც ასრულებს). მაგრამ, შემდეგ წინადადებაში I ქვეცნობიერად მანქანას აღნიშნავს:

I am parked out back.

აღსანიშნავია, რომ ნაცვალსახელი შეიძლება სახელმა ან აღწერამ შეცვალოს:

Geoff (the guy who lives at 5537 21st street) is parked out back.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ მითითება ძლიერი არ იქნება, თუ სახელი ან აღწერა იქნება გამოყენებული ინდექსური ტერმინის ნაცვლად.

განვიხილოთ შემდეგი მაგალითი, როდესაც ავტორის სურათზე მითითებისას ვგულისხმობთ მის ბოლო წიგნს და ვიყენებთ ჩვენებით ნაცვალსახელს – that:

That is in all the bookstores (on the top shelf, temporarily out of stock).

ავტორს შეუძლია თქვას I am in all the bookstores, მაგრამ უცნაური იქნებოდა, თუ ის იტყოდა: I am on the top shelf, ან I am temporarily out of stock. That – ზემოთ აღნიშნულ წინადადებაში ავტორს გულისხმობს და არა წიგნს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კონტექსტს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება იმისათვის, რომ მოხდეს გამონათქვამის სწორი ინტერპრეტაცია. მას ლინგვისტური ხერხებით შექმნილ „კონტექსტს“ ვერ შევადარებთ. სწორედ გამონათქვამის ელემენტებს ითვისებს დეიქსისი და შემდეგ მათ ინტერპრეტაციის დროს მითითებისათვის იყენებს.

1.1. siaxlove, siSore da deiqsuri centri

დეიქსური გამონათქვამის სხვადასხვა ასპექტი სიახლოვისა და სიშორის ჯგუფებად იყოფა.

- I (პირის), here (სივრცის) და now (ტემპორალური) – სიახლოვე (proximity).
- You (პირის), there (სივრცის) და then (ტემპორალური) – სიშორე (distance/non-proximity)

იმისათვის, რომ მომხდარიყო I, now და here-ს შორის კავშირის დადგენა, წარმოიშვა ცნება დეიქსური ცენტრის შესახებ: საკოორდინატო სისტემა, რომელიც შედგება პირის, სივრცის და ტემპორალური განზომილებებისაგან, ძირითად მნიშვნელობას მოსაუბრე პირს ანიჭებს (129, 125, 1996).

საკოორდინატო სისტემა იცვლება კონვერსაციული სიტუაციის მიხედვით. თუკი პიროვნება, რომელსაც მე მივმართავ, ჩემთან ახლოს იმყოფება, მაშინ დროისა და სივრცის კოორდინატებს შესაძლოა ნაკლები მნიშვნელობა მივანიჭოთ. მაგრამ, მონოლოგში, როგორცაა მაგალითად წერილი, განსხვავებულ სიტუაციასთან გვაქვს საქმე, იმდენად, რამდენადაც ის დრო ან სივრცე, რომელსაც წერილში ჩემი გამონათქვამი გულისხმობს, შესაძლებელია სხვა აღმოჩნდეს მკითხველისათვის – იქედან გამომდინარე, რა დრო დაჭირდა

წერილის მიტანას. განვიხილოთ დროის კოორდინატის ცვლილებასთან დაკავშირებული მაგალითი:

I broke my leg yesterday.

აქ, yesterday, წერილის დაწერის წინა დღეს აღნიშნავს. დაუშვათ, რომ წერილი იგზავნება საზღვარგარეთ და ვიღაცას მისი წაკითხვის საშუალება მხოლოდ თოთხმეტი დღის შემდეგ მიეცა. ამ შემთხვევაში, დღე, როდესაც პიროვნებამ ფეხი მოიტეხა, თოთხმეტი დღის წინ იყო და ადვილი შესაძლებელია, რომ წერილის ადრესატამდე მისვლის დროს წერილის დამწერი უკვე მშვენივრად გრძნობდეს თავს.

განვიხილოთ ადგილის კოორდინატის შეცვლის მაგალითი:

I broke my leg here yesterday.

ვიყენებ რა ინდექსურ ნიშანს “here”, მე, როგორც ამ წინადადების დამწერი, იმ ახლომდებარე ადგილს მივუთითებ, რომელიც პირადად ჩემი ადგილმდებარეობიდანაა დასანახი, ხოლო მკითხველი, რომელიც ამ ინფორმაციას ღებულობს, საკუთარი ლოკაციის მიხედვით სრულიად სხვა ადგილს ხედავს. (29, 205-206, 2001).

დეიქსური ცენტრი გულისხმობს, რომ ცენტრალური პირი არის მოსაუბრე, ცენტრალურ ადგილს მოსაუბრის ადგილმდებარეობა წარმოადგენს კოდირების მომენტში, ხოლო ცენტრალური დრო არის ის დრო, რომელიც მოიცავს მოსაუბრეს გამონათქვამის წარმოთქმისას. დისკურსის ცენტრად ითვლება ის ადგილი, სადაც მოსაუბრე იმყოფება გამონათქვამის წარმოთქმის დროს, სოციალური ცენტრი კი მოსაუბრის სოციალურ სტატუსსა და წოდებას აღნიშნავს ადრესატებისა თუ რეფერენტების სტატუსისა და წოდების შესაბამისად. ეს ნიშნები ძირითადად დამახასიათებელია ინგლისური ენისათვის.

1.2. დეიქსისის, როგორც ენობრივ-კულტურული ფენომენის ლოკალური და სპაციალური განზომილებები და მათი ვერბალიზაცია ენობრივ სისტემაში.

ენობრივი პიროვნება, წარმართავს რა კომუნიკაციას, ამავე დროს წარმოადგენს ამა თუ იმ კულტურას. ის ამ კულტურიდან, ენიდან გამომდინარე, იყენებს დეიქსური მნიშვნელობის მქონე სიტყვებს მეტყველებაში, რომელთა ძირითადი აზრი ჩვენებაში მდგომარეობს.

სივრცის დეიქსისი აღნიშნავს სივრცობრივ განლაგებას კომუნიკაციურ აქტში მონაწილეთა ადგილმდებარეობის შესაბამისად. ის რაღაცას განუმარტავს მსმენელს; საგანს მოსაუბრესთან უშუალო სივრცობრივ კავშირში ათავსებს (86, 62, 1983).

მსმენელისათვის საგნის განმარტების რამდენიმე გზა არსებობს:

- დასახელება (fire brigade)
- აღწერა (skilled men fighting fire in case of emergency)
- განლაგება (ადგილმდებარეობის განსაზღვრა) (look, there is the fire brigade)

ადგილმდებარეობის განსაზღვრა შესაძლოა შემდეგნაირად მოხდეს:

- მითითებით (Those people are firemen) ან

- ჩვენებით (Here they are, the firemen)

დეიქსური გამონათქვამები, როგორცაა here, there, this, that (რომლებიც დეიქსურ ცენტრს აღნიშნავენ), საგანს მოსაუბრესთან უშუალო სივრცობრივ კავშირში ათავსებენ. მაგალითად:

Hamburg is 500 miles north of here

ორთავე წყვილი, here/there ისე, როგორც this/that შეიძლება გამოვიყენოთ, როგორც უესტური, ისე სიმბოლური ხმარების შემთხვევაში. უესტურ ხმარებას შესაძლოა ადგილი ჰქონდეს მაშინ, როდესაც რაიმეზე ვსაუბრობთ მოსაუბრისა და მსმენელის ახლო თანდასწრებით. თავის ან თითის მოძრაობის დახმარებით ძალიან ადვილად მოვახერხებთ აზრის გამოსატყვას. სიმბოლური ხმარებისას იმ ადგილებს მიუთითებთ, რომლებსაც ჩვენი თვალთახედვის არე არ წვდება, როგორც ზემოთ აღნიშნულ მაგალითში არის ჰამბურგი, რომელიც წარმოთქმის ადგილიდან 500 მილითაა დაშორებული.

Here მოსაუბრესთან/მწერალთან სიახლოვეს გულისხმობს. ის შესაძლოა მსმენელის/მკითხველის ადგილმდებარეობას მოიცავდეს (inclusive) ან კიდევ გამორიცხავდეს მას წერასა და კითხვას შორის სივრცობრივი თუ ტემპორალური სიშორის გამო (exclusive). ექსკლუზიური here უბრალოდ გამოხატავს მწერლის სიახლოვეს წერის დროს. განვიხილოთ შემდეგი მაგალითები:

- 1) “inclusive here” – It is a bit stuffy in here.

აქ მოსაუბრე და მსმენელი ერთსა და იმავე ოთახში იმყოფებიან, იმ ოთახში, რომელზეც მოსაუბრე მიუთითებს.

- 2) “exclusive here”– when I was little, I used to play here in that side of the town.

ამ მაგალითში, პიროვნება, რომელიც წერილს კითხულობს გამოეყოფა იმ გარემოს, რომელიც მოსაუბრე/მწერალი გულისხმობს.

There ჩვეულებრივ აღწერს სივრცობრივ მანძილს მოსაუბრისაკენ. ასევე მსმენელთან/მკითხველთან სიახლოვეს გამოხატავს.

This და that ასევე გვაწვდიან ინფორმაციას მოსაუბრის ან მსმენელის სიახლოვისა თუ სიშორის შესახებ.

- This house – ჩვეულებრივ იმ სახლს გულისხმობს, რომელიც ახლოსაა მსმენელთან.

- That house კი იმ სახლს გულისხმობს, რომელიც მსმენელთან არც ისე ახლოსაა.

უმეტეს შემთხვევაში, როდესაც this და that უკსტითაა გამოყენებული, მხედველობაში სივრცობრივი განზომილებები გვაქვს. მაგრამ, თუ მათი გამოყენება სიმბოლურია, ისინი ტემპორალურ განზომილებებსაც მიუთითებენ, როგორცაა: this year ან at that moment, in time.

ადვილი შესაძლებელია, this გამოვიყენოთ განუსაზღვრელი ნაცვალსახელი a/an-ის შესაცვლელად, მაშინ როდესაც ვცდილობთ დავასახელოთ ისეთი ვინმე ან რამე, რომელიც ადრე არ ყოფილა ნახსენები ან მაშინ, როდესაც სიახლოვე ან სიშორე მოსაუბრისათვის უცნობია, როგორც შემდეგ მაგალითებში გვაქვს ნახვენები:

Once there was this man and he lived to sing the Lion's song (N. Geraldo/M. Grombacher, 1988).

მაგალითისათვის ასევე გამოგვადგება ხუმრობებისათვის დამახასიათებელი ტიპური დასაწყისი: There was this guy...

არ არის გამორიცხული This (ან there) სივრცობრივ სიახლოვეს აღნიშნავდეს – აგრეთვე შესაძლებელია ის ემოციურ სიახლოვესაც გამოხატავდეს, თუკი პიროვნებას სურს გადმოსცეს თანაგრძნობა იმ სიტუაციისადმი, რომელშიც მონაწილეობდა. სწორედ აქედან აიხსნება ის გარემოება, რომ this აგრეთვე ემფატიკურ დეიქსისად იწოდება (empathetic deixis). (Yule 1996).

ემფატიკური დეიქსისი საშუალებას აძლევს მოსაუბრეს/მწერალს დეიქსური ცენტრი მსმენელზე/მკითხველზე გადაიტანოს საკუთარი თავის მსმენელის/მკითხველის პოზიციაში წარმოდგენით. მაგალითად:

“I was looking at the puppy in a cage with such a sad look on its face. It was like “oh, I'm so unhappy here, will you set me free?”

ამ შემთხვევაში here მოსაუბრის რეალურ ადგილმდებარეობას კი არ აღნიშნავს, არამედ გალიაში მყოფი ლეკვისას, რომლის ადგილზეც წარმოიდგინა თავი მოსაუბრემ გამონათქვამის დროს (129, 13, 1996).

საინტერესო ფაქტს წარმოადგენს ის, რომ სხვადასხვა ენებში შესაძლებელია განსხვავებული იყოს მეტყველების დამაკონკრეტებელი ფორმები. უმეტეს ენაში არსებობს საგანთან, მოქმედებათა და ურთიერთობათა სივრცითი

ლოკალიზაციის დიფერენცირებული სისტემა. მაგალითად, პოლონურ ენაში და აგრეთვე ჩრდილოკავკასიის ენებში არსებობს ლოკალური მნიშვნელობების დეტალური სისტემა, რომლებიც ზუსტად გადმოსცემენ საგანთა ადგილმდებარეობას და მათ მიმართებას ერთმანეთთან. გერმანულ ენაში შესაძლებელია მოქმედების ზუსტად ლოკალიზება: მაგალითად, “ქვემოდან ზემოთ ახედვა” შესაძლებელია ერთი ზმნით – *hinaufgucken* (Леонтьев, А.)

ჩვეულებრივ, მოსაუბრისათვის ობიექტი, რომელიც ფიზიკურად შორს მდებარეობს, ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაც დაშორებულია. მაგალითად: *that man over there*. მაგრამ ზოგჯერ, მოსაუბრე ფიზიკურად ახლოს მყოფ ობიექტს ფსიქოლოგიურად შორეულად მიიჩნევს, მაგალითად: *I don't like that*.

§2. სივრცე და დეიქსისი.

ლოკალური სემანტიკის მქონე დეიქსიკური ერთეულები.

როგორ ავხსნათ, სად მდებარეობს საგანი? როგორ აღვწერთ კერძო საგნების სივრცით ნიშნებს? მათ განზომილებებს სივრცეში და მათ ფორმას? ეს ის საკითხებია, რომელთა განხილვასაც ჩვენ შევეცდებით.

ერთი მხრივ, ადამიანი – საშუალო სიმაღლის ფიზიკური ობიექტია. მაგრამ პიროვნების სამყაროში – იმ სამყაროში, რომელსაც ის აღიქვამს და აღწერს ენის საშუალებით – ის, პირდაპირი გაგებით, ყველაფრის საზომად შეიძლება ჩაითვალოს. ანთროპოცენტრიზმი მისი ენის სტრუქტურის ძირითად შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს.

ჩვეულებრივ, ჩვენ ვცხოვრობთ და ვმოძრაობთ დედამიწის ზედაპირზე ვერტიკალური მიმართულებით. ეს საშუალებას გვაძლევს გამოვარჩიოთ ერთი განზომილება სამგანზომილებიანი სივრციდან. უფრო მეტიც, ვერტიკალურ განზომილებაში მიმართულება – ე. ი. სხვაობა ზემოთ და ქვემოთ მიმართულებებს შორის – დგინდება სიმძიმის ძალის საშუალებით, იმ ფაქტით, რომ ცა ჩვეულებრივ ჩვენს ზემოთ მდებარეობს და მიწა კი ჩვენს ქვემოთ, აგრეთვე ადამიანის სხეულის ვერტიკალურ განზომილებაში ასიმეტრიული მდებარეობით. ამ და სხვა ფაქტორებიდან გამომდინარე, ვერტიკალურობა

ყველაზე მნიშვნელოვანია სივრცით განზომილებებს შორის ფიზიკური და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით (Bierwisch 1967).

არსებობს ორი ჰორიზონტალური განზომილება, რომელთაგან არც ერთი არ არის მყარი ვერტიკალურ განზომილებასთან შედარებით. უფრო მეტიც, ადამიანი მოძრავია და მას თავისუფლად შეუძლია იმოძრაოს ჰორიზონტალური მიმართულებით. მაგრამ ის ასიმეტრულია ჰორიზონტალური განზომილების ერთ სფეროში, ხოლო მეორეში კი სიმეტრიული, ე. ი. მას გააჩნია წინა და უკანა ნაწილი და ორი სიმეტრიული მხარე. მას აგრეთვე აქვს აღქმის ორგანოები, რომლებიც მის წინ მდებარე ადგილისკენაა მიმართული, ის ჩვეულებრივ იმოძრაობს იმ მიმართულებით, რომლის წინაშეც სახით დგას. ასიმეტრიული წინა-უკანა განზომილებები არ არის ისე მნიშვნელოვანი, როგორც ვერტიკალური განზომილება, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სიმეტრიული მარჯვენა-მარცხენა განზომილება. ლინგვისტური თვალსაზრისით, წინა-უკანა განზომილება მეორესხარისხოვან განზომილებად ითვლება. რაც შეეხება მესამე განზომილებას, კონკრეტული მიმართულება ამ მხრივ არ მოგვეპოვება. მარჯვენასა და მარცხენას შორის გარჩევა დამოკიდებულია წინა-უკანა განზომილებების უკვე დადგენილ მიმართულებებზე. (39, 98, 1973).

ზემო-ქვემო და წინა-უკანა განზომილებები არა მხოლოდ მიმართულებით, არამედ პოლარულობითაც ხასიათდება. რაც მიწის ზემოთაა და ჩვენს წინ მდებარეობს, შესაბამისად დასანახი და ხელსაყრელია ურთიერთმოქმედებისათვის. ზემოთ და წინ მიმართულება დადებითადაა მიჩნეული, ხოლო ქვემოთ და უკან მიმართულება კი უარყოფითადაა აღიარებული ხილვადობისა და დაპირისპირების ცნებებზე დამყარებული ეგოცენტრულ სივრცეში. რაც შეეხება მარჯვენა-მარცხენა განზომილებებს, აქ დადებითი და უარყოფითი პოლარულობის დასადგენად მსგავსი მოსაზრება არ მოგვეპოვება. თუ ყურადღებას გადავიტანთ იმ საკითხებზე, რომლებიც ადგილმდებარეობასა და საგნების სივრცით განზომილებას ეხება, დავინახავთ, რომ ყველა საკითხი, რომელიც განვიხილეთ, მნიშვნელოვანია (39, 102, 1973).

თუ ჩვენ გვსურს ავუხსნათ ვინმეს საგნის ადგილმდებარეობა, უნდა დავადგინოთ მიმართულების მაჩვენებელი ისეთი ხერხები, რომლებიც გვიჩვენებენ სივრცეში ერთი ადგილიდან მეორისაკენ მიმართებას. უფრო მეტიც, მოსახერხებელია, თუ აუცილებელი არა, საზომი ერთეულების შემოღება. აქ შეიძლება ორ მნიშვნელოვან საკითხზე გავამახვილოთ ყურადღება. პირველი

საკითხი იმაში მდგომარეობს, რომ x და y -ის შორის არსებული მანძილი შეიძლება ორნაირად განვსაზღვროთ: 1) იმ დროის საშუალებით, რომელიც x -დან y -ისკენ მსვლელობის დროს განსაზღვრული ან დადგენილი სიჩქარიდან გამომდინარეობს; და 2) რაიმე საზომის საშუალებით. პირველი მეთოდის გამოყენებით, შეიძლება ითქვას – x ერთი საათის მანძილითაა დაშორებული y -საგან, რომლის კონტექსტიც შეიძლება ფეხით, ცხენით, მანქანით და ა.შ. მგზავრობას გულისხმობდეს, ხოლო მეორე მეთოდის გამოყენებისას კი – x რამოდენიმე იჩით, ფუტით, იარდით თუ მილითაა დაშორებული y -საგან.

რაც შეეხება მეორე საკითხს, უნდა აღინიშნოს, რომ მანძილი $-x$ -დან y -მდე შეიძლება ზუსტად არ დაემთხვას y -დან x -მდე მანძილს. ეს ცხადია ასე იქნება, თუ მანძილი პირველი მეთოდის საშუალებითაა დადგენილი, მაგრამ მეორე მეთოდის გამოყენების შემთხვევაშიც შეიძლება იგივე მოხდეს; მუდამ გვექნება საქმე ვარაუდთან. ყოველ შემთხვევაში, ჩვეულებრივი გზა x -დან y -მდე შეიძლება უფრო მოკლე ან გრძელი დარჩეს, ვიდრე იგივე გზა y -დან x -მდე. ეს მნიშვნელოვანი საკითხია. ამიტომ უკეთესია შემდეგი კითხვა დაესვათ “How far is it from x to y ?” ვიდრე “what is the distance between x and y ?” (84, 99, 1996).

უნდა აღინიშნოს, რომ ადგილი არ არის საგანი და მათ შორის სხვაობას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. რადგანაც ადგილი არ არის საგანი, რაიმე მთლიანობა, ე. ი. არც საგანი მიიჩნევა ადგილად. მაგრამ, იმდენად რამდენადაც ისინი ადგილს იკავებენ, ხელს გვიწყობენ იმ ადგილის დადგენაში, რომელიც უკავიათ. მაგალითად:

I'll meet you at the car.

“the car” ადგილის არაპირდაპირ მსაზღვრელად შეიძლება მივიჩნიოთ, ე. ი. ის ადგილი, სივრცე, რომელსაც მანქანა იკავებს. მაშასადამე, მივდივართ დასკვნამდე, რომ ზემოთ მოყვანილი მაგალითი შემდეგს გულისხმობს: „მე შეგხვდები იქ, სადაც მანქანაა გაჩერებული“. იგივე შეიძლება ითქვას შემდეგ მაგალითზეც: John is with Peter – ე. ი. ჯონი არის იქ, სადაც პიტერი იმყოფება (84, 125, 1996).

ამ ანალიზით შორს ვერ წავალთ. აღსანიშნავია მხოლოდ, რომ ეს წინადადებები სემანტიკურად შესაბამისი იქნებოდა ისეთ შეკითხვებზე პასუხის გასაცემად, როგორიცაა – where will you meet me? და where is John? ის, რაზეც უნდა გავამახვილოთ ყურადღება, არის მათი ადგილებთან დაკავშირების ფაქტი.

ისეთი ტერმინების, როგორცაა north, south, east და west გამოიყენება წარმოადგენს საგანთა ზუსტი ადგილმდებარეობის განსაზღვრის ერთ-ერთ მეთოდს. ასევე შესაძლებელია საგანთა განლაგება მოვახდინოთ მზის ამოსვლისა და ჩასვლის მიხედვით, ვარსკვლავების, წელიწადის რომელიმე დროს ქარის სიმძლავრის ან ხმელეთის ცნობილი ორიენტირის მიხედვით (ზღვა, მდინარე, მთის ზღვარი და ა.შ.). საინტერესო იქნებოდა აგვეღნიშნა, რომ ძველ ირლანდიურში სიტყვები – front, back, right, left გამოიყენება შემდეგი სიტყვების – east, west, south და north-ის თარგმნისას (Thurneyson 1946:305).

ბევრ ენაში, ასეთი სახის ორიენტაციული სხვაობები არა მარტო ლექსიკალიზებული, არამედ გრამატიკალიზირებულია, მაგრამ აქ ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ საგანთა ადგილმდებარეობის ან მათი მოძრაობის მიმართულების დადგენის უფრო ჩვეულებრივ გზაზე საპირისპირო მნიშვნელობის მქონე სიტყვების საშუალებით: up/down, front/back, right/left. ინგლისურისა და სხვა ენებისათვის, ასეთი სახის განმასხვავებელი ნიშნები, დეიქსურ ნიშნებთან here/there ერთად, უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ის სხვაობები, რომლებიც მიუთითებენ ხმელეთის კონკრეტულ ორიენტირს ან რაიმე ბუნებრივ ფენომენს. (84, 118, 1995).

მაგალითად, ინგლისურში შეუძლებელია ისეთი წინდებულების მნიშვნელობის დადგენა, როგორცაა above, below, behind, beside, in front of და at the side of – შემდეგი ოპოზიციის გათვალისწინების გარეშე: up/down, front/back (Bennett 1975).

ის პრინციპები, რომლებიც შემდეგი სიტყვების top, bottom, front, back და side გამოყენებას განსაზღვრავენ, საკმაოდ რთულია ინგლისურში, მაგალითად:

There are some nails in the top of the cupboard.

“top of the cupboard” – სამი შესაძლო ინტერპრეტაცია შეიძლება მოექცნოს, თუმცა რომელი ინტერპრეტაცია იქნება შესაფერისი, ეს ჩვეულებრივ გაირკვევა იმ წინდებულებიდან გამომდინარე, რომელთანაც ის იქნება გამოყენებული (მაგალითად: on/in), ან კიდევ, კონტექსტის დამატებითი ინფორმაციის საშუალებით. (Leech 1969; Teller 1969).

განვიხილოთ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი: როდესაც ორი ადამიანი საუბარშია ჩაბმული, ისინი ჩვეულებრივ ერთმანეთის პირისპირ დგანან. აქედან გამომდინარე, ყველაფერი, რაც x-სა და y-ის შორისაა მათი

ერთმანეთთან პირისპირ დგომის დროს, ორივე მათგანის წინ იქნება მოთავსებული; მაგრამ ის, რაც x-ის მარჯვნივ მდებარეობს, y-ის მარცხნივ აღმოჩნდება და რაც x-ის უკანაა, y-ის წინ იქნება მოთავსებული, მაგალითად:

The church is behind the town-hall – ეს წინადადება შესაძლოა შემდეგნაირად აიხსნას: ერთი ინტერპრეტაციით მოსაუბრე ეკლესიას მუნიციპალიტეტის უკანა ნაწილთან ახლომდებარე ადგილზე ათავსებს, ხოლო მეორე ინტერპრეტაციის მიხედვით ის უგულებელყოფს კანონიკურ ორიენტაციას და მუნიციპალიტეტს ისევე უდგება, როგორადაც ის მიუდგებოდა ხეს ან რაიმე სხვა საგანს, რაც თვით მოსაუბრესა და ეკლესიას შორის მდებარეობს (Leech 1969:168). რა თქმა უნდა, ეს ორი ინტერპრეტაცია ერთმანეთს დაემთხვევა, თუ მუნიციპალიტეტის რეალური ორიენტაცია მოსაუბრის გათვალისწინებით, კანონიკურ ორიენტაციას დაემთხვევა.

კიდევ ერთი საკითხი უნდა განვიხილოთ საგანთა და სივრცის ორიენტაციასა და განზომილებასთან დაკავშირებით. აქ ორ საკითხზე გავამახვილოთ ყურადღება. პირველი იმაში მდგომარეობს, რომ არსებობს ინტუიციური კავშირი here/not-here გამოთქმების დეიქსურ სხვაობათა და აგრეთვე inside და outside გამოთქმების არადეიქსურ სხვაობათა შორის, მაგალითად: x is here, შესაძლოა განიმარტოს, როგორც – x is within the space which contains self. ცხადია, ცნება რაიმეს მოთავსების შესახებ, აქ მეტად მნიშვნელოვანია და ის შემდეგი წინდებულების, როგორცაა above, below და ა. შ. ანალიზისას შეიძლება გამოვიყენოთ. მაგალითად, x is above y, შესაძლებელია გავიგოთ, როგორც – x is outside the space containing y and upwords of it. აღსანიშნავია, რომ ამ ანალიზით აიხსნება ლოკატიური ზმნიხედების above, below და ა. შ. დეიქსური ინტერპრეტაცია. მაგალითად: x is above, როდესაც ის დეიქსურად არის გამოყენებული, შემდეგს გულისხმობს: x is outside and upwords of here (ან შესაბამისად, შემდეგნაირად აიხსნება – x is outside and upwords of the space containing SELF).

მეორე საკითხი, რომელზეც ყურადღება უნდა გავამახვილოთ, იმაში მდგომარეობს, რომ თითქმის ყველა ლოკატიური გამოთქმა, რომელიც მოიცავს განზომილებასა და ორიენტულობას, იმპლიციტურად თუ არაპირდაპირად მიმართულების მქონედ აღიქმება, ე. ი. აღიქმება, როგორც დინამიკური და არა სტატიკური. განვიხილოთ შემდეგი მაგალითი: Gwyneth walked through the kitchen.

ბევრი მოსაზრება გამოითქვა მსგავს წინადადებებთან დაკავშირებით. იმისათვის, რომ მოხდეს მიმართულების მქონე მსგავსი წინადადების ინტერპრეტაცია, ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გამოთქმებს, რომლებიც ბილიკზე (თუ გზაზე) მისათითებლად გამოიყენება (Bennett 1975:18).

ეს საკითხი ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ დინამიკური კონსტრუქცია – How far is it from x to y? შეიძლება უფრო მნიშვნელოვნად ჩავთვალოთ, ვიდრე სტატიკური კონსტრუქცია – What is the distance between x and y? დისტანცია ყოველთვის მითითების პუნქტიდან იზომება. თუ ვამბობთ, რომ x სამი მილით არის დაშორებული y-საგან, ვგულისხმობთ, რომ პიროვნებამ სამი მილი უნდა გაიაროს მითითების პუნქტიდან, ამ შემთხვევაში იგულისხმება y-ის ადგილმდებარეობა, იმისათვის, რომ იმ ადგილს მიაღწიოს, სადაც X იმყოფება. თუკი არ მოგვეპოვება მითითების ადგილი, არც ექსპლიციტურად და არც იმპლიციტურად, როგორც ეს შემდეგ გამონათქვამში გვაქვს – The church is three miles away – მაშინ, ჩვეულებრივ, მოსაუბრის ადგილმდებარეობა უნდა ჩაითვალოს რეალური თუ შესაძლებელი მგზავრობის დაწყების წერტილად. ორიენტაციის მქონე ლოკატიური გამოთქმები, up/down, front/back ისეთი გამოთქმების მსგავსია, როგორიცაა – three miles away, რადგან მათ შემცველ გამონათქვამებში ექსპლიციტურად თუ იმპლიციტურად, მაინც მოიპოვება მითითების პუნქტი (ადგილი).

ინგლისურ ენაში საგნებისა და ადგილების ფორმას, განზომილებასა და ორიენტაციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ისეთი პოზიციური და რაოდენობრივი ზედსართავი სახელების ანალიზისას, როგორიცაა long, short, far, near, high, low, deep, shallow, wide, narrow, thick, thin. პოზიციური ზედსართავები, სემანტიკური თვალსაზრისით მაინც შეიძლება მივიჩნიოთ პრედიკატულ ლოკატიური სტრუქტურებიდან ნაწარმოებ ზედსართავ სახელებად. მაგალითად, a distant building, გულისხმობს იმ შენობას, რომელიც გარკვეულწილად დაშორებულია მითითების წერტილიდან; a long building, მეორეს მხრივ, ის შენობაა, რომელიც გარკვეულ სივრცობრივ განზომილებაშია გადაჭიმული და მისი სიგრძე შეიძლება ჩაითვალოს ერთ-ერთ თვისებად, რომელიც სივრცეში მის ადგილმდებარეობაზე არაა დამოკიდებული.

ტერმინი „ადგილობრივი გამოთქმა“ (localism) აქ იმ ვარაუდს გამოხატავს, რომ სივრცითი გამოთქმები გრამატიკულად და სემანტიკურად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვადასხვა სახის არასივრცითი გამოთქმები (Anderson 1979, 1973a).

სივრცით გამოთქმებს დიდი ლინგვისტური მნიშვნელობა აქვთ; ფსიქოლოგებიც ამ აზრს უჭერენ მხარს, რადგან მიაჩნიათ, რომ სივრცით ორგანიზაციას ცენტრალური მნიშვნელობა აქვს ადამიანთა ცნობიერებასა და აღქმაში (91, 375, 1976).

ადგილობრივი გამოთქმების ძლიერი და სუსტი ვარიანტების გარჩევა შესაძლებელია იმ გრამატიკული კატეგორიებისა და კონსტრუქციების მიხედვით, რომლებიც ამ სფეროში შედიან. აღნიშნავენ, რომ ბევრ ენაში ხდება ტემპორალური გამოთქმების ლოკატიური გამოთქმებიდან წარმოება. მაგალითად, თითქმის ყველა წინდებული თუ ნაწილაკი, რომელიც ლოკატიურია ინგლისურში, აგრეთვე ტემპორალურიც არის (Traugott 1975). წინდებულები for, since და till, რომლებიც თანამედროვე ინგლისურში უფრო ტემპორალურად ითვლებიან, ვიდრე ლოკატიურად, ისტორიულად ლოკატივებისაგან მომდინარეობენ და იმ წინდებულებმა, რომლებიც გამოიყენებიან, როგორც სივრცითი, ასევე ტემპორალური თვალსაზრისით, მოგვიანებით, ყველა შემთხვევისათვის ტემპორალური მნიშვნელობა გამოამჟღავნეს. (Traugott 1975).

ის, რაც დამახასიათებელია და რაც შეიძლება ითქვას წინდებულებისა და ნაწილაკების შესახებ, ასევე ახასიათებს ძალიან ბევრ ზმნას, ზმნიზედას, ზედსართავსა და კავშირს, არა მხოლოდ ინგლისურში, არამედ სხვა ენებშიც.

რაც შეეხება ადგილობრივ გამოთქმებს, გასათვალისწინებელია დროისა და ასპექტის გრამატიკული კატეგორიები. როგორც ვიცით, დრო დეიქსურ კატეგორიას წარმოადგენს; და აშკარა პარალელიც არსებობს სივრცით და ტემპორალურ დეიქსის შორის. იმდენად, რამდენადაც here და there შეიძლება შემდეგნაირად განვმარტოთ – at this place და at that place, ასევე შესაძლებელია now და then განისაზღვროს, როგორც at this time და at that time. გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ სხვადასხვა ენების დროის სისტემებში უნდა მოხდეს ლოკატიური, უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, დეიქსური ფორმებისა და გამოთქმების გამოყენება იმისათვის, რომ ერთმანეთისაგან განვასხვაოთ წარსული და არა-წარსული. მოგვიანებით ვნახავთ, რომ ის, რაც წარსულ

დროდაა მიჩნეული, სულ ცოტა, ზოგიერთ ენაში მაინც განიხილება, როგორც მოდალური სიშორის ცნება.

ასპექტური სხვაობებიც დროსთან და სივრცესთან მიმართებაში, უფრო სივრცით სხვაობებს უკავშირდება. მოვლენა ხდება დროის განსაზღვრულ მომენტში მაშინ, როდესაც მდგომარეობა და პროცესი გრძელდება დროის განსაზღვრული პერიოდის მანძილზე. თუკი რაიმე მომენტი (წერტილი) შეიძლება მოთავსდეს ხაზზე, ასევე მოვლენაც შეიძლება განთავსდეს მდგომარეობის ან პროცესის ხანგრძლივობაში, მაგალითად:

Our first child was born (at a time) when we were very hard up; He was run over (at a time) when he was crossing the road.

ბევრ ენაში პროგრესულობისა და სტატიკურობის ასპექტური ცნებები გამოხატულია ისეთი კონსტრუქციებით, რომლებიც წარმოშობით ლოკატიურია (Anderson 1973b; Comrie 1976).

რა თქმა უნდა, პროგრესული დრო ინგლისურ ენაში, დიაქრონულად (ისტორიულად) ლოკატიური კონსტრუქციიდან მომდინარეობს. მაგალითად: I've been a-courting Mary Jane, სადაც დიალექტური, ახლა უფრო არქაული ფორმა a-courting, შესაძლოა აიხსნას, როგორც შემდეგიდან ნაწარმოები: at (on, in) courting.

ზოგიერთი ენათმეცნიერი ტემპორალურ განლაგებას სივრცით განლაგებასთან შედარებით ნაკლებად კონკრეტულად მიიჩნევს, მაგრამ მას სხვადასხვა სახის ეგრეთწოდებულ აბსტრაქტულ განლაგებაზე წინ აყენებს (Anderson 1971; Pottier 1974). მაგალითად, თუ ამ შემთხვევას განვიხილავთ, მაშინ შემდეგი გამონათქვამი, in despair, ნაკლებად კონკრეტულად შეიძლება ჩავთვალოთ, ვიდრე გამონათქვამი – in London.

საგულისხმოა, რომ ორი საკითხი, რომელიც ყველაზე ხშირად განიხილება აბსტრაქტულ ლოკაციასთან დაკავშირებით, კუთვნილებისა და არსებობის სფეროს მიეკუთვნება (possession and existence). ეს იმიტომ ხდება, რომ არსებობს არამონათესავე ენები, რომლებშიც აშკარად ლოკატიური კონსტრუქციები გამოიყენება და რომელთა თარგმანი ინგლისურად შემდეგია: John has a book (ან the book is John's) და there are unicorns, ან unicorns exist (Allen 1964; Asher 1968; Boadi 1971; Christie 1970; Li 1972; Lyons 1967, 1975). ყოველდღიური ხმარებისას, ტერმინი "possession" ასე თუ ისე, ეკვივალენტურია ტერმინის "ownership" (თუმცა, იურისტებმა შესაძლებელია მკვეთრი სხვაობა გაავლონ ამ

ორ ტერმინს შორის); ის, რასაც X ფლობს, შესაძლებელია მივიჩნიოთ მის საკუთრებად. ტრადიციულ გრამატიკაში “possession” და “possessive” უფრო ფართო ახსნა-განმარტებას პოულობს. რა თქმა უნდა, კამათიც კი შეიძლება გამოიწვიოს იმ ფაქტმა, რომ მათ შეცდომაშიც კი შეგვაგვართ, რადგან ძალიან მცირე კონსტრუქცია არსებობს, რომელთაც რაიმე საერთო აქვთ ფლობასა და საკუთრებასთან და რომელთაც ტრადიციულად კუთვნილებითი კონსტრუქცია ეწოდება. მიუხედავად ამისა, უდავოა, რომ ე.წ. კუთვნილებითი კონსტრუქციების ლოკალისტური ინტერპრეტაცია როგორც სემანტიკური, ისე სინტაქტიკური თვალსაზრისით შესაძლებელია. შეკითხვას – where is the book?, შესაძლებელია შემდგენაირად ვუპასუხოთ: it’s on the table ან John has it, სადაც ზმნა “have” ლოკატიური მაერთის ტრანსფორმაციულ ვარიანტად უნდა მივიჩნიოთ. რამდენად არატრადიციულად არ უნდა ჩანდეს, მაინც არაფერია პარადოქსული იმაში, რომ მოხდეს ძირითადი ლოკატიური სუბიექტების შეპირობება.

მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ ეგზისტენციალური კონსტრუქციები (existential constructions) უფრო ლოკატიური წარმოშობისაა, ვიდრე კუთვნილებითი კონსტრუქციები (possessive constructions). ასევე საკამათოა ის მოსაზრება, რომ არსებობა სხვა არაფერია, თუ არა ადგილმდებარეობის (ლოკაციის) შეზღუდული სახე აბსტრაქტულ, დეიქსურად ნეიტრალურ სივრცეში (Lyons 1975), და რომ ის არის დეიქსურად ნეიტრალური სახე ზმნიზედისა there, რაც განსაზღვრულ არტიკლში ზედსართაულ ფუნქციას იძენს. მიუხედავად იმისა, ამ შეხედულებას მნიშვნელობას მივანიჭებთ თუ არა, ეგზისტენციალური კონსტრუქციების ლოკატიური ფუძე უმრავლეს ენებში ეჭვს არ იწვევს და საკმაოდ ფართოდაცაა აღიარებული.

**თავი III. დეიქსისი, როგორც ენობრივ-კულტურული ფენომენი
და მისი ადგილი მხატვრულ ნარატივში**

**§1. ადგილის დეიქსისი, როგორც ენობრივ-კულტურული
ფენომენი მხატვრულ ნარატივში**

ენის ლინგვოკულტუროლოგიური მხრით შესწავლაზე საუბრისას, ლინგვისტები ჩვეულებრივ მხედველობაში დებულობენ ენობრივი მოვლენების ანალიზს, რომლებიც მიზნად ისახავს ეროვნულ-კულტურული სპეციფიკის დადგენას. (8, 64, 2004).

სხვადასხვა კულტურებში არსებობს მსგავსი და განსხვავებული ნიშნები. სხვაობა კულტურებს შორის შემთხვევითი არ არის, ის დაფუძნებულია მთელ რიგ მიზეზებზე, რომლებიც შესაძლებელია სამ ჯგუფში მოთავსდეს: ისტორიული, გეოგრაფიული და ფსიქოლოგიური.

ენა არა მხოლოდ გამოხატავს რეალობას, არამედ განმარტავს კიდევ მას, ქმნის რა იმ განსაკუთრებულ რეალობას, რომელშიც ცხოვრობს ადამიანი. (12, 55, 2004)

ინფორმაციის უმეტესობას პიროვნება სიტყვის საშუალებით გეზულობს. ინგლისურ ენაში დეიქსური კატეგორიის ზმნათა ჯგუფში, ჩვეულებრივ, ზმნების საკმაოდ მცირე ჯგუფი შედის, კერძოდ come, go, take და bring. არაფერია ნათქვამი სხვა ზმნების შესახებ, რომლებიც ზოგჯერ მაინც გამოიყენებიან დეიქსური თვალსაზრისით. აღსანიშნავია, რომ ზმნები depart და leave შეიძლება დეიქსურად გამოვიყენოთ.

მოსაზრება დეიქსისის შესახებ ძირითადად ბიულერის ნაშრომიდან გამომდინარეობს, რომელმაც აღნიშნა, რომ ის. რასაც here და there გულისხმობს, იცვლება მოსაუბრის პოზიციის შესაბამისად ისევე, როგორც I და thou შეიძლება შეიცვალოს იმის მიხედვით, ვინ გვაწვდის ან ღებულობს ინფორმაციას (31, 94, 1934/1963). ეს მოსაზრება გამოკვლეული და გადრმაგებული იქნა ისეთი მეცნიერების მიერ, როგორებიცაა: Brown 1995, 1998, Fillmore 1977, 1981, 1982, 1998, Levinson 1983, 1992, 1996 და Lyons 1977, 1995.

დეიქსისი (რომელსაც ფილოსოფოსები ინდექსურ ნიშნებად მოიხსენიებენ) ეხება იმ გამონათქვამებს, რომელთა ინტერპრეტაცია მხოლოდ და მხოლოდ მოსაუბრესთან კავშირით არის შესაძლებელი, იმ მოსაუბრესთან, რომლისგანაც დეიქსისი გამომდინარეობს. თუ მოსაუბრე ამბობს: I'm going to ask you to help me lift this and put it here, მსმენელს დასჭირდება შემდეგი ფაქტების ცოდნა:

ვინ საუბრობს (I, me რეფერენტების განსაზღვრისათვის);

ვის ესაუბრება (you-ს რეფერენტის/რეფერენტების დასადგენად);

რის შესახებ საუბრობს (this რეფერენტის დასადგენად);

სად ხდება საუბარი (რომ განვსაზღვროთ ის ადგილი, რომელსაც here მიუთითებს).

გამონათქვამები, როგორიცაა I, we, me, you, this that, to my left, behind me, here, over there, now, yesterday, next year და ა.შ. საუბრის მომენტში შესაბამის ინტერპრეტაციას ღებულობენ. მსმენელისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მოსაუბრის, ასევე გამონათქვამის წარმოთქმის დროისა და ადგილის დადგენა იმისათვის, რომ მოხდეს მთლიანი და სრული ინტერპრეტაცია იმისა, რაც ითქვა ან იყო ნაგულისხმევი მოცემულ გამონათქვამში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დეიქსურ კატეგორიებში ზმნების მცირე ჯგუფი შედის: come, go, bring, take (ზოგჯერ fetch). Come უფრო იშვიათია გამოყენების თვალსაზრისით, ვიდრე go და ფრაზეოლოგიურადაც უფრო შეზღუდულია, მაგრამ ჩვეულებრივ ინარჩუნებს დეიქსურ მნიშვნელობას, ე. ი. მოსაუბრისკენ მიმართულებას. მაშასადამე, he's coming on Thursday, გულისხმობს იმას, რომ პიროვნება მიემგზავრება იმ ადგილისაკენ, სადაც მოსაუბრე იქნება ხუთშაბათს.

Go უფრო ხშირია ზეპირ და წერით მეტყველებაში, ვიდრე come და ფრაზეოლოგიური თვალსაზრისითაც უფრო ფართოდ გამოიყენება. ის შეიძლება გამოყენებული იყოს დეიქსურად, მაგალითად: My husband's going to Paris on Thursday; რაც შეიძლება გულისხმობდეს, რომ “ჩემი მეუღლე” ხუთშაბათს გაემგზავრება იმ ადგილიდან, სადაც მოსაუბრე იმყოფება (ან ცხოვრობს). თუმცა, მისი ინტერპრეტაცია სხვანაირადაც შეიძლება მოხდეს. დაუშვათ, რომ მოსაუბრის მეუღლე, რომელიც დროებით ბერლინში იმყოფება, მომდევნო ხუთშაბათს ბერლინიდან პარიზში მიემგზავრება. ამ შემთხვევაში, მას უკვე აღარ შეესაბამება დეიქსური მნიშვნელობა. Go ფართოდ გამოიყენება, როგორც ზმნა, რომელიც გულისხმობს ერთი ადგილიდან მეორეში გადასვლას მოსაუბრის ან მწერლის მხრიდან დეიქსური იმპლიკაციის გარეშე. მაშასადამე, ისტორიულ თუ ლიტერატურულ ტექსტებში, ისეთი წინადადებები, როგორიცაა: Caesar went rapidly to Rome; ან Buchan went to see the Prime Minister about this on a number of occasions, არ გულისხმობენ არანაირ კავშირს მოგზაურობის მიმართულებასა და ტექსტის ავტორის ადგილმდებარეობას შორის. მაშინ, როდესაც come საკმაოდ დაბეჯითებით შეიძლება დეიქსურ ზმნად მივიჩნიოთ, მისი დეიქსურად გამოყენების საფუძველზე, გაგვიჭირდება იმავე მნიშვნელობის მინიჭება go-სათვის, რომელიც უკეთესი იქნებოდა დაგვეხასიათებინა, როგორც ზმნა, რომელსაც გააჩნია დეიქსურად გამოყენების პოტენციალი.

ზმნები depart და leave ჩვეულებრივ არ გვხვდება დეიქსური შესაძლებლობის მქონე ზმნათა რიცხვში. ისმის კითხვა – შეიძლება ეს ზმნები დეიქსური თვალსაზრისით იქნენ გამოყენებული? მეორე კითხვა ასეთია: ისინი ჩვეულებრივ მოსაუბრისკენ ან მისგან შორს მიმართულებას აღნიშნავენ თუ აგრეთვე მიუთითებენ მოსაუბრის შეხედულებას – ახდენენ რა კონცენტრირებას

მოსაუბრის ამჟამინდელ ადგილმდებარეობაზე ან იმაზე, თუ სად მიემართება პიროვნება?

დეიქსური თვალსაზრისით გამოყენებული ზმნების საინტერესო თვისებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ისინი ახდენენ მოსაზრების კოდირებას, იმ მოსაზრებისა, რომლითაც მოსაუბრე განიხილავს გამონათქვამში აღწერილ მოქმედებას. მნიშვნელობის ეს ასპექტი, ხშირად მაგალითებით არის განმტკიცებული ლექსიკონებში. აღსანიშნავია კულტურის ლექსიკონის კონცეფცია, რომელიც გულისხმობს კულტურას, კულტურის დახასიათებას ლექსიკის მხრიდან, რადგან აქ წარმოდგენილია სიტყვათა სისტემა, რომლებიც მოცემული კულტურის არსს გადმოსცემს. ზმნა depart ლექსიკონებში შემდეგი ინტერპრეტაციით გვხვდება:

Depart – ამჟამად არქაულია, თუმცა ჯერ კიდევ გამოიყენება ჩრდილო ამერიკაში (from-ის გარეშე) ძირითადად გამგზავრების, დატოვების მნიშვნელობით – The Longman Dictionary of the English Language (LD).

Depart – ახლა მხოლოდ ფორმალურ მეტყველებაში გამოიყენება და ძირითადი მნიშვნელობაა ადგილის დატოვება, განსაკუთრებით მოგზაურობის დაწყებისას, მაგალითად: The 9.30 train to Leeds will depart from platform 6 (რაც გულისხმობს იმ ადგილის დატოვებას, იქედან გამგზავრებას, სადაც მოსაუბრე ამჟამად იმყოფება) Longman Active Study Dictionary (LASD).

ცხადია, რომ depart ისე, როგორც leave არის მოძრაობის აღმნიშვნელი ზმნა, რომელიც ყველა სხვა მოძრაობის აღმნიშვნელი ზმნის მსგავსად გულისხმობს გზას ორ წერტილს შორის, წყაროსა და მიზანს შორის (80, 264, 1993:). არის შემთხვევები, როდესაც მოძრაობის აღმნიშვნელი ზმნებისათვის განსაზღვრულია როგორც წყარო, ისე მიზანი, ან მხოლოდ წყარო და მხოლოდ მიზანი, ან კიდევ არცერთი არ არის განსაზღვრული. როდესაც ბოლო შემთხვევასთან გვაქვს საქმე, ანუ არც წყაროა განსაზღვრული და არც მიზანი, მსმენელს ყოველთვის უნდება შეკითხვა: საიდან? ან საითკენ? ლექსიკონების უმეტესობა ზმნა depart-ის პირველად მნიშვნელობად წყაროდან მიმართულებას ასახელებს, ხოლო მიზნისკენ მიმართულება მეორე მნიშვნელობადაა მიჩნეული. რა თქმა უნდა, ეს შეესაბამება ზმნა depart-ის ფუნქციებს, მაგალითად ისეთებს, რომლებიც შემდეგ გამონათქვამებში გვხვდება: departed this life, the dear departed

(გარდაცვლილ პიროვნებაზე ან ხალხზე მითითებისას), ასევე ყოველდღიურ გამონათქვამებში; to depart from our plan/usual practice და ა.შ.

ზმნა leave-ის პირველ მნიშვნელობად ლექსიკონებში წასვლა, დატოვება (პიროვნების ან ადგილის) არის მიხნეული - Oxford Advanced Learner's Dictionary (OALD). საინტერესო ფაქტია, რომ მაშინ, როდესაც depart გამოიყენება პიროვნების (დროებით) დატოვების თვალსაზრისით, leave, რომელიც დროებით არყოფნის მნიშვნელობასაც ინარჩუნებს, იძენს უფრო ფართო მნიშვნელობას და გულისხმობს პიროვნების არა მხოლოდ დატოვებას, არამედ ამ პიროვნებასთან ურთიერთობის გაწყვეტასაც. მაგალითად: She's leaving him for another man (OALP)

რაც შეეხება leave-ის მნიშვნელობას, რომელიც გულისხმობს მიზნისკენ/დანიშნულების ადგილისკენ მოძრაობას, "leave for someone or somewhere", აქ ხაზი ესმება წყაროს/საწყისი წერტილის დატოვებას, როგორც ეს შემდეგ მაგალითებშია ნაჩვენები:

The plane leaves Heathrow for Orly at 12.35.

He left his wife for one of his students (OALD).

ზმნების, depart და leave, ლექსიკური განმარტებები ვერ დაგვეხმარება განსაზღვროთ, შეიძლება თუ არა მათი დეიქსურად გამოყენება. ასევე, კონტექსტიდან იზოლირებული წინადადებებიც ნაკლებად გამოგვადგება ზმნების დეიქსურობის განსაზღვრაში. Collins Cobuild Dictionary (CCD) შემდეგ მაგალითს გვაწვდის: The rescue ship departed from the area as soon as possible (left ან went away ასევე შესაძლებელი იყო depart from-ის ნაცვლად გამოგვეყენებინა). ასეთი, განცალკევებულად მოცემული მაგალითი, სულ ცოტა, ოთხი სხვადასხვა გზით შეიძლება განვმარტოთ:

a) თუ მაშველი გემის საფრთხის ზონიდან გამგზავრების შესახებ განცხადებას აკეთებს პიროვნება, რომელიც არ მონაწილეობს ან უკავშირდება ზემოთ აღნიშნულ მოქმედებას: არადეიქსური გამოყენებაა.

b) თუ მაშველი გემის გამგზავრების შესახებ განცხადებას აკეთებს ის პიროვნება, რომელიც იმყოფება ჩაძირვის ზღვარზე მყოფ გემზე (წყარო) და რომელსაც გადარჩენის ბოლო იმედი უქრება. ამ შემთხვევაში, პიროვნება რჩება იმავე ადგილზე და თვითმხილველია გამგზავრებისა, რომლის მიზანი, ანუ დანიშნულების ადგილი გაურკვეველია. ეს არის დეიქსური ხმარების ტიპური შემთხვევა, – X მიემგზავრება ჩემგან.

c) თუ მაშველი გემის გამგზავრების შესახებ აცხადებს ის პიროვნება, ვინც მონაწილეობს გამგზავრებაში, მაშინ მოსაუბრე მაშველი გემიდან, რომელიც სასწრაფოდ შორდება ჩაძირვის ზღვარზე მყოფ გემს, აკვირდება გემის ჩაძირვას. აქ B-საგან ოდნავ განსხვავებულ დეიქსურ ფუნქციასთან გვაქვს საქმე, რომელიც შეიძლება შემდეგნაირად განვსაზღვროთ: მე მივემგზავრები X-დან (ვტოვებ X).

d) თუ მაშველი გემის გამგზავრების შესახებ განცხადება კეთდება გამგზავრების მონაწილე ვიღაც პირის მიერ, რომელსაც ახალი ცხოვრების შანსი მიეცა და სავარაუდოა, რომ დიდ ინტერესს ამუღანებს დანიშნულების ახალი ადგილისადმი. ამ შემთხვევაში მოსაუბრე ზურგს აქცევს ჩაძირულ გემს და დაუინებოთ უმზერს ნაპირს, რომელსაც უახლოვდებიან. აქაც დეიქსურ ხმარებასთან გვაქვს საქმე, მაგრამ განსხვავებული მნიშვნელობით – მე მივემგზავრები X-დან Y-საკენ, სადაც Y მიხნეულია, როგორც მიზანი (დანიშნულების ადგილი), რომელზეც მთელი ყურადღებაა გადატანილი (25, 116, 1998).

შემდეგი მაგალითიც, რომელიც იმავე ლექსიკონშია მოცემული ანალოგიურად შეიძლება განვიხილოთ:

A number of us departed for an afternoon outing (CCD).

აქაც, departed შეიძლება შეიცვალოს left ან went ზმნებით. რა თქმა უნდა, პირველი პირის დეიქსური გამონათქვამის (us) არსებობა, გამონათქვამს დეიქსურ მნიშვნელობას ანიჭებს და გამორიცხავს ზემოთ აღნიშნულ A მოსაზრებას. იმდენად, რამდენადაც განსაზღვრული არ არის მოსაუბრე მონაწილეობს თუ არა გამონათქვამში, ყველა (B, C, D,) მოსაზრება დასაშვები ჩანს. B მოსაზრების თანახმად, მოსაუბრე რჩება და აკვირდება სხვების გამგზავრებას. C-ის თანახმად, მოსაუბრე ჯგუფის ერთ-ერთი წევრია, მაგრამ ყურადღება გადააქვს მოქმედების დაწყების წერტილზე, ანუ გამომგზავრების ადგილზე. D-ის თანახმად კი, მოსაუბრე ჯგუფის ერთ-ერთი წევრია, მაგრამ ყურადღება მიმართული აქვს მიზნისაკენ, დანიშნულების ადგილისაკენ (25, 120, 1998).

ზმნა depart-ის გამოყენების თაობაზე ზემოთ აღნიშნული მოსაზრებების ილუსტრირებისათვის, შექსპირის პიესები გამოგვადგება, რადგან პიესებში პირდაპირი მეტყველების მაგალითებია მოცემული და გამონათქვამის შესატყვისი კონტექსტის პირდაპირი განხილვის შესაძლებლობას გვაძლევს. ამასთანავე,

შექსპირის პიესები სავსეა შემოსვლის თუ გასვლის მაგალითებით, რომლებიც არა მხოლოდ პერსონაჟების სცენაზე შემოსვლას თუ სცენის დატოვებას გვაუწყებენ, არამედ იმ საკმეებსა და მოგზაურობებს აღნიშნავენ, რომლებსაც თავად პერსონაჟები უკავშირებენ მოქმედების სხვა მონაწილეებს. ამასთანავე, depart არის ის გამოთქმა, რომელიც ხშირად გვხვდება ამ პიესებში (ეს შესაძლოა რამდენადმე ამტკიცებს ლონგმენის ლექსიკონში მოცემულ განმარტებას (LD) იმის თაობაზე, რომ depart ახლა არქაულ ფორმადაა მიჩნეული) (25, 98, 1998).

დავიწყოთ სცენის მიმართულებების განხილვით (აქ ჩვენ ამ მიმართულებების მხოლოდ ფუნქციები გვაინტერესებს და არა მათი წყარო). პიესებში უამრავი გამონათქვამია, რომელიც პერსონაჟების მიერ სცენის დატოვებას აღნიშნავს, მაგალითად: he goes within, goes, Cinna goes, they go, they leave, they rush forth, they go out, they vanish, retires, runs off; ამათგან ყველაზე ხშირად გამოყენებულია ზმნა go. გამონათქვამები, რომლებიც დეიქსურადაა მიჩნეული, როგორც პერსონაჟების, ასევე აუდიტორიის ქმედებებში მოქმედებების ბოლოს გვხვდება. თუმცა აღსანიშნავია, რომ depart, რომელიც იშვიათად ფიგურირებს სცენაზე მიმართულებების აღსანიშნავად, არ გვხვდება მოქმედებების ბოლოს. ის ძირითადად იხმარება იმ დროს, როდესაც მთავარი პერსონაჟი სცენაზეა სხვა პერსონაჟებთან ერთად და აგრეთვე მაშინ, როდესაც საჭიროა რომელიმე პერსონაჟის სცენიდან გაყვანა, უმეტესად ამის შემდეგ მთავარი პერსონაჟი ან სცენაზე მყოფ სხვა პიროვნებას მიმართავს, ან წარმოთქვამს მონოლოგს, მაგალითად:

a) Macbeth: Let every man be master of his time

Till seven at night; to make society

The sweeter welcome, we will keep ourself

Till supper time alone; while then, God be

with you!

[all depart but Macbeth and a servant]

Sirrah, a word with you.

(Macbeth 3.1.45)

b) Hastings: Go on before; I'll talk with this old fellow.

[Stanley and Catesby depart]

How now sirrah? How goes the world with tree?

(Richard III; 3.2.95)

c) Brutus: And so good morrow to you every one.

[all but Brutus depart]

Boy! Lucius! Fast asleep! It is no matter.

(Julius Caesar; 2.1.228)

d) Gloucester: Go you before and I will follow you.

[Hastings departs]

He cannot live, I hope, and must not die

Till George be packed with post-horse up to heaven.

(Richard III; 1.1.145)

ამ მაგალითებიდან ჩანს, რომ პიროვნებას, რომელიც საუბრობს, სურს, რომ ზოგიერთმა ან ყველა პერსონაჟმა დატოვოს სცენა. ისინიც ტოვებენ მოქმედების ადგილს და შორდებიან იმ პერსონაჟს, რომელიც მოცემულ მომენტში ცენტრალური ფიგურაა. ამ ნაწყვეტებში, მათი წასვლა მთავარი პერსონაჟის სურვილითაა ნაკარნახევი, რათა არ გამჟღავნდეს საიდუმლო განზრახვა ან აზრი. ამ ნაწყვეტების ანალიზისას B მოსაზრებას ვითვალისწინებთ, სადაც მთავარი პერსონაჟი (და აუდიტორიაც) აღიქვამს გამგზავრებულებს, როგორც პირებს, რომლებიც ტოვებენ მას განსაზღვრული მიზნის/დანიშნულების ადგილის აღნიშვნის გარეშე. ისინი უბრალოდ უჩინარდებიან მხედველობის არედან. ზმნა depart-ის ფუნქციის ეს განსაზღვრება, მაჩვენებელია იმისა, რომ ისინი, ვინც ეს-ეს არის გავიდნენ სცენიდან, აღარ იმყოფებიან მოსაუბრის (ან აუდიტორიის) ყურადღების ცენტრში, ასევე ნათელია, რომ მოსაუბრეს არანაირი წარმოდგენა არა აქვს, თუ სად მიემგზავრებიან ისინი.

d) Prince: For this time, all the rest depart away:

You, Capulet, shall go along with me;

And, Montague, come you this afternoon,

to know our father pleasure in this case,

To old Freetown, our common judgement-place.

Once more, on pain of death, all men depart.

(all but Montague, Lady Montague, and Benvolio)

depart).

(Romeo and Juliet; 1.1.98)

f). Antony: Unarm, Eros, the long day's task is done,
And we must sleep. (to Mardian) That thou depart'st
hence safe,
Does pay thy labour richly; go
(Antony and Cleopatra; 4.14.37)

g). Hamlet: What is your affair in Elsinore?
We'll teach you to drink deep are you depart.
(Hamlet; 1.2.175).

h). Brutus: Good countrymen, let me depart alone.
And for my sake, stay here with Antony.
(Julius Caesar; 3.5.28)

i) Romeo: For fear of that I still will stay with thee,
And never from this palace of dim night
Depart again.
(Romeo and Juliet; 5.3.107)

j) Balthasar: And threat'ned me with death, going in the vault,
If I departed not and left him there.
(Romeo and Juliet; 5.3.277)

e და f მაგალითებში depart დეიქსურად არის გამოყენებული. ორივე მაგალითიდან ჩანს, რომ პიროვნებები დაუყოვნებლივ დატოვებენ გამონათქვამის წარმოთქმის ადგილს (B მოსაზრება). არცერთ მოსაზრებს, e და f მაგალითებში, არ აინტერესებს, თუ სად წავლენ პერსონაჟები, მთავარია ის, რომ მათ უნდა დატოვონ სცენა. შემდეგი მაგალითიც (g) ასევე B თვალსაზრისით განიხილება (departing from me/ჩემგან გამგზავრება), მაგრამ ამ შემთხვევაში, ჰორაციოს

გამგზავრება არა დაუყოვნებლივ, არამედ ახლო მომავალში მოხდება, ხოლო დანიშნულების ადგილი კვლავ გაურკვეველია.

h და i მაგალითებიც დეიქსური ხმარების ნიმუშს წარმოადგენენ, ოღონდ უკვე c მოსაზრების თანახმად განიხილებიან (მე მიემგზავრები x-დან). h მაგალითში, ბრუტუსი ხუმრობს საკუთარი გამგზავრების შესახებ, მაგრამ მინიშნებას არ აკეთებს, თუ სად მიემგზავრება. მას აშკარა მიზანი/დანიშნულების ადგილი არა აქვს მხედველობაში. ეს მაგალითი c თვალსაზრისს ექვემდებარება, რადგან ბრუტუსი თვითონ არის ამ მოქმედების შემსრულებელი, სხვები კი დაინტერესებულნი არიან იმით, თუ სად მიემგზავრება ის. ასევე i მაგალითში, რომეო ჯულიეტას მკვლარ სხეულთან ფიცს დებს, რომ არასოდეს მიატოვებს მის საფლავს. ის არ ფიქრობს იმაზე, თუ სად შეიძლება გაემგზავროს, ამის შესაძლებლობაც რომ ჰქონდეს, რადგან მთელი აზროვნება საფლავზე აქვს გადატანილი.

ბოლო მაგალითი depart-ის არადეიქსურ ხმარებას წარმოგვიდგენს. ბალთახარი გვაუწყებს რომეოს დაუინებული მოთხოვნა, რომ მარტო დატოვოს ის. აქ რომეო დაინტერესებულია არა ბალთახარის არყოფნით, არამედ მარტო დარჩენით.

მაშასადამე, შექსპირის პიესებში ზმნა depart ხშირად დეიქსური თვალსაზრისითაა გამოყენებული. დეიქსური ხმარება ჩვეულებრივ გულისხმობს – x მტოვებს მე/მე ვტოვებ x, და აქ მნიშვნელოვანი სცენიდან გასვლაა, მოქმედების ადგილის დატოვება რაიმე მიზნისა თუ დანიშნულების ადგილის აღნიშვნის გარეშე (B/C მოსაზრება).

ცხადია, ორივე ზმნა, როგორც depart, ისე leave შეიძლება დეიქსურად იყოს გამოყენებული, თუმცა მათი არადეიქსურად ხმარების შემთხვევაც (მაგალითად, ირიბ მეტყველებაში მრავალია). ასევე შესაძლებელია მოძრაობის აღმნიშვნელი სხვა ზმნების დეიქსური თვალსაზრისით გამოყენება, კერძოდ, პირველი პირის კონტექსტებში, რომლებშიც მოსაუბრე/მოხრობელი თვითონაა მთავარი მოქმედი პირი (25, 88, 1998).

ამ მოკლე ანალიზმა გვიჩვენა, რომ დეიქსურად გამოყენებული depart და leave, სხვადასხვა მოსაზრებებს იწვევენ. იგივე შეიძლება ითქვას მოძრაობის აღმნიშვნელ სხვა ზმნებზეც (go, come, arrive, enter, approach, return). როგორც depart-ის, ისე leave-ის ტიპური გამოყენება გულისხმობს ყურადღების გადატანას

მოქმედების წყაროზე, საიდანაც მოქმედება მომდინარეობს (B და C თვალსაზრისი). როდესაც მიზანი განსაზღვრულია, რაც იშვიათობას წარმოადგენს და მგზავრობასთან დაკავშირებულ მაგალითებში გვხვდება – The 9.30 train to Leeds departs from platform 6 (LASD), მაშინ საქმე გვაქვს ან B ან C მოსაზრებასთან. რაც შეეხება D მოსაზრებას, რომელშიც მთელი ყურადღება მხოლოდ მიზანზე, დანიშნულების ადგილზეა გადატანილი, საკმაოდ იშვიათად გვხვდება, თუმცა შეიძლება რამდენიმე მაგალითის მოყვანა:

We departed for Athens at 10 a.m. (OALD)

My plan now was to leave for the seaside (CCD).

§2. დროის დეიქსის მხატვრულ ნარატივში, როგორც ენობრივ-კულტურული ფენომენი

განვიხილოთ ტემპორალური დეიქსისის, როგორც ენობრივ-კულტურული ფენომენის ზოგიერთი თავისებურება თხრობაში, ანუ ყურადღება გავამახვილოთ იმ გამონათქვამებზე, რომლებიც ნამდვილად მოგვითხრობენ რაღაცას ნამყოფ დროის გამოყენებით, ან კიდევ ისეთ გამონათქვამებზე, რომლებიც გამოხატავენ მესამე პირის სუბიექტურობას ირიბი მეტყველების საშუალებით. მისი მიზანია, მოგვცეს წარსულის ტემპორალური რეფერენტის თანადროულობის ზოგადი მონახაზი, რომელიც გამოხატულია წარსული დროებითა და ტემპორალური დეიქსური ზმნიზედებით; ისინი სამეტყველო სიტუაციასთან კავშირს გულისხმობენ და მასზე მიუთითებენ. შემდეგი მაგალითი თხრობით

წინადადებებსა და ირიბ მეტყველებაში ასეთი თანადროულობის ილუსტრირებას წარმოადგენს:

- 1) “Unhappiness diminishes wit. Our hero had the misfortune to stop by that small straw-bottomed chair, which, formerly, had seen so dazzling triumphs. Today, no one spoke to him; his presence was somehow unnoticed and even worse.” (Stendhal) (from Vuillaume, 1990, 9)
- 2) “She walked in the garden, pacing up and down the same paths, stopping before the flowerbeds, before the fruit tree wall, before the plaster curé, considering with astonishment all these things from her past that she knew so well. How far away the ball already seemed to her! Who then set the morning of the day before at such a distance from this very evening?” (Flaubert), (from Banfield, 1982, 67)

ეს წინადადებები შეიძლება სემანტიკურად შეუსაბამო და არასწორი იყოს ტემპორალური რეფერენტების წინააღმდეგობისა და დაპირისპირების გამო, რომლებიც შესაბამისად წარსული დროებითა და ტემპორალური დეიქსური სიტყვებით. (today, the day before) არის გამოხატული. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ გამონათქვამების ინტერპრეტაცია ორი სხვადასხვა გზით უნდა მოხდეს: ერთი გულისხმობს წარსული დროის რეფერენტს (რომელიც არ არის დეიქსური), ხოლო მეორე აწმყო ან წარსული დროის დეიქსურ რეფერენტს. განვიხილოთ ძირითადი ჰიპოთეზა ამ წინააღმდეგობის გადასაჭრელად, რომელიც თხრობასა და ირიბ მეტყველებაში გვხვდება.

მ „პარადოქსული“ წინადადებების კვლევა ორი ძირითადი მიმართულებით ხდება. პირველი ეხება დეიქსის თხრობაში, თხრობით წინადადებებში, ხოლო მეორე–დეიქსის ირიბ მეტყველებაში იკვლევს.

უპირველეს ყოვლისა, შევეცადოთ პრობლემის ფორმულირებას ზემოთ აღნიშნული მაგალითის მიხედვით:

Today, no one spoke to him.

იმისათვის, რომ ეს წინადადება შესაბამისი ჩანდეს, today უნდა მიუთითებდეს წარსულის მომენტზე, რომელიც თანადროულია თხრობაში აღწერილი მომენტისა. პრობლემა წარმოიშვება არა იმიტომ, რომ ასეთი განმარტება შეუძლებელია (სინამდვილეში ასეც არის), არამედ იმიტომ, რომ ისეთი ტემპორალური დეიქსური სიტყვის ინტერპრეტაცია, როგორცაა today, გულისხმობს მოსაუბრესა და მსმენელს, მეტყველების წერტილს და ადგილმდებარეობას; თუმცა, მესამე პირის თხრობითი წინადადება არც

მიუთითებს და არც გულისხმობს ამ მონაწილეებსა და ადგილმდებარეობას. ასე რომ, ზემოთ აღნიშნული წინადადების ინტერპრეტაცია ძნელი იქნება, რადგან თხრობაში ინტერპრეტაციას კონტექსტზე დამოკიდებულ ცვლილებებს ვერ მივაკუთნებთ.

მეტყველება აიძულებს მოსაუბრესა თუ მწერალს დაიცვას და გაითვალისწინოს ის ნიშნები, რომლებიც დამახასიათებელია ამა თუ იმ ენობრივი კულტურისათვის. მხატვრულ ტექსტში, როგორც ავტორი, ასევე მკითხველი მზად არიან იმისათვის, რომ მთავარია არა ის, თუ რა გადმოიცემა, არამედ ის, თუ როგორ გადმოგვცემს მას ავტორი.

ისევე, როგორც სხვა ნებისმიერი კომუნიკაციური ქმედება, მხატვრული ტექსტიც, რაღაცის თქმის აუცილებლობით არის განპირობებული; ქმედება ხდება ან ინფორმაციულობისათვის, იმისათვის, რომ ადრესტმა ან მიიღოს რაიმე მხედველობაში, ან შეასრულოს რაიმე, ან – თვითგამოხატვისათვის. აზრისა და გრძნობის სიტყვით გამოხატვის აუცილებლობა – მხატვრული ტექსტის ამოსავალ წერტილს წარმოადგენს (8, 45, 2004)

თხრობითი წინადადებების კლასიკური განმარტება ცდილობს დეიქსური ცვალებადობის დადგენას ორი ძირითადი თეორიული თვალსაზრისიდან გამომდინარე. პირველი თვალსაზრისი, რომელიც ფაუკონიერს ეკუთვნის (46, 78, 1984) უპირატესობით სრგებლობს მეორე, ვუილაუმისეულ მოსაზრებასთან მიმართებაში. (Vuillaume 1990), (Vuillaume 1993). ის წარმოადგენს საზოგადო პრინციპს, იდენტიფიკაციის პრინციპის (principle of identification) გამოყენებას, რომელიც ხსნის პრაგმატულ კავშირს ორ ობიექტს შორის მაშინ, როდესაც ვუილაუმის განმარტება მხატვრული ნაწარმოებების შესახებ საზოგადო ჰიპოთეზას წარმოადგენს.

განვიხილოთ ეს ორი მიდგომა. დავიწყოთ ფაუკონიერის განმარტებით: გონებრივი სივრცეების შესახებ მისი თეორიის თანახმად, კავშირი საწყის წერტილსა და მიზანს შორის პრაგმატული მაერთებლის საშუალებით საზოგადო პრინციპის, იდენტიფიკაციის პრინციპის გამოყენებას წარმოადგენს, რომელიც საშუალებას გვაძლევს მივუთითოთ ობიექტ b-ს ობიექტი a-ს აღწერის საშუალებით, მაგალითად:

Plato is on the top shelf.

ამ მაგალითში Plato საკუთარი სახელით გადმოცემულ პიროვნებას კი არ აღნიშნავს, არამედ იმ წიგნებს, რომლებიც მის მიერაა დაწერილი. სხვა

სიტყვებით რომ ვთქვათ, ავტორის აღწერით, წიგნზე მითითება შესაძლებელია პრაგმატული ფუნქციის საშუალებით (ფაუკონიერის ტერმინს თუ გამოვიყენებთ პრაგმატული მაერთებლით), რომელიც აკავშირებს ავტორებსა და მათ მიერ დაწერილ წიგნებს (46, 3, b, 1984).

თხრობაში (როგორცაა ტექსტი, სიტუაცია) მითითების დონეების გარდა, რომელთა საშუალებითაც ხდება ტექსტის წაკითხვა და გაგება, არსებობს ორი ძირითადი დონე, რომლებიც პრაგმატიკულად უკავშირდებიან ერთმანეთს და გონებრივ სივრცეებად მიიჩნევიან, ესენია: თხრობითი სამყარო და „მსვლელობა“ (trip). პირველ დონეს, თხრობით სამყაროს, ტემპორალური დონე ეწოდება. ის მოვლენებისაგან შედგება, სადაც მონაწილეები მესამე პირის რეფერენტებს წარმოადგენენ მაშინ, როდესაც მეორე დონე, მსვლელობა, დეიქსური და სივრცითია და შესაბამისად, სივრცით დონედ არის ცნობილი. ის მოიცავს მოსაუბრეს (მთხრობელს) და მსმენელს (მკითხველს). ტემპორალურ და სივრცით დონეს, იდენტიფიკაციის პრინციპის საფუძველზე სისტემატური ურთიერთობა აკავშირებს. შემდეგ წინადადებაში, დეიქსური მითითება, რომელსაც გამოხატავს here, მისაღებია თხრობაში, რადგან here განსაზღვრავს წერტილს „მსვლელობაში“ და ამასთანავე ჩანს ურთიერთდამოკიდებულება თხრობითი სამყაროს კონკრეტულ წერტილსა და „მსვლელობის“ ადგილმდებარეობას შორის. მაგალითად:

Max raised his dagger; here things went from bad to worse...

მაშასადამე, სივრცის დეიქსური მარკერები თხრობაში მარტივ განმარტებას ღებულობენ: დეიქსისი შესაძლებელია, რადგან „მსვლელობის“ დონე (დეიქსური და სივრცის) დაკავშირებულია ტემპორალურ დონესთან (არადეიქსური და ტემპორალური).

რა შეიძლება ითქვას ტემპორალურ დეიქსისზე თხრობაში? საწყისი წერტილი წარმოადგენს წერტილს, ანუ მოვლენას ტემპორალურ დონეზე, რომელიც უკავშირდება წერტილს სივრცით დონეზე, რომლის საბოლოო მიზანს ტემპორალური დონის შესაბამისი მომენტი წარმოადგენს.

გავაანალიზოთ მოკლე ფრაგმენტი, რომელშიც წარმოდგენილია დროთა შესაბამისობა და ენობრივი გამოთქმები.

“Вчера подхожу к своему подъезду. Вдруг вылетает на меня огромная псина. Я, конечно, остановилась, жду, что будет. А она как прыгнет на меня! Поставила свои лапы

мне на плечи и давай меня нализовать. Оказалось, мои друзья всем семейством приехали.”

დავაკვირდეთ ზმნების ფორმებს: подхожу, вылетает, остановилась, жду, будет, прыгнет, давай нализовать, оказалось, приехали – ახლანდელი დრო, ახლანდელი, წარსული, ახლანდელი, მომავალი, მომავალი, იმპერატივი, წარსული, წარსული. ეს ყველაფერი ექვსი წინადადების ერთი, დაკავშირებული და მთლიანი ტექსტის ფარგლებში ხდება, რომელიც წარსულში მომხდარ ერთ შემთხვევას ეხება, რასაც პირველი ორი სიტყვა მიგვანიშნებს - Вчера подхожу.

აღნიშნული მაგალითი შესაძლებელია აიხსნას რუსული ენის დროთა სისტემებით და ამასთანავე რუსული ენის კულტურისათვის (განსაკუთრებით ნარატივში) დამახასიათებელი თვისებით, რომელიც წარსული სიტუაციის ახლანდელ მომენტთან („აქ” და „ახლა”) დაკავშირებაში მდგომარეობს, რაც უშუალო თანდასწრების ეფექტს ახდენს. ეს ის დამახასიათებელი თვისებებია, რომლებიც განაპირობებენ კომუნიკაციის ეროვნულ-კულტურულ სპეციფიკას.

ლიტერატურული კვლევის მიხედვით, ვუილაუმის განმარტება შეიძლება კლასიკურ განმარტებად ჩაითვალოს. ის ემყარება იმ იდეას, რომ ისეთ გამონათქვამებში, როგორცაა – Today, no one spoke to him, მითითება ხდება მხატვრული ნაწარმოებების ორ დონეზე, რომლებსაც, შესაბამისად, მთავარ პროზასა და მეორეხარისხოვან პროზას უწოდებენ (principal/secondary fiction). მთავარ პროზაში მოვლენები წარსულ დროში მიმდინარეობს მესამე პირთან ერთად. ასე რომ, ტემპორალური მითითება, ძირითადად, მთავარი პროზის პრობლემას წარმოადგენს. მაგრამ, ყველა სახის მხატვრულ ლიტერატურაში მოიპოვება მეორეხარისხოვანი პროზა, რომელიც შეიძლება ზუსტად აღინიშნოს და რომლის მონაწილეებსაც მთხრობელი და მკითხველი წარმოადგენს. მეორეხარისხოვან პროზას გააჩნია დროისა და ადგილის მითითების საკუთარი სისტემა, რომელიც მოვლენებს კი არ ექვემდებარება, არამედ დეიქსისზეა დამოკიდებული (Vuillaume 1993). მაშასადამე, შემდეგ წინადადებაში, როგორცაა:

“Just as we are coming in, Charveny, taking advantage of his victory, was piling up cloaks, quilted overcoats, women’s mantis on that unfortunate hunchback’s body.” (P. F.) გამონათქვამი as we are coming in, მიუთითებს მთხრობელსა და მკითხველზე, როდესაც ისინი შედიან იმ ოთახში, სადაც ხდება მოქმედება, რაც იმას გულისხმობს, რომ მეორეხარისხოვანი პროზა მთავარი პროზის თანადროულია და რომ ავტორს შეუძლია გამოხატოს ეს თანადროულობა აწმყო დროის

დეიქსური სიტყვით. ასე რომ, ზემოთ უკვე აღნიშნულ წინადადებაში (Today, no one spoke to him) წარმოჩენილი „პარადოქსი“ გადაჭრილი და ახსნილია. Today არ მიუთითებს იმ მომენტზე, როდესაც მოხრობელმა ეს წინადადება დაწერა; არც მკითხველის მიერ ამ წინადადების წაკითხვის დროზე არ მიუთითებს. ის აღნიშნავს იმ მომენტს, როდესაც ჯულიენ სორელს არავინ ესაუბრება და ეს შესაძლებელია, რადგან today მიუთითებს მეორეხარისხოვანი პროზის იმ მომენტზე, რომელიც მთავარი პროზის შესაბამის მომენტთანაა თანადროული.

ამ განმარტებას დადებითი შედეგი აქვს. ამასთანავე, მეორეხარისხოვანი პროზის აუცილებლობას განაპირობებს მკითხველი, რომელიც საჭიროებს მოხრობელის ხელმძღვანელობას მთავარ პროზაში. მაგრამ, ეს ფუნქცია მეორეხარისხოვანია სხვასთან შედარებით: სწორედ მეორეხარისხოვანი პროზის საფუძველზე მკითხველში ცოცხლდება წარსულის მოვლენები, ისე თითქოს ისინი ახლანდელ დროში ხდებოდნენ.

მიუხედავად ამისა, ეს თეორია პროზის შესახებ ძალიან მარტივია. მას შეიძლება პროზის ილუზიონიზმის თეორია ეწოდოს, რადგან მოვლენები ისე აღიქმება და იხსნება, თითქოს ილუზიასთან გვექონდეს საქმე იმიტომ, რომ ფაქტიურად, ისინი არანაირ ახსნა-განმარტებას არ იძლევიან. იმისათვის, რომ შევძლოთ ტემპორალური დეიქსისის თხრობაში ახსნა, უნდა გამოვიკვლიოთ და განვსაზღვროთ შემდეგი ფაქტი: რატომ აკეთებს ავტორი ასეთ არჩევანს. მაგრამ იმის აღნიშვნა, რომ ავტორს სურს ხელმძღვანელობა გაუწიოს მკითხველს, იქნება მხოლოდ და მხოლოდ სპეციალური განმარტება და მეტი არაფერი: სავარაუდოა, რომ მეორეხარისხოვანი პროზის არსებობის ჰიპოთეზა გამომდინარეობს ერთადერთი მიზეზიდან, ეს გახლავთ თხრობაში ტემპორალური დეიქსისის ახსნის აუცილებლობა. აქედან, უფრო ნათელი ხდება ის ფაქტი, რომ მეორეხარისხოვანი და მთავარი პროზა თანადროული და ურთიერთდაკავშირებულია, ისევე, როგორც ფაუკონიერთან ტემპორალური და სივრცითი დონე მჭიდრო ურთიერთდამოკიდებულებაში იმყოფებიან იმდენად, რამდენადაც დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება (46, 89, 1984), თუმცა ფაუკონიერის ჰიპოთეზა ტემპორალური დეიქსისის მეორე ტიპის, ანუ ირიბ მეტყველებაში ტემპორალური დეიქსური ზმნიზედების შესახებ სრულ განმარტებას არ იძლევა.

განვიხილოთ ჰიპოთეზა ირიბი მეტყველების შესახებ. ბენფილდის ჰიპოთეზის თანახმად, ირიბი მეტყველების წინადადებები გამოუთქმელი სახისაა,

ანუ ეს გახლავთ გამონათქვამები მოსაუბრეების გარეშე (17, 145, 1982). მისი ჰიპოთეზა იმაში მდგომარეობს, რომ ენა შეიძლება გამოვიყენოთ, როგორც კომუნიკაციისათვის, ასევე გამოხატვისათვის და რომ გამონათქვამები ირიბ მეტყველებასა და აზროვნებაში რაღაც აზრს კი არ გადმოგვცემენ, არამედ სუბიექტურობას გამოხატავენ (18, 155, 1995). ასე რომ, მესამე პირის ნაცვალსახელს შეუძლია სუბიექტურობა გამოხატოს. აქედან გამომდინარე, ლინგვისტური პარადოქსი, რომელიც შესაძლებელს ხდის, რომ სუბიექტურობა, პირველი პირის ნაცვალსახელის გარდა, სხვა პირის ნაცვალსახელითაც იქნას გამოხატული და ასეთ წინადადებებში წარსულ ტემპორალურ დეიქსისს იყენებს; ამასთან ზუსტ ახსნა-განმარტებასაც ღებულობს. სუბიექტურობა პირველი პირის ნაცვალსახელით გამოიხატება მაშინ, როცა ასეთი ნაცვალსახელი მოგვეპოვება გამონათქვამში; წინააღმდეგ შემთხვევაში, სუბიექტურობა მესამე პირის ნაცვალსახელითაც შეიძლება გამოიხატოს. ნებისმიერი გამონათქვამისათვის, რომელიც სუბიექტურობას გამოხატავს, არსებობს ცნობიერების მხოლოდ და მხოლოდ ერთი სუბიექტი (სუბიექტის პრინციპი). დროისთვისაც იგივე განმარტება გვაქვს: ნებისმიერი გამონათქვამი უნდა უკავშირდებოდეს ერთ Now-ს, რომელიც ახლანდელი დროის თანადროულია და რომელიც შეიძლება წარსულ დროს უკავშირდებოდეს და მისი თანადროული იყოს ირიბ მეტყველებაში. სუბიექტურობასა და დროს შორის ეს ურთიერთდამოკიდებულება არა მხოლოდ თეორიული საფუძვლებით საბუთდება (ე.ი. კომუნიკაციასა და გამომხატველობას შორის განსხვავების გზით), არამედ ლინგვისტურად და სინტაქსურადაცაა დასაბუთებული. ამგვარად, ბენფილდის მიხედვით, ირიბი მეტყველება და აზროვნება ხასიათდება, როგორც ახლანდელი და წარსული დროის დეიქსური სიტყვების ერთდროულობით, ასევე იმ ფაქტით, რომ სუბიექტურობა შეიძლება მესამე პირის ნაცვალსახელით გამოვხატოთ.

ამგვარად, ირიბი მეტყველების ანალიზი იძლევა დამარწმუნებელ პასუხს იმ პარადოქსზე, რომელიც ზემოთ აღნიშნულ წინადადებაში შეგვხდა და რომელსაც აქ გავიმეორებთ ანალიზისათვის:

“How far away the ball already seemed to her! Who then set the morning of the day before at such a distance from this very evening?” (Flaubert).

აქ შეკითხვის შესაძლებლობა, ისევე როგორც წარსული დროისა და ტემპორალური დეიქსური ზმნიშედების არსებობა (the day before, this very evening) გამომდინარეობს მესამე პირის, ემა ბოვარის სუბიექტურობიდან, რომელიც

თავის სინანულს გამოხატავს (How far away the ball already seemed to her!) და ასევე გამოხატავს ეჭვს (Who then set the morning of the day before at such a distance from this very evening?). ტემპორალური ზმნიზედები ემას ეკუთვნის, იმიტომ რომ გამონათქვამი მის სუბიექტურობასა და აზრს გამოხატავს, როგორც მისთვის–ახლანდელს, თუმცა ისინი წარსული დროის თხრობით ფორმას წარმოადგენენ.

ეს მიდგომა, რომელიც ლინგვისტურადაა დასაბუთებული, ეჭვქვეშ დააყენა რებოლმა რადიკალურად პრაგმატიკულ ჩარჩოში, მართებულობის თეორიის (Relevance Theory) მიხედვით (Reboul 1992). რებოლის არგუმენტები, რომლებიც ეწინააღმდეგება ბენფილდის მოსაზრებას შემდეგში მდგომარეობს: 1) ირიბი მეტყველება და აზროვნება ემყარება განმარტებით, ასნით ეფექტს: „სამყარო“ მისაწვდომი ხდება მკითხველისათვის მხოლოდ პერსონაჟის გრძნობებისა და აზრების საშუალებით. ამგვარად, ირიბი მეტყველება და აზროვნება აუცილებლად ლინგვისტურ კოდირებას კი არ გულისხმობს, არამედ შეიძლება ვარაუდიც ედოს საფუძვლად. 2) თუმცა აღწერილობით მეტყველებას მკითხველი პერსონაჟის იდენტიფიკაციისაკენ მიჰყავს, მაინც შესაძლებელია, ბევრი მოსაზრების უარყოფა (93, 1994, chapters 12 and 16). მოკლედ განვიხილოთ ეს ორი საკითხი:

1) ბენფილდის თეორიიდან გამომდინარე ირიბი მეტყველება (როგორც განმეორებითი ეფექტი) ლინგვისტურადაა მარკირებული სინტაქტიკურ ჩარჩოებში. პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ საკითხი ყოველთვის ასე როდი დგას, ანუ, ირიბი მეტყველების სინტაქტიკური ჩარჩოები განმარტებითი ეფექტის წარმოშობის აუცილებელ პირობას არ წარმოადგენენ. შემდეგ მაგალითში არანაირი ლინგვისტური მინიშნება არ იძლევა იმის ვარაუდის საშუალებას, თუ ვის უნდა მივაკუთვნოთ გამონათქვამი – “he would soon meet her again and would finally become her lover” – მთხრობელს თუ ფედერიკს, მაგალითად:

“There, he (Frédéric) appeared happy. Madame Arnoux was now with her mother in Chartres. But he would soon meet her again and would finally become her lover” (Flaubert).

თუ ეს არგუმენტი მტკიცება, უნდა ვივარაუდოთ, რომ არ არსებობს ურთიერთდამოკიდებულება სინტაქტიკურ ჩარჩოებსა და მოცემულ გამონათქვამს შორის და ვერც ირიბ მეტყველებად ვერ მივიჩნევთ.

2) მეორე არგუმენტი ემყარება ბენფილდის ჰიპოთეზას იმის თაობაზე, რომ ირიბი მეტყველება გამოიხატება მხოლოდ და მხოლოდ მესამე პირით, ანუ,

სუბიექტურობა გამოხატულია კომუნიკაციაში პირველი პირის მიერ, ხოლო გამონათქვამში კი მესამე პირით გადმოიცემა. მიუხედავად ამისა, რეზიუმე გვაჩვენებს, რომ სუბიექტურობა შეიძლება გამოხატული იქნას მხოლოდითი რიცხვის ყველა პირის ნაცვალსახელით (93, chapters 12, 338-9, 1994). რეზიუმის ჰიპოთეზის თანახმად, ირიბი მეტყველება კონკრეტული იდენტიფიკაციის საშუალებას იძლევა. მკითხველს სთავაზობენ პირის (რომელიც შეიძლება პირველი, მეორე ან მესამე პირით იყოს გადმოცემული) გაცნობასა და დადგენას, რადგან მას მხოლოდ ამ პირისათვის დამახასიათებელი და ვარგისი ინფორმაცია ეძლევა.

თუ ამ წინააღმდეგობებს გავითვალისწინებთ, ბენფილდის მოსაზრების დამტკიცება გაგვიძნელებს. მაგრამ არც ისინი და არც ბენფილდის ანალიზი ფაუკონიერისა და ვუილაუმის მაგალითების, ანუ თხრობაში ტემპორალური დეიქსური ზმნიზედების მაგალითების შესახებ არანაირ ახსნას არ იძლევა.

§3. თხრობა და დეიქსისის აღწერილობით – განმარტებითი ვერბალური გამოხატვა

როგორ უნდა მიუდგეთ ტემპორალურ დეიქსისს თხრობაში? არსებობს რამოდენიმე ალტერნატივა. პრობლემას ტემპორალური დეიქსური ზმნიზედების სემანტიკური ორაზროვნება, თხრობაში მათი როლი და ინტერპრეტაცია ქმნის (94, 118, 1996).

1) უპირველეს ყოვლისა ყურადღება უნდა გავამახვილოთ ტემპორალური დეიქსური ზმნიზედების კერძო გამოყენებაზე და ვცადოთ მათი ახსნა სემანტიკურ მნიშვნელობაზე დაყრდნობით. სხვანაირად რომ ვთქვათ, ისეთ ტემპორალურ დეიქსურ ზმნიზედებს, როგორიცაა today, now, yesterday, აქვთ ორი

სემანტიკური მნიშვნელობა: პირველს, რომელიც დეიქსურია, გააჩნია მითითების წერტილი (reference point/R) და მეტყველების წერტილი (Speech point/S) (110, 97, 1947), ხოლო მეორე მნიშვნელობა არადეიქსურია და მისი მითითების წერტილი განსხვავდება მეტყველების წერტილისაგან.

ეს მიდგომა ერთ-ერთ იმათგანს შეიძლება მივაკუთვნოთ, რომელთაც ჰორნი (Horn 1989) ორაზროვნების თეორიას უწოდებს, რომელიც გულისხმობს, რომ დეიქსური ზმნიზედები today, now და ა.შ. სემანტიკურად ბუნდოვანი და ორაზროვანია. ამ მიდგომის ძირითად პრობლემას წარმოადგენს ის, რომ ამტკიცების არსი მათ დამცველთა მხარეზეა, რადგან ორაზროვნება სპეციალურად არ შეიძლება იყოს ინსპირირებული, ანუ, აუცილებლად უნდა მოიძებნოს ლინგვისტური არგუმენტები ორაზროვნების თეზისის დასამტკიცებლად. არსებობს საპირისპირო თეორია, რომელიც ამტკიცებს, რომ ტემპორალური დეიქსური ზმნიზედები, ისევე, როგორც ყველა ტიპის დეიქსური მარკერები, სემანტიკურად ორაზროვანნი არ არიან, ხოლო რაც შეეხება მნიშვნელობაში სხვაობას, ის პრაგმატიკულადაა განპირობებული და ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს მათ განსხვავებულ გამოყენებასთან. აქედან გამომდინარე ტემპორალური დეიქსური ზმნიზედების მნიშვნელობის საკითხი ნაწილობრივ გადაჭრილია, მაგრამ იგივე არ შეიძლება ითქვას თხრობაში ამ ზმნიზედების კერძო ხმარების შესახებ. თუ ტემპორალურ დეიქსურ ზმნიზედებს ორაზროვნად არ ჩავთვლით, მაშინ მათი გამოყენება თხრობაში მეორე თეორიით უნდა ავხსნათ, რომელიც თხრობით კონტექსტს მთავარ როლს ანიჭებს.

2) მეორე არგუმენტი გვიხსნის ტემპორალური დეიქსური ზმნიზედის ხმარებას თხრობის თეორიის მიხედვით. უმთავრესი სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ ეს არგუმენტი უნდა გამოგვადგეს, როგორც თხრობითი გამონათქვამების, ასევე ირიბი მეტყველებისათვის. ამ მხრივ, დაგვეხმარება გენეტის მიერ განვითარებული თეორია, რომელსაც ფოკუსირების თეორია ეწოდება (54, 48, 1972). ფოკუსირების თეორია უკავშირდება შეკითხვას – „ვინ ხედავს?“ და კილოს კატეგორიას განეკუთვნება. სთიულის მიხედვით, თხრობაში ფოკუსირების სამი ძირითადი ტიპის გარჩევაა შესაძლებელი (Sthioul 1995) :

ა) თხრობითი წინადადება არ არის ფოკუსირებული, თუ არანაირი კონკრეტული წერტილის დადგენა არ ხდება. ტიპური თხრობითი წინადადებები, რომლებიც დროის წინსვლას განაპირობებენ, არ არიან ფოკუსირებულნი;

ბ) თხრობითი წინადადებები შინაგანად ფოკუსირებულად შეიძლება ჩავთვალოთ მაშინ, როდესაც კონკრეტულ ცენტრს წარმოაგენს მესამე პირი, ანუ მაშინ, როდესაც ირიბ მეტყველებასთან გვაქვს საქმე;

გ) წინადადება გარეგნულად ფოკუსირებულია, როდესაც არანაირი ზუსტი ცენტრის დადგენა არ ხდება, მაგრამ, როდესაც მკითხველს უტოვებენ სცენის აღქმისა და დასკვნის გაკეთების საშუალებას.

რაც შეეხება ბენფილდის შეხედულებას ირიბ მეტყველებასთან დაკავშირებით, ის შინაგანად ფოკუსირებულად უნდა მივიჩნიოთ. ეს იმას გულისხმობს, რომ რაც დასანახია (ან წარმოდგენილია) აღიქმება (ან აღწერება) მესამე პირის თვალსაზრისიდან გამომდინარე, რომელიც თხრობაში მკაფიოდ ჩანს. გარეგნული ფოკუსირების შემთხვევა შემდეგი მაგალითით შეიძლება იყოს წარმოდგენილი, რომელშიც არანაირი ზუსტი შეხედულება არ არის აღწერილი, მაგრამ მკითხველი უნდა ჩაწვდეს სცენის აღქმის კონკრეტულ მხარეს:

“He draw a circle around himself with a big stick, breathed deeply and read one of the magic formulae in the book. Soon, where the little boy had stood, there was an old man with a long beard” (R. G.).

ბოლო წინადადება გარეგნულად ფოკუსირებულია: ვიღაც თვითმხილველია იმისა, რაც ხდება და მთლიანი სცენა სწორედ ამ გარე მხარის შეხედულებიდან გამომდინარე აღიქმება.

3) მესამე არგუმენტით პასუხი გაეცემა ტემპორალური დეიქსური ზმნიზედების თხრობაში გამოყენების შემთხვევებს, რომელიც მხოლოდ თხრობით არ არის შეზღუდული და აღწერილობითსა და ინტერპრეტაციულ (ონომატოპეურ) გამოყენებას ემყარება. ამ განსხვავებას, რომელიც რელევანტურ თეორიაში (Relevance Theory) (119, 98, 1986) ცნობილია, როგორც კლასიკური გამოყენების ვრცელი ვარიანტი, განმარტებითი მნიშვნელობა გააჩნია. მაგალითად, ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით შესაძლებელია აიხსნას სხვაობა ლიტერატურულ და არალიტერატურულ მეტყველებას შორის, ასევე, მსჯელობასა და ირონიას, თხოვნასა და შეკითხვას შორის და ა. შ. თუმცა ახლახან მოხდა მისი გამოყენება უარყოფის მინიჭების მნიშვნელობით (34, 56, 1994), უფრო ზუსტად უარყოფის აღწერილობითი გამოყენებისა და მეტალინგვისტური გამოყენების გასარჩევად (Moeschler 1995).

რა შეიძლება იყოს ასეთი მიდგომის საფუძველი? მთავარი ჰიპოთეზა იმაში მდგომარეობს, რომ ტემპორალური დეიქსური ზმნიზედები შეიძლება გამოიყენოთ აღწერილობითი და ინტერპრეტაციული თვალსაზრისით. განმარტების თანახმად, ისინი აღწერილობითი თვალსაზრისით მაშინ გამოიყენებიან, როდესაც კონტექსტი, რომელშიც ისინი გვხვდებიან, გულისხმობს იდენტურობას R-სა (reference point) და S-ს (Speech point) შორის. ასეთ შემთხვევებში, ისინი პირდაპირი მნიშვნელობით გამოიყენებიან და თუ ტემპორალური რეფერენტი სამეტყველო სიტუაციას არ მოერგო, ტემპორალური გამონათქვამები არასწორად იქნება გაგებული. რაც შეეხება ტემპორალური დეიქსური ზმნიზედების ინტერპრეტაციულ გამოყენებას, მასთან საქმე გვაქვს მაშინ, როდესაც R-სა და S-ს შორის იდენტურობა სემანტიკურ დაპირისპირებას წარმოშობს. ამ შემთხვევაში, ტემპორალური რეფერენტი პირდაპირი მნიშვნელობით არ უნდა გავიგოთ. აქ ტემპორალური დეიქსური ზმნიზედების გამოყენება განისაზღვრება იმით, რომ მოსაუბრე (ავტორი) იძლევა ვიდაცის მოქმედების ტემპორალურ განსაზღვრას, რომელიც დეიქსურად უკავშირდება თხრობით სიტუაციას. მაშასადამე, წინადადებას “Today, no one spoke to him” შემდეგი პრაგმატიკული ინტერპრეტაცია ექნება:

Past (“Today”(no one speaks to him))

სადაც “Today” გაგებული უნდა იქნას, როგორც მისი ინტერპრეტაციული გამოყენება.

მაშასადამე, თუ აღწერილობითი გამოყენება ტემპორალური მსაზღვრელისა today აიხსნება იმ პროცედურით, რომელიც სემანტიკურად სიტყვა today-სთანაა დაკავშირებული და შეეფერება საკომუნიკაციო სიტუაციას, მისი ინტერპრეტაციული გამოყენება, თუმცა იგივე პროცედურებით ხასიათდება, მაგრამ სხვა საკომუნიკაციო სიტუაციის აღსაწერად გამოიყენება.

მესამე არგუმენტთან დაკავშირებით ზოგიერთი პრობლემა მაინც აუხსნელი რჩება. ეს ის პრობლემებია, რომლებიც უფრო კონკრეტულ მსჯელობას საჭიროებს:

- 1) რა განსხვავებაა ინტერპრეტაციულ გამოყენებასა და ორაზროვნებას შორის?
- 2) რა განსხვავებაა ტემპორალური დეიქსური ზმნიზედების ინტერპრეტაციულ გამოყენებასა და ირიბ მეტყველებას შორის?

1) რაც შეეხება აღწერილობით – ინტერპრეტაციულ გამოყენებას, საქმე გვაქვს არა (სემანტიკური) მნიშვნელობის სხვაობასთან, არამედ განსხვავებულ (პრაგმატიკულ) გამოყენებასთან.

2) არანაირი განსხვავება არ არსებობს ტემპორალური დეიქსური ზმნიზედების ინტერპრეტაციულ გამოყენებასთან დაკავშირებით თხრობასა და ირიბ მეტყველებაში. ორივე შემთხვევაში, მთავარი ყურადღება ინტერპრეტაციულ გამოყენებას ენიჭება.

დასკვნები

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ დეიქსისის კვლევის პრობლემა დღეს უაღრესად აქტუალურია ენათმეცნიერებაში, რადგან იგი საკომუნიკაციო აქტისა და მისი მონაწილეების შესწავლისკენაა მიმართული, რომელიც ენობრივ გამონათქვამებსა და არაენობრივ ობიექტს შორის კავშირის დამყარებას ეფუძნება. სადისერტაციო

ნაშრომში ჩვენ ვიკვლიეთ აქტუალური და ნაკლებად დამუშავებული პრობლემა, დროისა და ადგილის დეიქსისი, როგორც ენობრივ-კულტურული ფენომენი და მისი ვერბალიზაცია ინგლისურ ენაში, შევეხეთ მათთან დაკავშირებულ ფაქტორებს და მოვახდინეთ მათი ანალიზი, განვიხილეთ ის თვისებები, რომლებიც განაპირობებენ კომუნიკაციის ეროვნულ-კულტურულ სპეციფიკას.

ნაშრომში დეიქსისი მოიაზრება, როგორც მითითება რომელიმე ათვლის წერტილზე, რომელთან მიმართებაშიც ხასიათდება ობიექტური რეალობის მოვლენები, საგნები, და ა.შ. შესაბამისად, დროისა და ადგილის დეიქსისი განიხილება, როგორც დროსა თუ სივრცეში სიახლოვესა თუ სიშორეზე მითითების საშუალება ათვლის წერტილთან მიმართებაში. ათვლის წერტილის, დროისა და სივრცის საკოორდინაციო ცენტრის ამპლუაში მხოლოდ პირი, დრო და ადგილი კი არ უნდა მოვიაზროთ, როგორც სამეტყველო სიტუაციის ძირითადი კოორდინატები, არამედ ობიექტური რეალობის მოქმედებებისა და მოვლენების მსვლელობის დროც. დასახელებული ათვლის წერტილების პრინციპული სხვაობა სუბიექტური და ობიექტური მითითების დაპირისპირების არსში მდგომარეობს.

გამოიკვეთა დეიქსური ცენტრი – „მოსაუბრე, აქ, ახლა“. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ანთროპოცენტრიზმის ცნება, რომელიც პირველ პლანზე აყენებს პიროვნებას და მის ადგილს კულტურაში. შეუძლებელია არ აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ პიროვნება არ არსებობს ენის გარეშე, ენა პიროვნების უმთავრეს ნაწილს წარმოადგენს. დეიქსისის ტემპორალიზაციამ გამოკვეთა ის გარემოება, რომ დრო, როგორც კატეგორია დამოკიდებულია ისეთ მეტაკატეგორიებზე, როგორცაა პიროვნება და კულტურა. კულტუროლოგია შეისწავლის ენას და კულტურას, მათ ურთიერთქმედებას, განიხილავს ერის კულტურას, იმ ნიშნებს, რომლებიც გამოვლინდა და შენარჩუნდა ენაში.

კონკრეტულ დასკვნებამდე მივედით, როგორც დროის, ასევე ადგილის დეიქსისთან მიმართებაში.

დეიქსური სიტყვებისა და იმ სიტყვების თავისებურებამ, რომლებიც თავის თავში ერთ-ერთ მნიშვნელობად მითითებას მოიცავენ, აგრეთვე მათი საკომუნიკაციო აქტით დაკონკრეტებამ, განაპირობა ლექსიკური ერთეულების ორი ასპექტით გამოკვლევა – ონემასეოლოგიურითა და სემასიოლოგიურით. საკვლევე მასალასთან ონემასეოლოგიური მიდგომის აუცილებლობა ნაკარნახევია, უპირველეს ყოვლისა იმით, რომ სიტყვის მნიშვნელობა, რომელიც

დროს მიუთითებს, გულისხმობს სიტყვის შესაბამისობას რომელიმე რეალურ ათვლის წერტილთან, რომელთან მიმართებაშიც ხასიათდება აღნიშნული მოვლენა. ონემასეოლოგიური ასპექტის შესწავლა, თავისთავად, გულისხმობს სემასეოლოგიურ ანალიზსაც, რამეთუ ენა – რეალურია. ამგვარად, დეიქსური მოქმედებების თავისებურებების, ობიექტური რეალობის მოვლენების კვლევა, შესაძლებელია მხოლოდ დეიქსური ერთეულების სემანტიკის ანალიზის საფუძველზე იმდენად, რამდენადაც მხოლოდ სემანტიკაში მდგომარეობს მათი ძირითადი განსხვავება სხვა ტიპის სიტყვებისაგან.

ამგვარად, დროის დეიქსისი დროში სიახლოვისა თუ სიშორის მითითების საშუალებაა, რომელიც მოქმედებებისა და მოვლენების მსვლელობის დროს აკონკრეტებს და ქმნის შესაბამის მიკროველს. ეს უკანასკნელი სამეტყველო სიტუაციასთან, კომუნიკაციურ აქტთან მჭიდრო კავშირითაა განპირობებული. სწორედ სამეტყველო აქტთან მჭიდრო კავშირში გამოვლინდა ათვლის წერტილები, სადაც დროითი მინიშნებითი სიტყვები დროის სივრცის გარკვეულ მონაკვეთებზე მიუთითებენ. დროის საკოორდინაციო ცენტრთან სიახლოვე/სიშორის შესაბამისად გამოვლინდა შემდეგი მიკროველები:

- წინამავლობის მიკროველი
- ერთდროულობის მიკროველი
- შემდგომობის მიკროველი

წარსულის, აწმყოსა და მომავლის ურთიერთდამოკიდებულებიდან გამომდინარე, მიუუახლოვდით დეიქსური მსახდვრელებისა და გრამატიკული დროების ურთიერთდამოკიდებულებასა და თანადროულობას. დაკონკრეტდა დროის განზომილების გამოხატვის ორი განსხვავებული გზა:

- გრამატიკული გამონათქვამები;
- ლექსიკური გამონათქვამები.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, კონტექსტის ცოდნის უდიდესი მნიშვნელობა და მისი აუცილებლობა: სად და როდის წარმოითქვა გამონათქვამი და ვის მიერ. ეს ის სამი განზომილებაა, რომელიც ყველა ლინგვისტური მოვლენის ე.წ. დეიქსურ ცენტრადაა მიჩნეული.

კომუნიკაციური სიტუაცია თავისთავად გულისხმობს კომუნიკანტებს, რომლებიც ენობრივ პიროვნებებს წარმოადგენენ. ენობრივი პიროვნება კი, თავის მხრივ, კონკრეტული კულტურის სუბიექტია. აქედან გამომდინარე, მისი

პიროვნული სტრუქტურა განისაზღვრება იმ კულტურითაც, რომელსაც იგი ეკუთვნის.

ჩვენ ყურადღება გაგამახვილეთ კულტურული ეპოქების ცვლილებაზე, აღვნიშნეთ ტრადიციული პრეინდუსტრიული საზოგადოების მოდერნის საზოგადოებით შეცვლა. შესაბამისად, იცვლება ადამიანის ცნობიერება, იბადება ინდივიდის ახალი ტიპი. თუკი, ინდუსტრიულ საზოგადოებაში, ადამიანისათვის განმსაზღვრელი იყო წრიული დრო, მოდერნის საზოგადოებაში ის ლინეარული დროით შეიცვალა. დროის ეს ტრანსფორმაცია გავლენას ახდენს დეიქსისის ფენომენზე, რადგან ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, გამონათქვამის დეიქტიკური სტრუქტურა განსხვავებული უნდა იყოს განსხვავებულ კულტურულ ეპოქათა ფარგლებში.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ტემპორალური დეიქსისის ფსიქოლოგიური ბაზისი სივრცის დეიქსისის ფსიქოლოგიურის მსგავსია, რადგან, შესაძლებელია, ტემპორალური მოვლენები განვიხილოთ, როგორც ჩვენსკენ მომართული ან პირიქით, ჩვენგან წარსულში გარდამავალი ობიექტები.

სივრცის დეიქსისი აღნიშნავს სივრცობრივ განლაგებას კომუნიკაციურ აქტში მონაწილეთა ადგილმდებარეობის შესაბამისად. ის რაღაცას განუმარტავს მსმენელს; საგანს მოსაუბრესთან უშუალო სივრცობრივ კავშირში ათავსებს.

ნაშრომში გამოიკვეთა მსენელისათვის საგნის განმარტების რამდენიმე გზა:

- დასახელება;
- აღწერა;
- განლაგება(ადგილმდებარეობის განსაზღვრა).

ადგილმდებარეობის განსაზღვრა შესაძლოა შემდეგნაირად მოხდეს:

- მითითებით;
- ჩვენებით.

დეიქსური ცენტრი გულისხმობს, რომ ცენტრალური პირი არის მოსაუბრე, ცენტრალურ ადგილს მოსაუბრის ადგილმდებარეობა წარმოადგენს კოდირების მომენტში, ხოლო ცენტრალური დრო არის ის დრო, რომელიც მოიცავს მოსაუბრეს გამონათქვამის წარმოთქმისას. დისკურსის ცენტრად ითვლება ის ადგილი, სადაც მოსაუბრე იმყოფება გამონათქვამის წარმოთქმის დროს, სოციალური ცენტრი კი მოსაუბრის სოციალურ სტატუსსა და წოდებას აღნიშნავს ადრესატებისა თუ რეფერენტების სტატუსისა და წოდების

შესაბამისად. ეს ნიშნები, ძირითადად, დამახასიათებელია ინგლისური ენისათვის.

როგორ უნდა მოვუდგეთ ტემპორალურ დეიქსის ნარატივში? პრობლემას ტემპორალური დეიქსისური ზმნიზედების სემანტიკური ორაზროვნება, თხრობაში მათი როლი და ინტერპრეტაცია ქმნის.

1) უპირველეს ყოვლისა ყურადღება უნდა გავამახვილოთ ტემპორალური დეიქსური ზმნიზედების კერძო გამოყენებაზე დაყრდნობით. ეს მიდგომა ერთ-ერთ იმათგანს შეიძლება მივაკუთვნოთ, რომელთაც ჰორნი ორაზროვნების თეორიას უწოდებს, რომელიც გულისხმობს, რომ დეიქსური ზმნიზედები today, now და ა.შ. სემანტიკურად ბუნდოვანი და ორაზროვანია. არსებობს საპირისპირო თეორია, რომელიც ამტკიცებს, რომ ტემპორალური დეიქსური ზმნიზედები, ისევე როგორც ყველა ტიპის დეიქსური მარკერები, სემანტიკურად ორაზროვანნი არ არიან, ხოლო რაც შეეხება მნიშვნელობაში სხვაობას, ის არაგრამატიკულადაა განპირობებული და ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს განსხვავებულ გამოყენებასთან. თუ ტემპორალურ დეიქსურ ზმნიზედებს ორაზროვნად არ ჩავთვლით, მაშინ, მათი გამოყენება თხრობაში მეორე თეორიით უნდა აგხსნათ, რომელიც თხრობით კონტექსტს მთავარ როლს ანიჭებს.

2) მეორე არგუმენტისათვის დაგვეხმარება გენეტის მიერ განვითარებული თეორია, რომელსაც ფოკუსირების თეორია ეწოდება. ფოკუსირების თეორია უკავშირდება შეკითხვას – „ვინ ხედავს?“ და კილოს კატეგორიას განეკუთვნება. სთიულის მიხედვით, თხრობაში, ფოკუსირების სამი ძირითადი ტიპის გარჩევაა შესაძლებელი.

3) მესამე არგუმენტით აიხსნა ტემპორალური დეიქსური ზმნიზედების თხრობაში გამოყენების შემთხვევები, რომლებიც მხოლოდ თხრობით არ არის შეზღუდული და აღწერილობითსა და ინტერპრეტაციულ (ონომატოპეურ) გამოყენებას ემყარება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კონტექსტს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება გამონათქვამის სწორი ინტერპრეტაციისათვის. სწორედ გამონათქვამის ელემენტებს ითვისებს დეიქსისი და შემდეგ, მათ ინტერპრეტაციის დროს მითითებისათვის იყენებს.

გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურის სია

1. ლებანიძე გ., სიდრმეთა დიალოგი და „ტრაგიკული ტრიადა“, თბ., გამომცემლობა „ენა და კულტურა“. 2006;
2. ლებანიძე გ., კულტუროლოგიის საფუძვლები, თბ., გამომცემლობა „ენა და კულტურა“, 2004;
3. ნიქაბაძე მ., დეიქსისის ფენომენი ინტერდისციპლინარული კვლევის

- პერსპექტივაში, ენა და კულტურა, ფილოლოგიური სერია №1, 2004;
4. Бюлер К., *Теория языка*. М., 1934/1993;
 5. Волошинов В.Н. *Марксизм и философия языка*. Л., 1930;
 6. Гуревич, П., *Философия культуры*, под редакцией В.Д. Губина, Е.Ю. Сидориной, В.П. Филатова, Москва. 1997;
 7. Демьянко В.З., *Англо-русские термины по прикладной лингвистике и автоматической обработке текста*, вып. 2. М., 1982;
 8. Карасик В.И. *Языковой круг, личность, концепты, дискурс*, М., 2004;
 9. Кибрик А.А., *Об анафоре, дейксисе, и их соотношении*. –В сб.: *Разработка и применение лингвистических процессоров*. Под ред. А.С.Нариньяни. Новосибирск, 1983;
 10. Козлова, Н.Н., *Социальная философия*. М., 1997;
 11. Красных, В.В., *Этнопсихолингвистика и лингвокультурология*, М., 2002;
 12. Маслова, В.А., *Лингвокультурология*, М., 2004;
 13. Падучева Е.В., *Семантические исследования. Семантика времени и вида в русском языке. Семантика нарратива*. М., 1996;
 14. Хроленко А.Т., *Основы лингвокультурологии*, М., 2004;
 15. *Человеческий фактор в языке. Коммуникация. Модальность. Дейксис*. Под ред. Т.В.Булыниной. М., 1992;
 16. Allen, R. L., *The verb system of present-day American English*. The Hague: Mouton. 1966;
 17. Banfield, Ann. *Unspeakable Sentences: Narration and Representation in the Language of Fiction*, Boston; Routledge & Kegan Paul. London, 1982;
 18. Banfield A., *Phrases sans paroles*. Seuil, Paris, 1995;
 19. de Beaugmde, R. and-Dressler, W. *Introduction to Text Linguistics*. L., Longman, 1981;
 20. Benveniste, E. 'La nature des Pronoms', *Problèmes de Linguistique Générale*, vol. 1, Gallimard, P., 1966;
 21. Birch, D. and O'Toole, M (eds.) *Functions of Style* Pinter: L., 1998;
 22. Bloom P, Peterson M, Nadel L, Garrett M (eds.) *Language and Space*. MIT Press, Cambridge, 1996;
 23. Boyd, J., and J. P. Thorne. The semantics of modal verbs. *Journal of Linguistics* 5.57-74, 1969;
 24. Brown, G. *Speakers, Listeners and Communication*. Cambridge University Press. 1995;
 25. Brown, G. Context creation in discourse understanding. In K.Malmkjaer and J.Williams

- (eds.). *Context in language learning and language understanding*. Cambridge: Cambridge University Press. 171-92. 1998;
26. Brown, G. (*in preparation*) Verbs of motion and subjectivity.
 27. Brown, R. and A. Gilman. "The pronouns of power and solidarity." *Style in Language*. Ed. T. Sebeok. Cambridge, Mass.: MIT Press. 253-276. 1964;
 28. Bruner, Jerome S. *Actual Minds, Possible Worlds*, Cambridge, MA: Harvard University Press. 1986;
 29. Bublitz, Wolfram. *Englische Pragmatik*. Berlin: Erich Schmidt. ch. 11. 2001;
 30. Bull, W. E. *Time, tense and the verb*. Berkeley and Los Angeles: University of California Press. 1960;
 31. Bühler, K. *Theory of Language*. (translated into English by D. Fraser Goodwin) Amsterdam/Philadelphia: John Benjamins Publishing. 1934/63.
 32. Campos Pardillos, M. A. "Deixis as a reference to an alleged shared situation in persuasive discourse." *Revista Alicantina de Estudios Ingleses* 8, 57-67. 1995;
 33. Carlson, Gregory: *Reference to Kinds in English*, Ph.D. Dissertation, University of Massachusetts, Garland, NY., 1980;
 34. Carston, R. Metalinguistic negation and echoic use. *ULC Working Papers in Linguistics*, (6):321-339, 1994;
 35. Carter R.A. and Nash, W. *Seeing Through Words*. Oxford: Blackwell. 1990;
 36. Carter, R.A. *et al. Working with Texts*. London: Routledge and Kegan Paul. 1997;
 37. Chierchia, Gennaro. *Topics in the Syntax and Semantics of Infinitives and Gerunds*, Ph.D. Dissertation, University of Massachusetts, Garland, NY., 1989;
 38. Chierchia, Gennaro and Sally McConnell-Ginet: *Meaning and Grammar*, MIT Press, Cambridge, Mass. 1990;
 39. Clark, Herbert. H. and R. Schreuder: unpublished ms. "Demonstrations and Demonstratives". 1973;
 40. Cook, G. *Discourse and Literature*. London: Routledge and Kegan Paul. 1994;
 41. Crystal, D. Specification and English tenses. *Journal of Linguistics* 2.1-34. 1966;
 42. Crystal, D. *A Dictionary of Linguistics and Phonetics* Blackwell, Oxford. 1985;
 43. Crystal, D. *Encyclopedia*, Oxford, 1992;
 44. Eggins, S. *An Introduction to Systemic Functional Linguistics*. London: Pinter Publishers. 1994;
 45. Evans, Gareth. "Understanding Demonstratives", in Palle Yourgrau (ed.), *Demonstratives*, Oxford University Press, Oxford. 1990;

46. Fauconnier, G. *Mental Spaces*. MIT Press, Cambridge, 1984;
47. Fauconnier, G. *Mental Spaces*. Cambridge University Press. 1985;
48. Fillmore, C.J. Topics in lexical semantics. In R. W. Cole (ed.) *Current Issues in Linguistic Theory*. Bloomington: Indiana University Press. 273-90. 1977;
49. Fillmore, C.J. Pragmatics and the description of discourse. In P. Cole (ed.) *Radical Pragmatics*. New York: Academic Press. 143-66. 1981;
50. Fillmore, C.J. Towards a descriptive framework for spatial deixis. In R. J. Jarvella and W. Klein (eds.) *Speech, Place and Action*. London: 1982;
51. Fillmore, C.J. Deixis and Context. in K. Malmkjaer and J. Williams (eds.) *Context in language learning and language understanding*. Cambridge: Cambridge University Press. 25-41. 1998;
52. Fillmore, C. Frames and the semantics of understanding, *Quaderni di Semantica* VI 2. 222-53, 1985;
53. Fowler, R. *Linguistic Criticism*. Oxford: Oxford University Press. 1986;
54. Genette, G. *Figure III*. Seuil, Paris, 1972;
55. Goodwin C. and Duranti A. "Rethinking context: an introduction." A. Duranti and C. Goodwin. Eds. *Rethinking Context*. Cambridge University Press. 1-12. 1992;
56. Graesser, Arthur C. Singer, Murray; & Trabasso, Tom. "Constructing Inferences during Narrative Text Comprehension", *Psychological Review* 101, 371-395. 1994;
57. Green, K. *New Essays in Deixis*. Amsterdam: Rodopi. 1995;
58. Green, K. "A revaluation of concepts and categories." K. Green. Ed. 11-27. 1995;
59. Green, K. Deixis and the Poetic Persona, *Language and Literature* 1 (2): 121-34. 1992;
60. Halliday, M. A. K. Class in relation to the axes of chain and choice in language. *Linguistics* 2.5-15. 1963;
61. Halliday, M. A. K. Notes on transitivity and theme in English. *Journal of Linguistics* 3.37-81. 1967;
62. Halliday, M.A.K. *Exploration in the Functions of Language*. London. Arnold. 1973;
63. Halliday, M.A.K., *An Introduction to Functional Grammar*. (2nd edition). L., 1994;
64. Halliday, M.A.K. "Categories of theory of grammar" in Kress, G.R. 52-72. 1961;
65. Halliday, M.A.K. "Descriptive linguistics in literary studies" in Freeman, D. (ed.) (1970) *Linguistics and Literary Style* Holt, Reinhart and Winston: L., 57-72. 1964;
66. Halliday, M.A.K. *Cohesion in English* Longman: London (with R. Hasan). 1976;
67. Herskovits, A. *Language and spatial cognition*. Cambridge University Press, Cambridge. 1986;

68. Hill, A. A. *An introduction to linguistic structures*. NY., Harcourt Brace. 1958;
69. Huddleston, R. D. Predicate complement constructions in English, (To appear in *Lingua* 23.) 1969;
70. Horn, L.R. *A Natural History of Negation*. University of Chicago Press, Chicago, 1989;
71. Hunn, E. Columbia Plateau Indian place names: what can they teach us? *Journal of Linguistic Anthropology* 6(1): 3-26. 1993;
72. Jammer, M. *Concepts of Space: the history of theories of space in physics*. Harvard University Press, Cambridge, MA.1954;
73. Jespersen, O. *A Modern English grammar on historical principles*. Parts 3, 4, 5. Copenhagen: Munksgaard. 1927, 1931, 1940;
74. Joia. A de and Stenton A. *Terms in Systemic Linguistics: A Guide to Halliday* Batsford, L., 1980;
75. Joos, M. *The English verb*. Madison: University of Wisconsin Press. 1964;
76. Kaplan, David. "Demonstratives" in Joseph Almog, John Perry and Howard Wettstein (eds.), *Theme from Kaplan*, Oxford, Oxford University Press.1989;
77. Kress, G.R. (ed.) *Halliday: System and Function in Language* Oxford University Press: L., 1976;
78. Kreuz, Roger J., & MacNealy, Mary Sue (eds.) *Three Obstacles in Empirical Research on Aesthetic and Literary Comprehension*, Norwood, NJ: Ablex. 1996;
79. Landau B, Jackendoff R "What" and "Where" in spatial language and spatial cognition. *BBS* 16(2): 217-265. 1993;
80. Levin, B. *English Verb Classes and Alternations*. The University of Chicago Press. 1993;
81. Levinson, S.C. *Pragmatics*. Cambridge University Press. 1983;
82. Levinson, S.C. *Language and Cognition*. Cognitive Anthropology Research Group, Max Planck Institute, Nijmegen, *Working Paper*. 1992;
83. Levinson S. C. Frames of reference and Molyneux's question: crosslinguistic evidence. In: Bloometal. 109-170. 1996;
84. Levinson S C in preparation *Space in Language and Cognition: Explorations in Linguistic Diversity*. Cambridge University Press, Cambridge. 1996;
85. Levinson S C, Wilkins D (eds.) in preparation *Grammars of Space: Towards a Semantic Typology*. Cambridge University Press, Cambridge. 1996;
86. Levinson, Stephen. *Pragmatics*, Cambridge University Press, Cambridge, England.1983;
87. Lyons, J. *Semantics*. Cambridge University Press, Cambridge, 1977;
88. Lyons, J. *Linguistic Semantics*. Cambridge: Cambridge University Press. 1995;

89. Malmkjaer, K. and J. Williams (eds.) *Context in Language Learning and Language Understanding*. Cambridge: Cambridge University Press. 1998;
90. McIntosh, A. Predicative statements. In memory of J. R. Firth, ed. by C. E. Bazella, 303-20. L., 1966;
91. Miller G, Johnson-Laird P. *Language and Perception*. Cambridge University Press, Cambridge. 1976;
92. Mitchell, Jonathan E.: The Formal Semantics of Point of View. Ph.D. dissertation, University of Massachusetts. 1986;
93. Moeschler J. and Reboul A. *Dictionnaire encyclopédique de pragmatique*. Seuil, P., 1994;
94. Moeschler J. Time in evolving reference. Temporal order, tenses and focalisation. 1996; to appear in Reboul, 1996;
95. Nunberg, Geoffrey. "The Non-uniqueness of Semantic Solutions: Polysemy", *Linguistics and Philosophy* 3, 1. 1979;
96. Palmer, F. R. A linguistic study of the English verb. London, 1965;
97. Palmer, F. R. The semantics of the English verb. *Lingua*. 18.179-95. 1967;
98. Partee, Barbara H. "Binding Implicit Variables in Quantified Contexts", in *Papers from the 25th Regional Meeting, Chicago Linguistics Society: Parasession on Language in Context*, Chicago Linguistics Society, Chicago. 1989;
99. Pederson E, Danziger E, Wilkins D, Levinson S C, Kita S, Senft G Semantic typology and spatial conceptualization. *Language* 74: 557-589. 1998;
100. Peirce, C. T. "Logic as Semiotic: The Theory of Signs", in Justus Buchler (ed.), *Philosophical Writings of Peirce*, Dover, NY., 1955;
101. Perry, John. "Frege on Demonstratives", *Philosophical Review*. 86, 474-97. 1977;
102. Perry, John. "The Problem of the Essential Indexical", *Noûs* 13, 3-21. 1979;
103. Perry, John. "Cognitive Significance and New Theories of Reference", CSLI Research Report, Center for the Study of Language and Information, Stanford. 1987;
104. Perry, John and Jon Banvise. *Situations and Attitudes*, Bradford, Cambridge, Mass. 1983;
105. Quine, W. V. "The Inscrutability of Reference", in D. D. Steinberg and L. A. Jacobovits (eds.), *Semantics*, Cambridge University Press, Cambridge, England. 1971;
106. Piaget J, Inhelder B. *The child's conception of space*. Routledge, London. 1956;
107. Reboul A. (ed.). *Evolving reference: Time and Objects*. Benjamins, Amsterdam, 1996;

108. Recanati, François. "Rigidity and Direct Reference", *Philosophical Studies*. 53, 103-117. 1988;
109. Recanati, François: forthcoming, *Direct Reference*, Blackwell, Oxford. 1989;
110. Reichenbach, H. *Elements of symbolic logic*. Free Press, NY, 1947;
111. Sacks, Schegloff & Jefferson. A simplest systematics for the organization of turn-taking in conversation. 1978. In Schenkein (1978:7-55);
112. Sag, Ivan. "Formal Semantics and Extralinguistic Context", in Peter Cole (ed.), *Radical Pragmatics*, Academic Press, NY., 1981;
113. Schank, R.C. *Dynamic Memory*. Cambridge: Cambridge University Press. 1982;
114. Schank, Roger C. *Tell Me a Story: A New Look at Real and Artificial Memory*, NY., 1990;
115. Schank, Roger C., & Riesbeck, Christopher K. *Inside Computer Understanding: Five Programs Plus Miniatures*, Hillsdale, NJ: Lawrence Erlbaum. 1981;
116. Searle, John: *Intentionality: An Essay in the Philosophy of Mind*, Cambridge University Press, Cambridge. 1983;
117. Semino, E. *Language and World Creation in Poetry and Other Texts*. L. Longman. 1997;
118. Smith, Quentin. "The Multiple Uses of Indexicals", *Synthese* 78, 167-191. 1989;
119. Sperber D. and Wilson D. *Relevance. Communication and Cognition*. Blackwell, Oxford, 1986;
120. Svorou S. *The Grammar of Space*. Benjamins, Amsterdam. 1993;
121. Talmy L. How language structures space. In: Pick H, Acredolo L (eds.) *Spatial orientation: theory, research and application*. Plenum Press, NY., 1983;
122. Talmy L. *Toward a cognitive semantics*. Vols. 1 and 2. MIT Press, Cambridge, MA.2000;
123. Twaddell, W. F. *The English verb auxiliaries*. Providence: Brown University Press.1960;
124. Vandeloise C. *Spatial prepositions*. University of Chicago Press, Chicago. 1991;
125. Verdonk, P. and I.J. Weber. Eds. *Twentieth Century Fiction: From Text to Context*. L., Routledge and Kegan Paul. 1995;
126. Werth, P . "World enough, and time: Deictic space and the interpretation of prose." P. Verdonk and J. J. Weber. Eds. 181-206. 1995;
127. Werth, P. *Text Worlds: Representing Conceptual Space in Discourse*. L. Longman. 1999;

128. Wettstein, Howard. "Demonstrative Reference and Definite Descriptions", *Philosophical Studies* 40, 241-257. 1981;
129. Yule, George. *Pragmatics*. Oxford: OUP. ch. 2; ch. 8. 1996;
130. Zwicky, A.: "Hierarchies of Person", in *Papers from the Thirteenth Regional Meeting, Chicago Linguistics Society*, Woodford A. Beach, Samuel E. Fox. Shulamith Philosoph (eds.), Chicago Linguistics Society, Chicago. 1977;

გამოყენებული მხატვრული ლიტერატურის სია

1. Hemingway, E. *Old Man at the Bridge*.
2. Porter, K.A. *Flowering Judas*.
3. Thomas, D.A. *Visit to Grandpa's*
4. Malamud, B. *My Son the Murderer*.
5. Welty, E. *Where is the vice coming from?*

6. *Antony and Cleopatra*. (ed. John Dover Wilson, 1950) Cambridge University Press.
7. *Hamlet*. (ed. John Dover Wilson, 1934) Cambridge University Press.
8. *Julius Caesar*. (ed. John Dover Wilson, 1968) The New Shakespeare Edition. Cambridge University Press.
9. *Macbeth*. (ed. John Dover Wilson, 1968) The New Shakespeare Edition. Cambridge University Press.
10. *Richard II* (ed. John Dover Wilson, 1968) The New Shakespeare Edition. Cambridge University Press.
11. *Richard III* (ed. John Dover Wilson, 1968) The New Shakespeare Edition. Cambridge University Press.
12. *Romeo and Juliet* (ed. John Dover Wilson, 1969) The New Shakespeare Edition. Cambridge University Press

გამოყენებული ლექსიკონების სია

1. *Cambridge International Dictionary of English*. 1995. Cambridge University Press.
2. *Collins CoBuild English Language Dictionary*. 1987. London: Collins. *Collins English Dictionary*. 1979. L., Collins.
3. *Longman Active Study Dictionary of English*. 1991. Harlow: Longman.
4. *Longman Dictionary of the English Language*. 1984. Harlow: Longman.

5. *Oxford Advanced Learner's Dictionary*. 1995. Oxford University Press. *Shorter Oxford English Dictionary*. 1956. Oxford University Press.

Lali Tavadze

**TIME AND SPACE DEIXIS AS A LINGUO-CULTURAL PHENOMENON
AND ITS VERBALIZATION
IN THE ENGLISH LANGUAGE**

Summary

The Research Work deals with the study of deixis as a linguo-cultural phenomenon. In the present thesis time and space deixis in English language is being investigated.

